ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედის სიტკბილი

დავბადებულვარ,
რომ ვიყო მონა
და საქართველოს
მედგას უღელი!..

სსფ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის ორგანო

აპრილი, № 3, 1990









აზა ადამია... ეკა ბეჟანიშვილი... ნატო გიორგაძე... თამუნა დოლიძე... თინა ენუქიძე... ნინო თოიძე... ზაირა კიკვიძე... ნათია ბაშალეიშვილი... მანანა ლოლაძე... თამარ მამულაიშვილი... მამუკა ნოზაძე... ნანა სამარგულიანი... მარინე სამარგულიანი-ჭყონია... ელისო ჭიპაშვილი... თამარ ჭოველიძე... ნოდარ ჯანგირაშვილი... მზია ჯინჭარაძე... მანანა მელქაძე... გია ქარსელაძე... შალვა ქვასროლიაშვილი... უკვდავების მრავალწერტილი გახდა თქვენი სიცოცხლე, რომელსაც დასაწყისი თუ მოენახება, დასასრული კი არასოდეს!..

ეს თქვენთვის ეწამა წმიდა მაცხოვარი და მამულისათვის ყველა წამებულიც მის ნათელში იმკვიდრებს ბინას. მარიამ ღვთისმშობლის სევდიანი ღიმილი და ცრემლები დაგიშუშებთ-იარებს, რამეთუ ყველა შვილმოკლული დედის ტანჯვა მარიამ ღვთისმშობლის ტანჯვა და წამებაა.

არღა არს მხოლოდღა მიწიერი და არღა არს მხოლოდღა ზეციური იმისთვის, ვინც მამულის საკურთხეველზე მიიტანა სიცოცხლე თვისი.

დიდი ილიასავით თქვენც მტრის მუხანათური ხელით ხართ განგმირული და ილიას ცხედრის წინაშე წარმოთქმული აკაკის სიტყვები თქვენც გეკუთვნით, თქვენც, თითოეულ თქვენგანს: **„თუ საქართველოს სიკვდილი არ უწერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სახიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინა-უსწარ მის სიკვდილს და თვალით ვეღარა ნახავ!..“.**

დროშა ხვალინდელ საქართველოსი

ნუ მკითხავ, რატომ ქვითინებს წვიმა,
იქნებ ნიშანი ეს არის დარის?!.
რაც გამაჩნია, ყველაფერს გწირავ,
ვით ნიშა-ხარი, უფსკრულთან მდგარი.

ნუ მკითხავ, რატომ მზე ტირის დილის,
თალხად რად იქცა გვირგვინი მთვარის?!.
თბილისის ცაზე რად გადიწივლა
ყორანმა, ხისხლით ქართულით მთვრალით?!.

დათალხულია კვლავაც გარე-ცა,
ისევ ღალატი რამ გულსაკლავი,
რამდენი გმირიც შენთვის დაეცა,
ცაზე იმდენი ბრწყინავს ვარსკვლავი.

იქით — ცრემლები, აქეთ — ვარდები,
რა დროს გლოვაა (ჰა, მზეც შემოდის!),
დასაკერია როცა ამდენი
დროშა ხვალინდელ საქართველოსთვის?!.

ისევ იელვა, ვხედავ, მარტყოფმა,
იქით — გიორგი, აქეთ — კაენი,
ჩვენი ყოფნა და ჩვენი არყოფნა
გაზომილია მტკაველ-მტკაველით.

ჰა,. გორგასალიც, — მტკვარზე გადვიდა,
აგერ დავითიც, — მოდგა ხევ-ველით,
ო, საქართველო იყო, არის და
იქნება ჩემი საკურთხეველი!..

ბიძინა მგალობლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდვის ლოდი

დაგვიანებული პასუხი აფსუა მეცნიერებს პ. არძინბას, ლ. სმირს, ვ. ამიჩბას, ა. ხიშბას და ძმათა მათთა და ე. წ. „ლამურებს“ — ჩ. ბაგათელიას, ბ. გურგულიას, მ. გურგულიას, რ. კაციას, მ. ფაცაციას, დ. ფილიას, ზ. შალაშავას

აფხაზობა ყოველთვის იყო სინდისის, ნამუსისა და ერთგულების სიმბოლო, ყოველ შემთხვევაში, მე ბავშვობიდან ასე მესმოდა.

დარწმუნებული ვარ, რომ თქვენს „საჩივარ-წერილში“, რომელიც გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ დაბეჭდა, თქვენვე გათქვით სიმართლე პირველსავე აბზაცში, შეპარვით: „ტრაგიკული მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდათ აფხაზეთში 1989 წლის ივლისში, ჩაგვრის აუტანელი გრძნობის, მთელი ჩვენი ხალხის ხანგრძლივი ტანჯვისა და ტკივილის, მათი უსაშველობისა და მორალური ჩაგვრის გრძნობების, რისხვისა და სამართლიანობის უბრალო გრძნობის ამონთხევას წარმოადგენდა“. ე. ი. ეს „უბრალო გრძნობა“ ამოუნთხევიათ არა თქვენს მიერ ნაციონალისტ-ფაშისტებად მონათლულ ქართველებს, არამედ აფსუა ექსტრემისტებს (რაც ყველამ კარგად იცის). მაშ, ვინ იყო ივლისის ტრაგედიის დამტრიალებელი და ვის მიმართ უნდა ეხმარათ ავბედითი სიტყვა „ფაშიზმი?“, მაგრამ არც ერთ ქართველს ეს არ უკადრებია, თუმცა... (იხილეთ გაზეთ „ოქროს საწმისის“ პირველ ნომერში გამოქვეყნებული 15-16 ივლისს დახოცილთა სია).

შეიძლება სხვას გადააბრალო ამდენი შავი საქმე? გორბაჩოვს რომ ახსენებთ, განა თქვენ არ სარგებლობთ მისი გარდაქმნით, დემოკრატიის პოლიტიკით და თანაც ყველაზე ბოროტი და კაცთმოძულე ფორმებით? კაცთმძულვარებაა ქართველთა წინააღმდეგ ასეთი გამოსვლა, თუნდაც „აფხაზური წერილი“, „ლიხნის დეკლარაცია“, პირველ აპრილს დაგეგეგმილი ავტობუსები და მათი მგზავრები, შემდეგ 9 აპრილი, რომელიც ბევრი თქვენგანისთვის სასიხარულოც კი იყო. არ მოიძებნა თქვენში ერთი ადამიანიც კი, რომ სამძიმარი გამოეთქვა საქვეყნოდ, პირიქით, დაარბიეთ ძეგლის დასადგმელად შერჩეული ადგილი და შემორიალები.

ან როგორღა გინდათ ათრიოთ, ჩემო აფხაზო კოლეგებო, მძიმე ლოდი ცოდვებისა, რომელიც თქვენმა წარგზავნილმა დეპუტატმა არძინბამ აგკიდათ?! განა მისი ისტერიკები მაღალ ტრიბუნაზე ფსიქოზი არ არის? წერთ კი წერილში ქართული ფსიქოზის თაობაზე. განა თქვენ არ წარმოადგინეთ სასამართლო ორგანოებში დღეს დაკავებული არაერთი აფხაზი ბოროტმოქმედის ფსიქიური ავადმყოფობის სიმპტომები? ერთისთვის სულაც ჩაგიწერიათ „დროებითი შეშლილიო“. ვეკითხები ფსიქიატრებს: არსებობს ასეთი დიაგნოზი? და თუ არ არსებობს, რატომ გამოგიკეთავთ სისხლის სამართლის დამნაშავე გ. ჯენია ხანაც განახლების ფსიქიატრიულ და ხანაც ჭ. სოხუმის II საავადმყოფოში?! ამითაც დასტურდება თქვენი (და არა მხოლოდ „თქვენი“) ექიმების ღალატი არამარტო ჰიპოკრატეს ფიცისადმი, არამედ ჰუმანიზმისა და ადამიანობისადმი.

ან რომ გაპყვირით, ძმობისა და მეგობრობის საუკუნეების ისტორია გვაკავშირებსო, როგორღა გაწყვიტეთ ყველა ეს ძაფი ისე, რომ ძარღვიც არ შეტოკებიათ შუბლზე და არც კი დაურცხვენიათ ყრილობის დარბაზში არხეინად მსხდომ თქვენს დეპუტატებს, როცა დელეგატთა მესამედი პროტესტის ნიშნად გავიდა დარბაზიდან. ეს თქვენს მიმართაც პროტესტია, კოლეგებო, იმიტომ, რომ 15-16 ივლისი, 9 აპრილთან ერთად, სიმუხთლის ჯაჭვის ორი რგოლია, რომელიც თქვენ და თქვენმა მოწყალე ინსპირატორებმა ერთად შეაკოწიწეთ.

ყველამ შესანიშნავად იცის, რა მოხდა აფხაზეთის უნივერსიტეტში, ვინ რა როლი შეასრულა ამ საქმეში. ხალხის მეხსიერება რაციონალურად ინახავს და ობიექტურად შეაფასებს ყველას და ყველაფერს. ეპისტოლეში კი „ქართული ნაციონალისტური ფსიქოზით“, ვითომ გამოწვლილვითი ამბები თავის შესაცოდებლად, მათხოვრისა და დაჩაგრულთა როლის სათამაშოდ დაგეჭირდათ. ამან, იცოდეთ, თქვენს იაფფასიან პროვინციალიზმს გაუსვა ხაზი ადრესატთა თვალში. ჰოი, სირცხვილო, სად არის თქვენი ქებული აფხაზური სიამაყე?

სიცრუე და ორპირობა

მე და თქვენ, სხვებთან ერთად, ხომ კარგად ვიცით, რომ ეს კარიერიზმისა და კორუფციის სენით შეპყრობილი დენაციონალიზებული მასის ფსიქოზია, რომლის მკურნალია სხვა რამე და არა უცხოეთში გაგზავნილი წერილები, რომლებშიც ადრესატებს უმალავთ „ფსიქოზის“ ნამდვილ მიზეზებს... გაგემხილათ მათთვის ყოველივე, რ ეი იკისრეთ ნაგვის გარეთ გატანა, მაგრამ „გატყდა ყოველი და არა მცოდავიო“.

თქვე დალოცვილებო, დაგეწყოთ ითი, რომ თქვენი რექტორი, ანტიქართველი ალეკო გვარამია, თვალის დასანახად რომ არ გინდოდათ, სამწუხაროდ, სწორედ ქართველებმა დასვეს რექტორად ხმის დიდი უმრავლესობით, და, რომ ჩაგდეს მეორე კანდიდატურა (პრორექტორი ო. დამენია), რომელიც თითქმის ყველას უნდოდა მთავრობისა და პარტიული მუშაკების — პრივილეგირებული უმრავლესობის ჩათვლით. რატომ არ აუხსენით თქვენს კოლეგებს უცხოეთში, რომ თქვენ და არა სხვა, გაცოფებულნი, მექრთამის, კარიერისტისა და სხვა უმშვენიერესი ეპითეტებით „ამკობდით“ ა. გვარამიას? რატომ დაგავიწყდათ, დაგეწერათ, რა მოტივი გამოძრავებდათ, როცა საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მაშინდელ პირველ მდივანს ბ. ადლეიბას აუტალახეთ ზღურბლი (ამ დროს იგი ჩვენთვის დახშული იყო) და ორჯერ გააგდებინეთ გვარამია უნივერსიტეტიდან და სოხუმიდანაც კი.

რატომ არ გააგებინეთ თქვენს კოლეგებს უცხოეთში, რომ ყოველივე ამის ფესვები შორს მიდის, რომ ბევრი თქვენგანი საავკაცოდ შეაგულიანეს და თავგზა აურიეს წლების განმავლობაში თბილისიდან და საბჭოთა პოლიტიკანებმა, რომელთა ე. წ. საკავშირო-ეროვნული პოლიტიკა გამომდინარეობდა მათ მიერვე მოჩმახული უნიკო დებულებიდან: „კარგი ხალხი ყოფილა აფხაზები, მეგრელებს შეუკამიათ, თორემ!“..

დაგავიწყდათ, რომ მათ აფხაზეთი სახტარტო მოედნად მიაჩნდათ ცენტრში უფრო დიდი თანამდებობების დასაკერად, რომ ამისათვის მათ ყველაფერი გაწირეს? განა ამიტომ არ მლიქნელობდნენ ისინი თქვენთან? რას იზამ, ესეც დროის პოლიტიკა ყოფილა. აკი მათი დროცა და კარიერიზმის მზეც ჩაესვენა... თუმცა ამით ყველაფერი არ დამთავრებულა; მათ უკან მოიტოვეს თავიანთი ყაიდის ბევრი ტიპი. ისინი ქართველობით სპეკულანტობენ, აფხაზურს გმობენ... სიტუაციის მიხედვით, მაგრამ იქვე შეუძლიათ სუფრაზე დიდი მორიდებითა და მოწიწებით მოემსახურონ მთელი ოჯახით (ერთი მათგანი ქართული მოძრაობის „ლიდერიც“ ბრძანდება) თვით ავადსახსენებელ ოზგანსაც კი.

უცხოელთათვის უნდა მიგეწერათ, აგრეთვე, რომ თქვენ სარგებლობთ ქართველთა შორის ზოგჯერ ჩამოვარდნილი უთანხმოებით, რომ ზოგიერთი გამორჩენისათვის სულს წაიწყმედს და ჯოჯოხეთში ჩაპყვება თვით საატანას. ასეთი ქართველების ვალი მართლაც გადევთ თქვენ, ბატონებო!

მე ვერ გამიგია ერთი რამ: რატომ იკლავთ თავს ქართული ფილიალის უნივერსიტეტთან დაბრუნებისა და ისევ მიერთებისათვის? თუნდაც ახე მოხდეს, შეძლებთ კი თქვენ „ფაშისტებთან“, „შოვინისტებთან“, „ნაციონალისტებთან“, „ფსიხებთან“, „გორბაჩოვის პოლიტიკის დამრღვევებთან“ ერთ ჭერქვეშ ყოფნას? აი, მთავარი საკითხი. მაშინ, ბარელამ, ისიც აგეხსნათ უცხოელთათვის, როგორ აპირებთ შემდგომ ცხოვრებას? ასეთი „გამთიშველობითა და ფალსიფიკაციებით?!

ასეთი საქციელით არამც თუ უნივერსიტეტი შემოგიერთდებათ, რისი მომხრეც მე ვიყავი ყოველთვის, არამედ ქართველებმა პასუხისგებაშიც უნდა მიგცეთ, მაგრამ არა აქ, აფხაზეთში, სადაც ჭერ-ჭერობით ყველაფერი თქვენს თარგზე იკერება, არამედ უზენაეს სამსჯავროში.

კიდევ ერთი: რატომ არ აუხსენით თქვენს უცხოელ კოლეგებს, რომ ჩვენს ქვეყანაში მოდაშია ზოგიერთთა მიერ ცოლებთან ნებივრობისას სასთუმალთან ყურში ნაჩურჩულევით განისაზღვროს ქვეყნის პოლიტიკა, მეცნიერული დოგმები, ერთა და ადამიანთა ურთიერთობა; აბა, სხვანაირად როგორღა ავხსნათ ჯ. ჰიუიტის საქციელი, რაც მეუღლემ, თქვენმა თანამემამულემ ჩაადენინა...

საგნისათვის თავისი სახელი დაგერქმიათ, სიმართლე გეთქვათ ყველასათვის და თქვენი ადრესატებისათვის, თუმცა... მაშინ ველარ ატეხდით პოლიტიკური სიტყვათა უაზრო რახარუხსა და თვით ამ უნიკოდ დაწერილი წერილის გაგზავნის საჭიროებაც ალარ გექნებოდათ.

ვაი, რომ იგივე ითქმის და ოდნავ კიდევ მეტი თქვენს დეპუტატ. შამბაზე; როცა თქვენს „სახელოვან“ გუდაუთის გაზეთ „ბზიფში“ სახალხო დეპუტატთა მეორე ყრილობაზე წარმოთქმული მისი გამოსვლის ტექსტი წავიკითხე, მივხვდი, რომ მართლაცდა, ცილისწამებას საზღვარი არა აქვს. მაგრამ ხომ გაგიგონია, გამდის და ვტირიო. თუმცა მალე თქვენი შემბრალენი, იმედია, თავად იქნებიან შესაბრალისნი.

ასეთი სიცრუითა და ორპირობით ერთმანეთს თვალს ვერ გავუსწორებთ, გაგვიძნელდება ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრება.

მაგრამ, მადლი ღმერთს, აფხაზი ხალხი არც თქვენით დაწყებულა და არც თქვენით დამთავრდება. თქვენ ამაოდ ლაპარაკობთ ხალხის სახელით. ხალხი სხვაა, მისი გზა-კვალის ამრევი კი სხვა და, რაც უფრო ადრე მიხვდება ამას აფხაზობა, მით უკეთესი.

როზა ჟანთარია

1989 წ. 28 დეკემბერი.

„ინტერნაციონალიზმის“

ქალაქ სოხუმის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ფუნქციონირებს 1927 წლიდან. იგი წარმოადგენს მსოფლიოში ერთ-ერთ უნიკალურ ექსპერიმენტულ ბაზას, სადაც სამეცნიერო გამოკვლევებს აწარმოებენ ისეთ ობიექტზე, როგორიც არის მაიმუნი. მეცნიერებამ დაამტკიცა მაქსიმალური მორფოლოგიური, ემბრიოლოგიური, ფიზიოლოგიური, პალეოპრიმატოლოგიური მსგავსება მაიმუნსა და ადამიანს შორის. ამიტომ დღეს მსოფლიო სამედიცინო მეცნიერებაში განსაკუთრებით ფასობს მაიმუნზე ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომები. ვაი, რომ ჩვენი სამშობლო თავის მიწა-წყალზე ვერ იყენებს ასეთ შესაძლებლობას — დღეს საქართველოს არც ერთ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს არა აქვს ჩვენს ინსტიტუტთან კავშირი. ეს მაშინ, როდესაც ამ შესაძლებლობას მაქსიმალურად იყენებენ რუსეთიდან ჩამოსული მეცნიერები, სამხედრო ორგანიზაციები, საზღვარგარეთის სხვადასხვა ინსტიტუტები, რომლებიც, რა თქმა უნდა, არაფერს უთანხმებენ საქართველოს მთავრობას და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიას. ჩვენს მამულს რა მოგება აქვს ამით?! — არაფერი, გარდა იმისა, რომ უმოწყალო ექსპლუატაციას უწევენ მის ბაზას ეკოლოგიური, დემოგრაფიული, სოციალური, მეცნიერული და სხვა პრინციპების უხეში დარღვევებით.

ჩვენი ინსტიტუტი პირდაპირ ექვემდებარება საბჭოთა კავშირის სამედიცინო მეცნიერებათა აკადემიას. ამან გამოიწვია ის მდგომარეობა, რომ ინსტიტუტი თანდათან აივსო სხვადასხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული კადრებით (დღეს ჩვენ ორგანიზაციაში 700-მდე თანამშრომელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ კიდევ 200-მდე თანამშრომელს ადლერისა და ტამიშის ფილიალებში). რა თქმა უნდა, ადგილობრივი კადრებიც ბლომად არიან, მაგრამ ისინი უმეტესად დამხმარე პერსონალს წარმოადგენენ. უსამართლო სოციალური პოლიტიკის შედეგად წლების განმავლობაში ინსტიტუტში ჩამოყალიბდა ყოველნაირად პრივილეგირებული ელიტა, რომჩლიც თავის თავს უწოდებს „რუსსკოიაზჩინაია ნეგრუზინსკაია ჩასტ კოლლეკტივა“. პირველ ყოვლისა, მათ ეკუთვნით სამეცნიერო ხარისხის მიღება, სოციალისტურ და კაპიტალისტურ ქვეყნებში გრძელვადიანი მივლინებები, ისინი არიან უზრუნველყოფილი კომფორტაბელური ბინებით ქალაქის ცენტრში და საგარაკო ნაკვეთებით, ადგილობრივი მოსახლეობა კი მძიმე პირობებში ცხოვრობს — მხედველობაში მაქვს ინსტიტუტის საერთო საცხოვრებელი, რომელიც უკვე 10 წელიწადია საშინელ ავარიულ მდგომარეობაშია. რა თქმა უნდა, ელიტის წევრებს შორის აქა-იქ გვხვდებიან ქართველები, მაგრამ ისინი მორჩილნი, ქედმოხრილნი დგანან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატის, ინსტიტუტის დირექტორის, აკადემიკოს ბ. ა. ლაპინის წინაშე. დროა ჩვენი თანამემამულე ელიტირებულები გონს მოეგონ! პირადი ანგარებით გარჯა, როდესაც შენს სამშობლოს, ხალხს უპირს, დანაშაულია!

უსამართლო სოციალური პოლიტიკის შედეგად ინსტიტუტი დღეს წარმოადგენს ერთგვარ ავტონომიას შიგ აფხაზეთის ავტონომიაში. წლების განმავლობაში ინსტიტუტიდან გამოდიოდა მხოლოდ ის ინფორმაცია, რაც აწყობდა ორგანიზაციის ხელმძღვანელობას. ერთა თვითგამორკვევის პროცესმა საკმაოდ ააფორიაქა კოლექტივის თბილად მოკალათებული პრივილეგირებული ნაწილი. ისინი საკმაოდ აქტიურად ჩაებნენ ამ პროცესში, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ დაიცვან და უფრო განამტკიცონ თავიანთი პრივილეგიები. „ინტერნაციონალიზმით“ შეინიღბულმა რუსულენოვანმა არაქართულმა ელიტამ საქართველოსათვის უმძიმეს პერიოდში განსაკუთრებული სიმძაფრით გამოყო ბაზმი. აი, ფაქტიც: როგორც მოგეხსენებათ, ივლისის ტრაგედიის წინაპერიოდში, აფხაზეთში შექმნილი ვითარების ვითომ შესასწავლად სოხუმში მუშაობდა აფხაზი სეპარატისტების მიერ მოწვეული საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა კომისია. მათ ისე „ობიექტურად“ განიხილეს რესპუბლიკაში შექმნილი მდგომარეობა, რომ სოხუმში სისხლი დაიღვარა. ამ დანაშაულში თავისი წვლილი შეიტანა ჩვენს ინსტიტუტში შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა, რომლის წევრებიც გაბლდნენ ადმინისტრაციის, პარტიული ბიუროს, პროფკავშირული საბჭოს წევრები. გასაკვირი აქ არაფერია, რადგან ზუსტად იქ არიან თავმოყრილი „ინტერნაციონალიზმის“ იდეებით ფრთამესხმული „პიროვნებები“. მათ, ბ. ლაპინის ხელმძღვანელობით, შეადგინეს წერილი, გააჩაღეს ხელმოწერის კომპანია და წარუდგინეს იმყამად სოხუმში მყოფ უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატთა კომისიას. მიმართვაზე ხელის მოწერას სთავაზობდნენ მხოლოდ არაქართველ თანამშრომლებს, რამაც გამოიწვია კოლექტივის ხელოვნური დაყოფა, შემდეგ კი „ინტერნაციონალიზმის“ დითირამბებით ბრწყინვალედ ასრულებენ პარტიის დავალებას ჩვენი კოლექტივის საუკეთესო წარმომადგენლები. გთავაზობთ მიმართვის ტექსტს: —

ДОРОГИЕ ЗЕМЛЯКИ!

Трудно переоценить значение демократических преобразований, происходящих в нашем отечестве,—Союзе советских социалистических республик. От успеха перестройки зависят наши личные судьбы, судьбы наших детей, судьба страны, возможно, и судьба человечества. Поражение перестройки имело бы катастрофические последствия.

Развитие событий показывает, что едва ли не главная угроза для перестройки сегодня — стремление рассматривать различные проблемы политической и экономической жизни республики с позиций исключительно национальных. Это нередко приводит к межнациональным распрям. К сожалению, этот опасный процесс зашел весьма далеко и в республиках, с которыми мы связали свою судьбу, — Грузинской ССР и Абхазской АССР. На страницах республиканских органов печати все чаще предоставляется место публикациям, которые сеют недоверие между людьми разных национальностей. Недостаточно четкую позицию, взвешенно учитывающую интересы всех советских людей, живущих и работающих в Абхазской АССР, занимают и руководящие органы нашей автономной республики. В этих условиях мы, люди различных национальностей, — жители Абхазской АССР, считаем своим долгом определить позицию по животрепещущим вопросам, волнующим всех.

МЫ КАТЕГОРИЧЕСКИ ПРОТИВ:

1. Лозунгов о выделении Грузинской ССР из СССР.

2. Разделения любых организаций и учреждений Абхазской АССР по национальному признаку.

3. Ущемления каких-либо

ეროვნული ბიბლიოთეკა

прав граждан любой национальности, проживающих в Абхазской АССР.

4. Создания национальных вооруженных формирований.

5. Введения в нашей стране какого-либо другого статуса гражданства, кроме гражданства СССР.

6. Введения грузинского языка в качестве единственного государственного языка на территории автономных образований Грузинской ССР.

МЫ ЗА:

1. Дальнейшую демократизацию политической и экономической жизни.

2. Обеспечение реального полновластия Советов, полноправного участия в их работе представителей всех национальностей, проживающих в Абхазской АССР.

3. Достижения полноценного культурного и экономического суверенитета Грузинской ССР в пределах СССР.

4. Наполнение реальным содержанием суверенитета Абхазской АССР.

5. Предоставление всем нациям и народностям, проживающим в Абхазской

პრინციპებით

АССР, — абхазцам, грузинам, армянам, русским, украинцам, грекам, евреям, эстонцам и всем другим возможности развивать культуру своих народов, иметь доступ к средствам массовой информации.

6. Ликвидацию всех незаслуженных привилегий, особенно способствующих разжиганию национальной розни.

7. Неукоснительное соблюдение законности и правопорядка, обеспечение равной правовой защищенности всех трудящихся Абхазс к о й АССР.

8. Всяческое поощрение и развитие всего, что способствует дружбе, сплочению всех честных людей труда.

ДОРОГИЕ НАШИ БРАТЬЯ, АБХАЗЦЫ И ГРУЗИНЫ!

От чистого сердца призываем вас — во имя наших великих предков, во имя грядущих поколений, ваших детей и внуков — протяните друг другу руки, отбросьте преходящие амбиции, станьте плечом к плечу, как стояли в трудную годину ваши предки много веков назад!

ЛЮДИ ВСЕХ НАЦИОНАЛЬНОСТЕЙ АБХАЗИИ!

Вне зависимости от происхождения, вероисповедания, различий во взглядах на политические проблемы, объединяйтесь на позициях подлинного интернационализма!

სამწუხაროდ, ვერ ვამტკიცებთ, მაგრამ არის დამადასტურებელი ფაქტები, რომ მიმართვის ტექსტი არ არის ზუსტი ასლი. ეს ტექსტის მე-2, უფრო შერბილებული ვარიანტია, წერილი, რომელიც გადაეცა კომისიას, უფრო ვრცლად დაწერილი და უფრო „შთამაგონებელი“ იყო. ამას ამტკიცებენ ის თანამშრომლები, რომლებმაც ნახეს ტექსტის პირველი ვარიანტი ხელის მოწერის დროს. ამ აქციამ გამოიწვია ქართველი თანამშრომლების აღშფოთება. ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვეთ ახსნა-განმარტება. რეაქციული წერილის სულისჩამდგმელები იძულებული იყვნენ თავი გაემართლებინათ და ტექსტიც უფრო შეალამაზეს.

თბილად მოკალათებული ჩვენი კოლექტივის „რუსულენოვანი“ ნაწილის წარმომადგენლები ვერ მალავენ თავიანთ ზიზღს ყოველივე ქართულისადმი. სხვაგვარად ვერ აიხსნება ქართველთა ის შეურაცხყოფა, რაც კარგად გამოხატავს ინსტიტუტში შექმნილ ატმოსფეროს. რიგგარეშე არჩევნების წინაპერიოდში ჩვენს კოლექტივში ამომრჩევლებთან შეხვედრა მოისურვა საქართველოს უმაღლესი საბჭოს სახალხო დეპუტატობის კანდიდატმა, ცხუმაფხაზეთის მიტროპოლიტმა დავითმა. ერთმა ქალბატონმა მას შეკითხვა მისცა ქართულ ენაზე. უცბად მომესმა საშინელი წამოძახილი: „ნდაელ ვაშ კიტაისკი იაზიკ“ (მათ თურმე ჩინური ენაც არ ეხატებათ გულზე!). ეს კიდევ არაფერი, განა ცოტანი არიან შეუგნებელნი?! — ამ წამოძახილს მხარი დაუჭირა თითქმის მთელმა დარბაზმა, რომლის უმრავლესობასაც წარმოადგენდა ჩვენი კოლექტივის „ინტელექტუალური ბირთვი“. ამ შემთხვევამ, რა თქმა უნდა, გამოიწვია რეზონანსი, მაგრამ ქართველი თანამშრომლის აღშფოთება მონათლეს, როგორც ფსიქოზი, კოლექტივის გაუოფის მცდელობა და ა. შ.

უკვე იყო აღნიშნული, რომ ჩვენი ინსტიტუტი სამეცნიერო კვლევებს აწარმოებს ისეთ უნიკალურ ობიექტზე, როგორიც არის მაიმუნი. მათი რაოდენობა ინსტიტუტში და მის ფარგლებს გარეთ (აღლერის, ტამიშის, სოხუმის, ენგურჰესის რაიონები) აღწევს 6000, პერსპექტივაში კი უფრო მეტად გაიზრდება. ამდენი რაოდენობის მაიმუნი არ არის საჭირო მეცნიერული კვლევისათვის. საკმარისი იქნებოდა 500-მდე ცხოველიც, მაგრამ ჩვენი დირექცია დღეს უფრო მეტ უურადღებას ანიჭებს მაიმუნების მოშენებისა და გაყიდვის პროცესს, ვიდრე მეცნიერებას. ამაში იოლად დარწმუნდებით, თუ გადახედავთ ინსტიტუტის ლაბორატორიების ძლიერ ლარიბ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, გარდა თითო-ოროლა ლაბორატორიისა, სადაც მუშაობენ ელიტის პრივილეგირებული თანამშრომლები. მაიმუნების გაყიდვა დიდ შემოსავალს აძლევს ინსტიტუტს, მაგრამ ღმერთმა უწყის, სად მიდის ეს შემოხავალი! ასეთი მასშტაბით მაიმუნის მოშენებამ, ყოველგვარი სანიტარული ნორმების გათვალისწინების გარეშე, შექმნა საშინელი ვითარება — თანამშრომლებს ემუქრებათ სხვადასხვა ეპიდემიით დაავადებების საშიშროება, სავალალოა ინსტიტუტის ახლომდებარე ადგილების მცხოვრებთა ყოფა! საწმენდი დანადგარების უქონლობის გამო წლების განმავლობაში ცხოველთა გამონაყოფი ფეკალური მასები საერთო კანალიზაციით ჩაედინებოდა ზღვაში.

ინსტიტუტში შექმნილი კატასტროფული მდგომარეობის აღმოფხვრა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ ის გამოეყოფა საკავშირო სამედიცინო აკადემიას და დაექვემდებარება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას. ამ წინადადებას მხარი უნდა დაუჭირონ ორგანიზაციებმა, საზოგადოებებმა და ასოციაციებმა. ყველამ, ვისაც აწუხებს საქართველოს სამედიცინო განათლების, სამეცნიერო-სამედიცინო პედაგოგიური კადრების აღზრდის, სამედიცინო მეცნიერების განვითარების ბედი და, ბოლოს, ყველაზე მთავარი — საქართველოს სრული დამოუკიდებლობა.

მარინე სხულუხია,

ფსიქოფარმაკოლოგიის ლაბორატორის ასპირანტი.

ინტერვიუ სსრ კავშირის სახალხო დეპუტატ ბ. ნ. ელცინთან

„რუს ადამიანს მაინც მააჩნია სამშობლო“

როცა დილაადრიან დანიშნულ შეხვედრაზე მივიჩქაროდი კალინინის პროსპექტზე მოსკოვში, რატომღაც გამახსენდა XIX საკავშირო პარტკონფერენციის ერთი ეპიზოდი: ე. კ. ლიგაჩოვი თითის ქნევით იმუქრებოდა და ყვიროდა: „შენ კი ბორის...“; მერე კი — ბ. ელცინი სთხოვდა კონფერენციას მოეხდინათ მისი პოლიტიკური რეაბილიტაცია. ეს თხოვნა იმ ხანებში უარყვეს, მისი რეაბილიტირება დრომ და ხალხმა გახადა შესაძლებელი.

ესტონეთის სატელეგრაფო სააგენტოს კორესპონდენტის რ. ამოსის აღნიშნული ინტერვიუ გამოქვეყნდა 1990 წლის 20 თებერვალს გაზეთში „მოლოდიოჟ ესტონიი“.

— ბორის ნიკოლოზის ძევ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამას წინათ ჩატარებულ პლენუმზე თქვენ განაცხადეთ, რომ პარტიის ხანგრძლივმა მონოპოლიამ ძალაუფლებაზე, გადააქცია იგი ბიუროკრატიულ სტრუქტურად, რამაც ქვეყანა მიიყვანა უკიდურეს მდგომარეობამდე, ხალხი კი—ათეულ მილიონობით ადამიანი—სიღატაკემდე, ამისათვის პასუხი უნდა აგონ. პასუხი უნდა აგონ, ცხადია, პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობამ, პოლიტბიუროს წევრებმა, და არა, როგორც ჩვეულებრივ მიღებულია ხოლმე, მხოლოდ პირველმა პირმა.

შეგიძლიათ თუ არა თქვენ გამოყოთ ვინმე კონკრეტულად ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს შემადგენლობიდან, ვინც ყველაზე მეტადაა დამნაშავე ხალხის წინაშე?

— თითოეულმა უნდა აგოს პასუხი თავის უბანზე. ლიგაჩოვმა უნდა აგოს პასუხი სასურსათო პროგრამაზე, ანტიალკოჰოლურ დადგენილებაზე, რომელმაც ამდენი ზარალი მიაყენა ქვეყანას. მან პასუხი უნდა აგოს საკადრო პოლიტიკაზეც. ეს მისი შედგენილია პირველ მდივანთა საკრებულო, რომლებიც დღეს ყველაზე კონსერვატულნი არიან და, ფაქტიურად, ამუხრუჭებენ გარდაქმნას. მანვე დააკომპლექტა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპარატი; კიდევ ბევრი რამისთვის შეიძლება ვუსაყვედუროთ მას.

— ეგორ კუზმას ძის გარდა, კიდევ ვის შეიძლება ბრალი დაედოს?

— გნებავთ — გორბაჩოვს. მოვლენები თბილისში...

— მაინც მას ედება ბრალი, არა?

— ლიგაჩოვმა ხომ გასცა ისიც და პოლიტბიუროც. მაშასადამე, პოლიტბიუროს სხდომა მაინც გამართულა, ამის თაობაზე კი უნდა უთხრან ხალხს. და მერე — შეცდომები და არათანმიმდევრობა გარდაქმნის ჩატარებაში...

და კიდევ: რატომ წავიდნენ ასე მშვიდობიანად კუნაევი, შჩერბიცკი, რომანოვი, გრიშინი, რომლებმაც ქვეყანა ინფარქტისწინა მდგომარეობამდე მიიყვანეს? ისინი ხომ საპატიოდ გააცილეს პენსიაზე — აგარაკებით, დიდი პენსიებით; მათ მისცეს ყველაფერი, ყველაფერი, ყველაფერი. რაც მომუშავე პოლიტბიუროს წევრს ერგება.

იაზოვი. მან უნდა აგოს პასუხი თბილისზეც, ბაკოზეც, იმაზეც, რომ არავითარი განახლება და რეფორმა არ ჩატარებულა არმიაში, სადაც ხუთი წლის განმავლობაში არაფერი შეცვლილა.

რაზუმოვსკი. რატომაა, რომ ხუთი წელია ჭიანურდება განახლება პარტიაში? პარტია თავის თავს ავანგარდულს უწოდებს, სინამდვილეში კი იგი კუზმა მიჩანჩალებს საზოგადოებას, რომელიც მუდამ წინ უსწრებს სკკპ-ს. ბალტიისპირეთის რესპუბლიკები წინ უსწრებენ საზოგადოებას, პარტია კი სულ ბოლოშია. პარადოქსია! და გარდაქმნა შიგნით, თავის რიგებში, საერთოდ არ გაუტარებია. აქ არ არის არავითარი განახლება. პარტიამ თავისი პლატფორმა მხოლოდ ახლა წარმოადგინა, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი ბოლომდე რადიკალური არ არის. და მე ხმა მივეცი მის წინააღმდეგ.

— თქვენ ერთადერთი იყავით?

— ერთადერთი. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სხვები მას მხარს. მთლიანად უჭერენ. სამწუხაროდ, შიშის ამდაგვარი ელემენტი ჯერ კიდევ არის.

— სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე თქვენ წამოაყენეთ წინადადება, უარი ეთქვათ დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპისათვის და შეეცვალათ იგი საერთო-დემოკრატიული პრინციპებით, რომლებიც უზრუნველყოფენ ნამდვილ პლურალიზმს პარტიაში, უმცირესობის უფლებათა გარანტიას, აზრის თავისუფლებას და პარტიის წევრის, ქვეყნის მოქალაქის მიერ თავისი პოზიციის, პოლიტიკური უფლებების, პიროვნებების თავისუფლების დაცვას. როგორ უნდა შეიცვალოს აზროვნება პარტიაში, რათა განხორციელდეს ეს პრინციპები?

— პირველი: მისცენ შესაძლებლობა, რათა შეიქმნას სხვადასხვა ფრაქციები და პლატფორმები. აი, რა არის პლურალიზმი.

— მაგრამ მივიდნენ კი პარტიის რიგითი წევრები აქამდე?

— მე ვფიქრობ, რომ მაინც უნდა დაიწყოს ეს პროცესები იმისათვის, რათა ადრე მივიდეთ საბოლოო მიზნებამდე. პირველად ორგანიზაციებში შეხვედრისას — მე კი ბევრჯერ მაქვს ასეთი შეხვედრები — ადამიანები იმის მომხრენი არიან, რომ პარტია შემდგომში აღარ უნდა იყოს ასეთი მკაცრი.

სახალხო დეპუტატთა ყრილობის წინ ტარდება პლენუმი, სადაც ყველაფერს თავისი ადგილი ეძლევა. მე გამოვდივარ პლენუმზე და ვამბობ, რომ არ შეიძლება მიღებულ იქნას ასეთი გადაწყვეტილება, და არ შეიძლება მისი განხილვაც კი. ესაა ყრილობის საკითხები და მხოლოდ ყრილობაა რწმუნებული, გადაწყვიტოს ისინი. მერე კი ღებულობენ გადაწყვეტილებას, და მე სულელურ მდგომარეობაში ვვარდები. დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების შესაბამისად, უნდა დავემორჩილო უმრავლესობას, მაგრამ ეს ეწინააღმდეგება ჩემს პრინციპებს. როგორ უნდა ვიმუშაო ყრილობაზე: როგორც სკკპ წევრმა თუ როგორც სახალხო დეპუტატმა?

დემოკრატიული ცენტრალიზმი ჩვენ ხომ ლენინის დროიდან გადმოგვეცა, როცა იგი იატაკქვეშა პარტიას ქმნიდა — მებრძოლ პარტიას, რომელიც მზად იყო ხელში აეღო ძალაუფლება, და არა — დემოკრატიულს.

ეს ერთი; მეორე კი ის გახლავთ, რომ ლენინს მუდამ მიაჩნდა: პრინციპები მოქმედებენ პარტიის შიგნით და არავითარ შემთხვევაში არ ვრცელდება საბჭოებზე და სხვა სამოქალაქო ინსტიტუტებზე.

— თქვენ, ბორის ნიკოლოზის ძევ, გეკუთვნით თუ არა აზრი იმის თაობაზე, რომ უარი ეთქვას აპარატს, როგორც ხელისუფლების მანქანას, და საჭიროა არჩევითი ორგანოებისა და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივანთან საბჭოების ძალებით პარტიაში მოხდეს გადასვლა თვითმმართველობის დემოკრატიულ-პრინციპებზე?

— დიახ, საჭიროა პარტიის უაპარატო სტრუქტურაზე გადასვლა.

— რა მოუვათ აპარატის ახლანდელ მუშაკებს? სად უნდა გამოიყენონ ისინი?

— გაიჩნია, ვის რა შეუძლია. ზოგი ჟურნალისტია, ზოგი დაზგასთან დადგება, ზოგიც მშენებლობას მიაშურებს...

— დარწმუნებული ხართ, რომ ისინი შეძლებენ სხვაგან მუშაობას? აპარატში ხომ ათწლეულების მანძილზე მუშაობენ?

— დარწმუნებული ვარ, რომ მათ უმრავლესობას მართლაც არაფრის გაკეთება არ შეუძლია. მაგრამ, ჯერ ერთი, იქ ასაკოვანი ადამიანებიც არიან, ისინი პენსიაზე უნდა გაუშვან. იმათ კი, ვისაც ჯერ კიდევ შეუძლიათ რაღაც გააკეთონ, სამუშაოდ უნდა მიაშურონ მომსახურების სფეროს, სხვა დარგებს. ბოლოსდაბოლოს, ჩვენში ჯერ არ არის უმუშევრობა, პირიქით, — ძალზე ბევრია სამუშაო ადგილი.

— მინდა შევეხო მრავალპარტიულობის საკითხს. კონკრეტულად როდის და როგორ მოხდება ეს?

— მე ვთვლი, რომ თუ ახლა და სკკპ XXVIII ყრილობის გადაწყვეტილებების შემდეგ პარტიის განახლება უფრო რადიკალური აღმოჩნდება, ვიდრე პლენუმის მიერ დამტკიცებული პლატფორმითაა გათვალისწინებული, მაშინ პირველი ეტაპი — ესაა პარტიაში სხვადასხვა ფრაქციებისა და პლატფორმების შექმნა, რომელთაც თავისი შემადგენლობა, თავისი ორგანიზაციული სტრუქტურა ექნებოდა და წარმომადგენლობა ეყოლებოდა ხელისუფლების ყველა ორგანოში. წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტიაში მოხდება განხეთქილება და შეიქმნება ახალი პარტია.

— როგორი პლატფორმა ექნებამას?

— ჩვენ გვაქვს დემოკრატიული პლატფორმა. მაგრამ საქმე სახელწოდება კი არა, პრინციპები და პროგრამაა. უკვე მომზადებულია დებულება და დეკლარაცია სკკპ-ში დემოკრატიული პლატფორმის თაობაზე.

— ესე იგი, თქვენ დემოკრატიულ პარტიაში შეხვალთ?

— საქმე სახელწოდება როდია...

— არამედ დემოკრატიული პლატფორმა?

— დიახ.

— დავუბრუნდეთ სკკპ-ს. თქვენ სთავაზობთ თანდათანობით გადასვლას ჰორიზონტალურ სტრუქტურაზე პარტიაში, ე. ი. კომუნისტთა გაერთიანებას მიზანმიმართული, ფუნქციონალური და ტერიტორიული პრინციპებით. როგორ ფიქრობთ, კომუნისტები მიიღებენ ამ სიახლეს?

— ვფიქრობ, რომ ამას ყველა არ გაიზიარებს. აქ რამდენიმე ეტაპიდან უნდა გამოვდიოდეთ. მე მგონია, რომ ამ პრინციპში მდგომარეობს დაახლოება ადამიანებთან, ხალხთან. მაგრამ ეს პროცესი მშვიდად, ნელა უნდა მიმდინარეობდეს. ამისათვის უნდა მომზადდეს კომუნისტთა ფსიქოლოგია. მეორე ეტაპზე უნდა მოაშორონ პოლიტორგანოები და პარტორგანიზაციები სახელმწიფო დაწესებულებებში.

(დასასრული მე-4 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აქედან გამომდინარეობს კითხვა — როგორ უნდა მოხდეს არმიის, შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის დეპოლიტიზაცია?

— უნდა მოხდეს მათში პოლიტორგანოების ლიკვიდაცია.

— არმიის, შსს-სა და სუკ-ის ოფიცრებისა და მოსამსახურეების აუცილებელი უპარტიულობა — ჩვენში ეს შესაძლებელია თუ უტოპია?

— მე ვთვლი, რომ ეს არ არის უტოპია. იქამდეც კი უნდა მივიდეთ, რომ პრეზიდენტმა — არა აქვს მნიშვნელობა, იგი ქვეყნის თუ რესპუბლიკის პრეზიდენტია, — თავისი რწმუნებების პერიოდში შეაჩეროს თავისი წევრიანობა ნებისმიერ პარტიაში თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციაში. იგი თავისი გადაწყვეტილებების მიღებისას დამოუკიდებელი უნდა იყოს.

— რატომ წამოჭერით თქვენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე საკითხი იმის თაობაზე, რომ პარტიული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები უნდა ექვემდებარებოდნენ მხოლოდ ყრილობას ან პარტიულ კონფერენციას?

— როგორც შუალედური ეტაპი, რათა ისინი შემდეგ საერთოდ დამოუკიდებელი გახდნენ.

— ახლა იგრძნობა პოლიტბიბიუროს რომელიმე წევრის გავლენა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე?

— დიახ, პირდაპირი. როგორ შეიძლება გავლენა არ ჰქონდეს, ვთქვათ, „პრავდაზე“ ცენტრალური კომიტეტს, თუ ამ გაზეთის მთავარი რედაქტორი არის სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

— ბევრ გამოსვლაში თქვენ დაბეჯითებით მოითხოვდით და ახლაც მოითხოვთ, რომ საჭიროა უარი ეთქვას ნომენკლატურის ელიტარულობას, არ არის საჭირო ჩაერიონ იმ რანგის ხელმძღვანელთა დანიშვნისა თუ არჩევის საკითხებში, რომლებიც ადგილობრივი საბჭოების თუ სახალხო დეპუტატთა ყრილობის პრეროგატივაა. საჭიროა უარი ეთქვას ყველა პრივილეგიას პარტიაში. ახლა კი როგორი პრივილეგიები აქვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს?

— ცენტრალური კომიტეტისა და პოლიტბიუროს წევრები უნდა განვაცალკევოთ ერთმანეთისაგან. ეს სულ სხვადასხვა გაგებაა. პოლიტბიუროს წევრებს უდიდესი პრივილეგიები გააჩნიათ. უნდა კი თქმა იმას, აკლიათ თუ არა მათ რამე? მათი ცხოვრება მხოლოდ და მხოლოდ პრივილეგიებისაგან შედგება.

არსებობს ისეთი მონსტრი, როგორიც არის სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მეცხრე სამმართველო, რომელიც ხელმძღვანელობას ესახურება და არავინ იცის, რა სახსრებს ხარჯავს მის შენახვაზე ხალხი, იქ კი ათასობით კაცი მუშაობს. ყველა აგარაკსა და საკუთარ სახლს (ასეთები კი ასეულობითაა), რომლებიც წლობით უკაცრიელია და არავინ ცხოვრობს, მუდმივად ჰყავს დაცვა. სახელმწიფო აგარაკები, რომლებშიც პოლიტბიუროს წევრები ცხოვრობენ, აკი უფასოა. იქ კი არიან მზარეულები, ოფიციანტები, დაცვა.

— ბორის ნიკოლოზის ძევ, საინტერესოა რაში იხდიან პოლიტბიუროს წევრები ფულს? ვთქვათ, მათ შეუკერეს კოსტუმი, ან კარგად ისადილეს. ვინ გადაიხდის ფულს?

— იქნებ მე უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდე. შესაძლოა, მათ ყველაფერ ამისაგან უკვე უარი თქვეს! მაგრამ მაშინ, როცა მე პოლიტბიუროს შემადგენლობაში ვიყავი, ყველაფერი მეცხრე სამმართველოს ხარჯით ხდებოდა. მათ სპეციალური საბავშვო ბაღები და სანატორიუმებიც კი აქვთ.

— ვამთავრებ რა საუბარს შიდა პარტიულ საქმეებზე, კიდევ მინდოდა შეკითხა თქვენთვის — რა აზრის ბრძანდებით პარტიული საწევროების შესატანი თანხის შემცირების თაობაზე?

— ჯერ ერთი, საჭიროა პარტიული საწევროების შეტანისაგან გავანთავისუფლოთ სტუდენტები და პენსიონერები. ეს — უსიტყვოდ. ხოლო სხვა კომუნისტებისათვის რეალური შესატანი თანხის შემცირება — 1,5-2-ჯერ.

— თქვენ გამოთქვით აზრი, რომ საჭიროა სახელმწიფოსა და სკკპ მშენებლობის უნიტარული პრინციპიდან გადასვლა ხალხების ნებაყოფლობითი კავშირისაკენ და რესპუბლიკების კომპარტიების კავშირის ნებაყოფლობითი კავშირისაკენ. როგორ უნდა იქნას მიღწეული ეს ჩვენი საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე?

— ისე, როგორც ამას თქვენ აკეთებთ.

— პარლამენტური და დემოკრატიული გზით?

— დიახ, პარლამენტური და დემოკრატიული გზით. რასაკვირველია, თუ არ ჩაიდენენ სისულელეს და ძალით არ დატოვებენ რომელიმე რესპუბლიკას, რომელმაც მოისურვა სსრ კავშირის შემადგენლობიდან გასვლა!

წინასაარჩევნო პროგრამაში თქვენ, კერძოდ, წინადადებას აყენებთ შემუშავებულ იქნას რუსეთში რუსი მოსახლეობის ნებაყოფლობითი დაბრუნების ორგანიზება, რომლებიც დღეს ცხოვრობენ სსრ კავშირის ნაციონალურ რაიონებში. როგორ გესახებათ თქვენ ასეთი პროგრამის განხორციელება მორალურად და მატერიალურად?

— მე მგონია, რომ რუსეთის ფედერაციის საზღვრებში დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოს ყველა ავტონომიას, ხოლო სხვა ტერიტორიებზე უნდა შეიქმნას, ჯერ პირობითად, ექვსი დამოუკიდებელი რუსული ტერიტორია, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა რუსები იქნებიან. და რომ რუსმა იცოდეს, რომ მას მაინც აქვს საშშობლო. ისე როგორც საშშობლო გააჩნიათ ესტონელებს, ლატვიელებს, ნებისმიერ სხვა ხალხს. ამიტომ საჭიროა კანონი იმის შესახებ, რომ თუ ადამიანს ან ოჯახს სურს ნებაყოფლობით დაბრუნდეს, ან უბრალოდ ჩავიდეს ამ დამოუკიდებელ რუსულ ტერიტორიაზე, მათ იქ სიამოვნებით მიიღებენ. ჯერ ერთი, იმ ქონების კომპენსაციის გათვალისწინებით, რაც რჩება იქ, რესპუბლიკაში, და მეორე, რასაკვირველია, უნდა შეიქმნას სამუშაო ადგილები და სოციალური პირობები რუსეთში საცხოვრებლად. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ ველით ადამიანებს სოფლად, სადაც ჩვენ კოლოსალური ვაკუუმი გვაქვს. ასეულობით სოფელი ხომ უკაცრიელია, გაჩანაგებულია. ჩვენ უნდა აღვადგინოთ ეს მიწები — წარსულში რუსეთი არა მარტო თავად ირჩენდა თავს, არამედ გაჰქონდა კიდეც ქვების პროდუქტები უცხოეთში. ახლა კი?

— თქვენ გამოთქვამდით აზრს ზოგიერთი პროგრესული იდეებისათვის მხარდაჭერის თაობაზე. რა იდეებია ეს?

— არა. მე ასე არ მითქვამს. უფრო სწორად, მე ვამბობდი, რომ საზოგადოება „პამიატი“ ახლა ფრაქციებად იშლება. ამ საზოგადოების ექსტრემისტულ ნაწილს მე კატეგორიულად უარვყოფ. ხოლო მხარს ვუჭერ იმას, რითაც იწყებოდა ეს მოძრაობა — ბრძოლა ძეგლთა დაცვისათვის, მათი რესტავრაციისათვის, რუსული კულტურის შესწავლისათვის, მისი ისტორიის, არქიტექტურის შემდგომი წინსვლისათვის.

— როგორ გესახებათ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების მომავალი? როგორია მათი დამოკიდებლობის ხარისხი. სსრ კავშირში იარსებებენ ისინი, თუ მის ფარგლებს გარეთ?

— მე რესპუბლიკების მაქსიმალური დამოუკიდებლობის მომხრე ვარ. ცენტრმა უნდა დაიტოვოს რაღაც მცირე სხივი სტრატეგიული დაგეგმარებისა მინიმალური აპარატით. აი, როგორი უნდა იყოს ცენტრი. ყველა დანარჩენი უნდა კეთდებოდეს რესპუბლიკების მიერ.

მე მგონია, რომ მიიღებენ რა ასეთ მაქსიმალურ დამოუკიდებლობას, ის რესპუბლიკები, რომელთაც სსრ კავშირის შემადგენლობიდან სურთ გასვლა, ბევრად შემცირდება წინააღმდეგობა და დაძაბულობაც შენელდება. რატომ არ შეიძლება ვცადოთ, თუ რა არის ამნაირი დამოუკიდებლობა, — მაგრამ სსრ კავშირის შემადგენლობაში? გაივლის რამდენიმე წელი, ვთქვათ სამი წელი, და მაშინ რესპუბლიკაც და მისი ხალხიც თავად განსაზღვრავენ: თუ ყოველი დანაპირები მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, კანონები არ მოქმედებს და ცენტრსაც არ სურს ძალაუფლება რესპუბლიკებს მისცეს, მაშინ ადვილად შესაძლებელია, რომ რესპუბლიკები წავიდნენ სსრ კავშირისაგან გამოყოფის გზით.

— თქვენს ინტერვიუში, რომელიც გაზეთ „სანდი ტაიმსში“ დაიბეჭდა, ბრძანეთ, რომ არის წინაპირობა იმისათვის, რომ საბჭოთა კავშირში მოხდეს რუმინული ვარიანტი?

— თქვათ, ჩვენთან ცენტრში არ მიიღეს რადიკალური ზომები, რომლებიც ხელს შეუწყობდნენ საზოგადოების დემოკრატიზაციასა და განახლებას. ადამიანები კი უკვე დაიღალნენ, ცვლილებები უკეთესობისაკენ არ ჩანს, და ამ მდგომარეობაში ერთადერთი გამოსავალი ის არის რომ ხალხი თავად განაგებს თავის ბედს. მაგრამ გვჯერა კი ჩვენ იმისა, რომ ეს პროცესი წარიმართება ცივილიზებულ ჩარჩოებში, როგორც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, და არა როგორც რუმინეთში? ჩვენში ხომ ეს ორგანოები — სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, არმია — ძალზე ძლიერი არიან. ცოცხალი მაგალითებით ჩვენ ვხედავთ, რომ შეიძლება თითოეული მათგანის ამოქმედება. და აი, მაშინ შესაძლოა მოხდეს სამოქალაქო ომი. თუმცა, რასაკვირველია, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იქნას დაშვებული, რადგან გამოიწვევს ადამიანთა მსხვერპლს.

— თქვენ გამოთქვით აზრი იმის შესახებ, რომ მ. ს. გორბაჩოვი თავის მოქმედებებში ყოველთვის ჩამორჩება 2-3 წლით. სად არის გამოსავალი?

— დიახ, გამოსავალი ისაა, რომ მან უნდა შეცვალოს აზროვნება.

— რანაირად?

— იქნებ მან, ბოლოს და ბოლოს, გაიგოს, რომ არ უნდა დაეყრდნოს მარჯვენა, კონსერვატიულ ფრთას. და, ბოლოს, უნდა მოახდინოს არჩევანი ხალხსა და აპარატს შორის. უკვე გავიდა ნახევარლონისძიებებისა და კომპრომისების დრო, რომლებსაც ჩიხში მივყავართ და არაფერს იძლევიან. უკვე დადგა დრო რადიკალური ზომების მიღებისა!

— პრესაში ამ უკანასკნელ დროს ბევრს სწერენ იმის თაობაზე, რომ თქვენი საარჩევნო კამპანიის საბოლოო მიზანი რუსეთის პრეზიდენტობაა?

— არა. მე ასეთი ამოცანა არ დამისახავს. უბრალოდ, ამომრჩევლებმა ჩემი დეპუტატობის კანდიდატად წამოყენებისას მოითხოვეს, რომ მე არ მოვქცეულიყავი ისეთნაირად, როგორც მოვიქეცი სსრ კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე, სადაც უარი განვაცხადე. აი, ამისი პირობა მივეცი ამომრჩევლებს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე მთელი ძალღონით ვიბრძოლებ რუსეთის პრეზიდენტობისათვის.

— მაგრამ თუ თქვენ მაინც აგირჩიეს პრეზიდენტად, როგორი იქნება თქვენი პირველი ნაბიჯები?

— უპირველესად გავაკეთებდი იმას, რაც არ გაუკეთებია ჩვენს ცენტრს მთელს ქვეყანაში — ესაა ყველა რეფორმის რადიკალიზაცია. და ყველა საკითხთა შორის უპირველესი — ესაა ნაციონალური საკითხი. უნდა მოვერიდოთ გართულებებს ამ სფეროში. ეროვნულ წარმონაქმნებს უცებ უნდა მივანიჭოთ პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, უფლება თვითგამორკვევისათვის, გამოსვლისთვისაც კი. და ყოველივე ამის შედეგად აღარ იქნება დაძაბულობა, რომელიც არსებობს.

თარგმნა ნოდარ მიქაძემ.

პოლემიკა

ბედნიერება სხვათა ხარჯზე?!

გაზეთმა „სოვეტსკაია აბხაზია“ გასული წლის 30 სექტემბერს გამოაქვეყნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის პროფესორის შ. ლაშხიას სტატია „მოდით ერთად მოვიფიქროთ ამის შესახებ“. ა. წ. 16 იანვარს გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“ გამოქვეყნდა პროფ. ვ. ქარჩავას და დოცენტ მ. ალფენძიძის საპასუხო სტატია, 24 თებერვალს კი პროფ. შ. ლაშხიას პასუხის პასუხი.

უნდა ითქვას, რომ ბევრს (მათ შორის, პოლემიკაში მონაწილე ორივე მხარეს) დღემდე ვერ გაუგია, რომ საქართველოში არსებულ ამჟამინდელ სიტუაციაში აფხაზეთში 1989 წლის 15-16 ივლისს მომხდარი ამბები უნდა გავაანალიზოთ არა პარტიული ფუნქციონირების დრომოჭმული კონცეფციებიდან გამომდინარე, არამედ სოციალისტური სისტემის დაშლის ეპოქაში საქართველოში არსებული ეროვნული პრობლემების თავისებურებათა გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქცირთ ზემოდან ინსპირირებული ეთნიკური კონფლიქტების დაძლეულ შედეგებს. ყველასათვის ნათელი უნდა იქნეს, რომ მისი მიზეზი მესამე ძალაშია, რომელიც მოქმედებს ცნობილი რომაული პრინციპის „გათიშე და იბატონე“-ს საფუძველზე.

ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ მოიცვა მთელი მსოფლიო, გახდა თანამედროვე ეპოქის გლობალური მოვლენა. საბჭოთა კავშირში, რა თქმა უნდა, ეს მოძრაობა განსაკუთრებულ პირობებში მიმდინარეობს. საბჭოთა იმპერიაში, ხელოვნურად შეკოწიწებულმა ეროვნებათა „კავშირმა“ სწრაფად იწყო რღვევა და მთელ რიგ რეგიონებში გამოიღვიძა მანამდე მიძინებულმა ეროვნულმა გრძნობებმა. ასე მაგალითად, ბალტიისპირეთში, მოლდავეთში, საქართველოში და სხვა რესპუბლიკებშიც ამჟამად მიმდინარეობს ეროვნული და ეკონომიკური სუვერენიტეტისათვის მიზანსწრაფული ბრძოლა.

სრულიად ბუნებრივია, რომ ამგვარ სიტუაციაში ადგილი ექნება ზოგიერთ არასასურველ პროცესს. თბილისის, აფხაზეთის, მოლდავეთის, აზერბაიჯანის, სოხეთის, ფერღანის რეგიონების ტრაგიკული ამბები ასეთ მოვლენებთანაა დაკავშირებული. ამ პირობებში საჭიროა ქართველი ერის, საქართველოში მცხოვრებ ყველა ეროვნებათა მტკიცე კონსოლიდაცია.

როგორი შეკავშირებულიც უნდა იყოს ერი და მის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა, მათ შორის მაინც გამოჩნდებიან ისეთი პიროვნებები და დაჯგუფებანი, რომლებიც ძველი სტერეოტიპების ტყვეობაში მყოფნი, ნებსით თუ უნებლიედ მაინც წინააღმდეგობას გაუწევენ ამ მოძრაობას, რასაც საბოლოოდ ისინი საკუთარი ერის წინაშე დანაშაულების ჩადენამდეც კი მიჰყავს.

მართალია, ცალკეული პიროვნებების, ჯგუფების გამოხდომები არსებითად ვერაფერს შეცვლის ქართველი ერის მოზღვავებული ეროვნული თვითშეგნების განვითარებაში, მაგრამ გარკვეული ზიანის მიყენება კი შეუძლია.

აფხაზეთის 15-16 ივლისის ამბების შესახებ ბევრი დაწერილა და ბევრი ტელეგადაცემაც გვინახავს. საგაზეთო ინფორმაციების უმეტესობა რესპუბლიკაში საკმაო ობიექტურობით გამოირჩეოდა, თუმცა ზოგიერთი მათგანი, განსაკუთრებით რაიონული გაზეთი „ბზიფი“ (გუდაუთის რაიონი) და „სოვეტსკაია აბხაზია“ მოვლენების განვითარებისა და მიზეზების ახსნისას არაობიექტურობას იჩენდნენ და ზოგჯერ სამართლესაც ამახინჯებდნენ.

ქვემოთ მოკლედ შევეხებით პოლემიკაში მონაწილე ავტორთა ზოგიერთ შეხედულებებს. როგორც პროფ. შ. ლაშხიას ზემოხსენებული სტატიის (1989 წ. 30 სექტემბერი) სათაურიდან ჩანს, ავტორს მიზნად დაუსახავს ამოხსნას 1989 წლის 15-16 ივლისს სოხუმში მომხდარი ტრაგედიის ნამდვილი მიზეზები, დასახოს ეროვნებათაშორის მშვიდობის დამყარების გზები და განმუხტოს მისგან მემკვიდრეობით მიღებული დაძაბულობანი.

ჩვენი აზრით, ეს მიზანი, სამწუხაროდ, განუხორციელებელი რჩება. მკითხველი ადვილად შეამჩნევს, რომ ავტორს უკისრია აფხაზი ხალხის დაცვა არარსებული შევიწროებისაგან. მართალია, სტატიის ავტორი სამართლიანად აღნიშნავს ე. წ. „აფხაზური წერილის“ ანტიქართულ მიმართულებას (სწორედ ამიტომაც ავტორს პასუხის პასუხში ეს აბზაცი მთლიანად მოჰყავს), მაგრამ ესაა და ეს, — დანარჩენ საკითხებში ის ქართველებს დებს ბრალს აფხაზეთში შექმნილი დაძაბული სიტუაციის გაღრმავებაში.

სტატიის ერთ ადგილას ავტორი პათეტიკურად აცხადებს „არ შემიძლია რა შესაფერი სიტყვები შევარჩიო, ესაა ალბათ აღშფოთება, რომელსაც გრძნობს ყოველი აფხაზი, როდესაც მას ახსენებენ, რესპუბლიკაში თქვენ 17 პროცენტი ხართო“. აქ კრიტიკაც არაა დაძრული იმის შესახებ, რომ არც ერთი ქართველი მეცნიერის გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში, ფორმალებისა თუ არაფორმალების არც ერთ გამოსვლაში, არც ერთ ტელეგადაცემაში არ ყოფილა გამოთქმული აფხაზი ხალხის გრძნობების დამამცირებელი ან შეურაცხმყოფელი აზრები. რაც შეეხება პროცენტებს, მათი მოყვანა ზოგჯერ აუცილებელია, რათა გამოააშკარაოს დამახინჯებანი, რომელსაც ადგილი აქვს აფხაზეთში კადრების განაწილების მხრივ. კადრების შერჩევა უნდა ხდებოდეს არა ეროვნების ან პარტიულობის მიხედვით, არამედ ნიჭის, უნარის, კომპეტენტურობისა და პროფესიონალიზმის გათვალისწინებით. თუმცა არ უნდა გვიკვირდეს, რადგან მთელ საბჭოთა კავშირში ასე ანაწილებენ კადრებს, ლოზუნგი — „კადრები წყვეტენ ყველაფერს“ — ჩვენს სისტემაში ნამდვილად ფიქცია.

არ შეიძლება არ მოვიყვანო ერთი ციტატა, სადაც ნათქვამია: „პროცენტების ზედმიწევნით სიზუსტით გამოთვლას სტატისტიკისათვის მნიშვნელობა აქვს, მაგრამ გრძნობების აღზრდაში — საზიზღრობაა“. ან კიდევ ასეთი: „შესაძლებელია, ეს ასეც უნდა იყოს (ლაპარაკია პროცენტებზე. კ. მ.), მაგრამ ამ მეთოდის გავრცელება ხალხზე, რომელიც უდანაშაულოა იმაში, რომ ის 17 პროცენტს არ აღემატება, არაადამიანურობაა“.

საინტერესოა, რა გრძნობების აღზრდაა საჭირო რაიკომის მდივნების ან რაიაღმასკომების თუ სხვადასხვა ნომენკლატურულ ადგილებზე დანიშვნისას?! საერთოდ აქ მოყვანილი ციტატებში ავტორი ღია კარებს ამტვრევს. ცნობილია, რომ არც ერთი ქართველი მეცნიერი თუ რიგითი ქართველი აფხაზ ხალხს ბრალს არ დებს იმაში, რომ ისინი 17 პროცენტს შეადგენენ რესპუბლიკაში. ეს განპირობებულია ისტორიული ფაქტორებით. მათ შორის მთავარია მაჰაჯირობა, როცა რუსეთის თვითმპყრობელობის მცდელობით აფხაზი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი თურქეთში გადასახლდა.

როგორც აფხაზეთის პრესაში გამოქვეყნებული ზოგიერთი სტატიიდან, აფხაზეთის ტელევიზიის ამასწინანდელი გადმოცემებიდან და „აფხაზური წერილისა“ და სხვა პუბლიკაციებიდან ჩანს, საქართველოს (მხედველობაში მაქვს აფხაზეთიც, რომელიც მისი განუყოფელი ნაწილია (ორი ტიპის მოწინააღმდეგეები ჰყავს: პირველ ტიპს მიეკუთვნებიან ჯოჯუა და დგებუაძის (ბოდიშს ვიხდი ყველა სხვა ჯოჯუასა და დგებუაძის წინაშე) მაგვარი „მოღვაწეები“, მეორეს კი 1989 წლის 30 სექტემბერს „სოვეტსკაია აბხაზიაში“ და 1990 წლის 24 თებერვალს „საბჭოთა აფხაზეთში“ გამოქვეყნებული სტატიების ავტორის შ. ლაშხიას კონცეფციის მიმდევრები; პირველი ტიპის ვიწრონაციონალისტები ინტელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქტუალური პრიმიტიულობის გამო არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენენ საქართველოს ეროვნული მოძრაობისათვის. რაც შეეხება მე-2 ტიპის წარმომადგენლებს, ისინი უფრო საშიშნი არიან ქართული ეროვნული მოძრაობისათვის. მათ აზროვნებაში იმდენად მტკიცეულია ჩადაფიქსირებული მრავალი ათეული წლების განმავლობაში პარტკრებებზე, პლენუმებზე თუ პოლიტმეცადინეობებზე მიღებული იდეები, რომ ადვილად ვერ განთავისუფლდებიან ძველ-რბილში გამჯდარი სტერეოტიპებისა და დოგმებისაგან. ამას ისიც ემატება, რომ ამ ხალხს ორ სკამზეც უყვარს მოკალათება, რასაკვირველია, საკუთარი ინტერესებისათვის.

ბატონ ლაშხიას ვერ გაუგია (ან არ უნდა გაიგოს), რომ 15-16 ივლისის ტრაგედიაში არავინ სდებს ბრალს მთელ აფხაზ ხალხს, ბრალი უნდა დაედოთ ზედა ეშელონების მფარველობის ქვეშ მყოფ იმ ერთ მუჭა ექსტრემისტებს, რომლებმაც ბარბაროსულად დაარბიეს ხოხუმის I საშუალო სკოლა, სადაც ივანე ჯავახიშვილის ხახელობის თბილისის უნივერსიტეტის ფილიალი იყო განლაგებული. ამ რბევის გაგრძელება იყო ის ხისხლიანი ტრაგედია, რომელიც იმ დღეს დატრიალდა.

სტატიის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილი აქვს ქართველი ისტორიკოსების უმართებულო კრიტიკას. სტატიაში ვკითხულობთ: „ელაპარაკო აფხაზებს იმის შესახებ, რომ ისინი XVII საუკუნეში არიან ჩამოსულნი, არა მარტო არაობიექტურია, არამედ უზნეოც“. ავტორს ალბათ მხედველობაში აქვს დიდი ქართველი მეცნიერის პ. ინგოროყვას მოსაზრება იმის შესახებ, რომ თანამედროვე აფხაზები ამ ტერიტორიაზე ჩამოსულნი არიან XVII საუკუნეში. ჯერ ერთი, მეცნიერული ჰიპოთეზა როგორ შეიძლება იყოს ამორალური?! მეორეც, ქართველ მეცნიერთა შორის ხომ არსებობს ალტერნატიული მოსაზრებებიც?!..

საკვირველია, რომ ბატონი შ. ლაშხია პავლე ინგოროყვას უცოდინარობასთან ერთად უზნეობასაც სწამებს. განა მეცნიერული აზრების გამოთქმა, თუნდაც ჰიპოთეზის სახით, იმის საბაბს იძლევა, რომ ერთმა ერმა ულიტოს მეორე?!

როცა ამ სტატიას ვწერდი, გამახსენდა გასულ წელს „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდილი პროფ. ო. ჭურღულიას წერილი, სადაც მოყვანილი იყო ვინმე ვ. დოლგოპოლოვის აზრი იმის შესახებ, რომ ეროვნულ უმაღლეს სასწავლებლებში ლექციები რუსულად უნდა იკითხებოდესო. ისიც გამახსენდა, რომ 70-იან წლებში ჩვენს უნივერსიტეტშიც მოვიდა სათანადო ინსტრუქცია, რომლის კათედრაზე დამუშავების დროს ბატონი შ. ლაშხია თავგამოდებით იცავდა ამ იდეას. ახე რომ, დოლგოპოლოვები ჩვენც გვყოლია აფხაზეთში.

განსახილველი სტატიის ავტორი არც მწვადს წვავს და არც შამფურს. ზოგჯერ იგი აფხაზ ექსტრემისტებს უჭერს მხარს, მაგრამ როდესაც სხვა გამოსავალი არაა (მაგალითად „აფხაზური წერილის“ შესახებ), — ქართველებს.

მიმდინარე წლის 24 თებერვალს გამოქვეყნებულ სტატიაში „პასუხი ოპონენტებს“ ბატონი ლაშხია ცდილობს თავი იმართლოს და „გალმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებას“, პოლიტიკას მიმართავს. ავტორს მოხერხებულად გამოუყენებია ვ. ქარჩავას და მ. ალფენიძის სტატიის კრიგი „ვიწრო“ ადგილები (ზოგჯერ უბრალო კორექტურული შეცდომები, მაგალითად, დაბეჭდილია „ხიდის გამართლება“, უნდა იყოს „ხიდის გამრთელება“), ასევე იგი ხაზს უსვამს ავტორების მიერ მოყვანილ ზოგიერთ ძნელად გასაგებ წინადადებას.

რა თქმა უნდა, თავის გამართლების ამგვარი მეთოდები ვერაფერს აკლებს იმ ჭეშმარიტებას, რომლებიც დამაჯერებლადაა მოყვანილი ვ. ქარჩავასა და მ. ალფენიძის სტატიაში.

დავუბრუნდეთ წერილს „პასუხი ოპონენტებს“. ერთ ადგილას ავტორი აღნიშნავს აფხაზი და ქართველი მოსახლეობის „ბანაწუენების“ თანხმიდევრობას თუ პირველადობას, თითქოს რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს იმ ფაქტს, ვინ აღრე „განაწუენდა“, ქართველები თუ აფხაზები. უველასათვის ცნობილა, რომ უძველესი დროიდან დღევანდლამდე აფხაზ და ქართველ მოსახლეობას შორის არსებობდა კეთილმეზობლური და ნათესაური ურთიერთობა, ამის დამამტკიცებელია ის ფაქტიც, რომ მათ შორის ხშირია შერეული ქორწინებები. ოქტომბრის რევოლუციამდე არაა ცნობილი აფხაზებსა და ქართველებს შორის ურთიერთობის გამწვავების არც ერთი მაგალითი. ამ ორ ერს შორის ურთიერთდამოკიდებულების გამწვავება ოქტომბრის „მონაპოვარი“ და იმ ეროვნული პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ბოლშევიკური პარტიის მაღალი ფუნქციონერები ატარებდნენ საბჭოთა კავშირში. როცა „ერთი პუბლიკაციის თაობაზე“ ავტორები შ. ლაშხიას ბრალს სდებენ იმაში, რომ საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გამოსვლას თითქოს მხოლოდ არაფორმალები უჭერენ მხარს, „პასუხი ოპონენტების“ ავტორი ნაწყენი ტონით პასუხობს: „რატომ“? კიდევ ვინ დაიყენა კავშირიდან (სსრკ-დან) გასვლის იდეა?“ თამამად შეგვიძლია ვუპასუხოთ: საქართველოს რუსთაველის საზოგადოებამ, საქართველოს მოწინავე ინტელიგენციამ, ყველა ჭეშმარიტმა ქართველმა მამულიშვილმა. არ შეიძლება არ ვთქვათ, რომ ავტორი ერთ ადგილას სინანულით აღნიშნავს, „ნამდვილი ინტელიგენტები ცოტა შემოგვრჩაო“. მიუხედავად იმისა, რომ ჭრთველი ერის გამაყიდველებმა (ტალინი, ბერია, ორჯონიკიძე) მრავლად ულიტეს ჩვენი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მაინც ბევრი შემორჩა საშუალო და ახალგაზრდა თაობის ბრწყინვალე შთამომავლობა.

სტატიის ერთ ადგილში ავტორი იყენებს იურიდიულ ტერმინოლოგიას და წერს: „...თუ გნებავთ, ერთად ცხოვრება მოგვესაჯა“ (ლაპარაკია აფხაზებსა და ქართველებზე); არავის ერთად ცხოვრება არ მიუსჯია, ჩვენი ერთ მიწაზე, ერთად ცხოვრება განპირობებულია ისტორიული ფაქტორით — საუკუნეების მანძილზე ერთად ცხოვრებით, ერთი ადათ-წესით.

როდესაც ლაპარაკია 1989 წლის 15-16 ივლისის აქციის პოლიტიკური შეფასების შესახებ, ავტორი წერს: „საერთოდ, ამ პოლიტიკური აქციის შეფასება, ფიქრობ, არც ჩემს, არც რეცენზენტების კომპეტენციაში არ შედის“. აქ ავტორი ერთმანეთში ურევს პოლიტიკური აქციის და აქციის პოლიტიკურ შეფასებას. 15-16 ივლისს ადგილი არ ჰქონია პოლიტიკურ აქციას, სინამდვილეში ეს იყო წმინდა წყლის ექსტრემისტული აქცია, რომლის პოლიტიკური შეფასება შეუძლია ყველა თავისუფალ პიროვნებას, აფხაზს თუ ქართველს, რაც შეეხება მოვლენების ჭეშმარიტ შეფასებას, იგი მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლად არჩეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეროგატივაა.

დასასრულს მინდა აღვნიშნო: იმისათვის, რომ ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ შემდგომი განვითარება ჰპოვოს და მიაღწიოს ეროვნულ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დამოუკიდებლობას, საჭიროა წინ აღვუდგეთ ყველა ჯურის ცრუინტერნაციონალისტების გამოხდომებს, რათა არ შეფერხდეს ქართველი ერის წინსვლა ილიასეული სანუკვარი მომავლისაკენ, ეს განსაკუთრებით საჭიროა ისეთი რთული რეგიონისათვის, როგორიც აფხაზეთია.

აფხაზებმა და ქართველებმა ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ერებთან ერთად უნდა იბრძოლონ ახალი დამოუკიდებელი საქართველოს შექმნისა და აღშენებისათვის. სტატია „პასუხი ოპონენტებს“ მთავრდება იდუმალებით მოცული აბზაცით: „მკითხველს არც ის მინდა დავუმალო, რომ ქარჩავა-ალფენიძისეულ ციებცხელებას სათავე პირადულ გაწყენებაში უდევს, მაგრამ ამის შესახებ — თავის დროზე და თავის ადგილას“. გაუგებარია, სად ეგულება ავტორს „თავისი ადგილი“, ალბათ, პარტიულ კომიტეტში თუ უჩივლებს.

მკითხველს მეც არ მინდა დავუმალო, რომ ვფიქრობ, 1989 წლის 30 სექტემბერს გამოქვეყნებული სტატიის დაწერა განპირობა ბატონ შ. ლაშხიას ოჯახში მომხდარმა ბედნიერმა შემთხვევამ.

მაგრამ ბედნიერება სხვათა ხარჯზე?!.

კუკური მგელაძე

ორ სკამზე მჯდომთათვის

იქნებ იცნო თავი შენი?!

საკმაოდ ბევრი ითქვა და დაიწერა აფხაზეთში მომხდარ ამბებზე. სათქმელი და დასაწერი დიახაც არის. მთავარია, ვინ რას იტყვის და როგორ (ზოგჯერ ასეც ხდება, მავანნი და მავანნი ნებსით თუ უნებლიეთ ერთმანეთში ურევენ მიზეზსა და შედეგს...).

პრესის ფურცლებზე ერთობ სკრუპულოზურად გამოჩნდა, რომ სოხუმის 15-16 ივლისის სისხლიანი ტრაგედია ზოგ-ზოგთა წრეგადასული ბოროტი მეცადინეობით, საოცარი გაფაციცებით, საგანგებოდ მზადდებოდა; სამწუხაროდ, ჯერჯერობით კონკრეტულად სახელი ვერ დაერქვა, ვინ არიან მისი სულისჩამდგმელნი, დამდგმელ-რეჟისორნი თუ უშუალოდ აღმსრულებელნი.

ჩვენ აღარ შევჩერდებით მრავალგზის აღნიშნულ ფაქტებზე, რამეთუ ცალკეულ მომენტებზე (თუ მოვლენებზე) პირდაპირ ან მინიშნებით არცთუ ცოტა მასალაა გამოქვეყნებული... წერილების ნაწილის კონკრეტულობის დეფიციტის მიზეზი სხვადასხვა გახლავთ. რა დასამალია, ჩვეულებრივ უფრთხიან ხელმძღვანელებს, რომლებიც დღემდე შემორჩნენ თანამდებობებს, მათი „გაელენის სფერო“ კვლავაც იწვევს კრძალვა-მორიდებას... მოგეხსენებათ, პრესა ყოველთვის და ყველგან ძალზე მგრძნობიარეა. ამიტომ გაუმართლელია, გაზეთს ვიეთნი ხანდისხან იმაზე შეტს რომ სთხოვენ, ვიდრე ეს მას შეუძლია...

გვინდა მკითხველის ყურადღება შევაჩეროთ ზოგიერთ ასპექტზე:

ჯერ ერთი, ალბათ ქვეყნად ერთადერთი რეგიონი აფხაზეთია, სადაც გვარის მიხედვით ეროვნების დადგენა ვერ ხერხდება. ენათმეცნიერების დარგი — ონომასტიკა — ამჯერად ფრიად უძლური აღმოჩნდა. თუ სხვა შემთხვევაში სავსებით ადვილი გახლავთ ქართველობის გარკვევა ამა თუ იმ გვარის (პატრონიმის) მიხედვით, აქ ნებისმიერი გვარის მატარებელს აქვს უფლება და შესაძლებლობა (და უჩნდება სურვილიც) თავისი თავი გამოაცხადოს და ჩაწეროს სხვა ერის წარმომადგენლად. ეს კი გამოწვეულია იმ საქვეყნოდ ცნობილი პრივილეგიებით, რომელიც ბედმა არგუნა შესაბამისი ადგილის სახელთან დაკავშირებულს (ამ მხრივ ჯერჯერობით თითქმის არაფერი შეცვლილა).

მეორე, იმავე მიზეზმა (სხვა ფაქტორი აღბათ გამორიცხულია) გამოიწვია, ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ, თვალშისაცემად გამოკვეთილი ქართველი მლიქვნელის ფენომენის ჩამოყალიბება აფხაზეთში... იგი კვლავ ინარჩუნებს არსებობას და არავითარი გარანტია არ არის, მომავალშიც არ იარსებოს.

ამ მეტად მწარე და აღსაქმელადაც ძნელ პერიოდში, როცა ქართველის წინააღმდეგ აფხაზი ექსტრემისტ-ტერორისტების (და არა მშრომელი ხალხის) ხელის აღმართვა აშკარა, უპრეცედენტო ფაქტი გახდა, კიდევ უფრო მტკივნეულად და საზიზღრად გამოვლინდა ქართველი მლიქვნელის სახე.

ასეთ ვითარებაში ზოგ-ზოგი სისხლ-ხორცით ქართველი ზეპირად თუ წერილობით გამოდის და თითქოს ნეიტრალური პოზიციიდან მენტორული ტონით (ზოგჯერ რაღაც „ისტორიული“ საბუთებით აღჭურვილი) ღაღადებს დიდსულოვანი შერიგების შესახებ (რაც თავისთავად მისაღები და პერსპექტიულიც გახლავთ), მაგრამ მეტად დიდი უსულგულობისა და უგერგილობის (მე ვიტყოდი, დეზაციონალიზების) მაჩვენებელია ის, რომ ზოგ მათგანს ერთხელაც არ წამოსცდა ძმათა სისხლის დაღვრის ინიციატორის, ორგანიზატორის, ინსპირატორის თუ უშუალოდ განმახორციელებლის მიმართ ერთადერთი გულის მოსაოხებელი, დასტურ საჭირო და აუცილებელი წინადადება, „დამნაშავე უნდა დაისაჯოსო!..“

ასეთ უძნელეს წუთებში ვინც ამ სიტყვების წარმოთქმას გაურბის და უფრთხის, ვინც ამ ჭეშმარიტებაზე თვალის დახუჭვასა და დამუნჯებას ამჯობინებს, იგი არც ქართველია, არც აფხაზი, — გადაგვარებული პიროვნებაა (თუმცა მასზე პიროვნების თქმაც იქნებ შეცდომაა), აკაკი წერეთლის „ღამურას“ დონეზეა, ჭკუას მესამე ენაზე აყღურტულებული ისწავლება, ქართულს ჰაი-ჰარად იყენებს და „ძმებო“-თი კი მიმართავს თვისტომს. ასეთი ძმა და მეგობარი, ვფიქრობთ, არც აფხაზს არგია და არც ქართველს. ცოდვა გამხელილი სჯობს, ორივე ერის საქმე სწორედ ასეთმა პირებმა არიეს უსაშველოდ და დღევანდელ დაბურდულ ვითარებაშიც ლომის წილი უდევთ...

ამ წერილს ერთადერთი მიზანი აქვს: ჭეშმარიტება სრულყოფილად გაირკვეს, უბრალო აფხაზი და უდანაშაულო ქართველი არ დაზარალდეს (ვინც დაღუპა და დასახიჩრდა, მოურჩენელი ტკივილია!), ხოლო კარიერისტ, მომხვეჭელ, ძმათა სისხლმოწყურებულ უნიათ პირთა ზღვარდაუდებელ პარპაშს ბოლო მოეღოს!

ამ სტრიქონებს შექმნილი სიტუაცია გვაწერინებს, ჩვენ მოწმე ვართ 15 ივლისის ძნელად წარმოსადგენი ტრაგიკული ვითარებისა; სხვებთან ერთად ჩვენც გვესმოდა 14 ივლისს ექსტრემისტთაგან შემოთვლილი (მაგრამ დაუჯერებელი) ულტიმატუმი... ჩვენი გულწრფელი სურვილია, მკითხველებს ვაუწყოთ, რომ ყველაფერს წინ უსწრებდა სათანადოდ დაგეგმილი, წინასწარ მოფიქრებული მოსამზადებელი მუშაობა, საგულდაგულო პროპაგანდა, ფსიქოლოგიური წანამძღვრები, მომართული საქართველოსა და ქართველი ერის წინააღმდეგ. კიდევ ერთხელ გვინდა განვაცხადოთ, რომ ზოგიერთმა წარმოშობით ქრისტიანმა ქართველმა და შემდგომ სხვად ქცეულმა და ამჟამადაც თითქოს ქართველმა, მაგრამ სულით და შეგნებით გადაგვარებულმა, ხელი შეუწყო, დაგვირგვინებულიყო ეს სისხლიანი აქცია...

15 ივლისი მარტო აფხაზი ექსტრემისტების „შემოქმედების“ ნაყოფი არ არის, იგი ზემოთაღნიშნული კატეგორიის ადამიანების მოღვაწეობის შედეგიცაა... სხვებთან ერთად სწორედ ისინი, პირადი კეთილდღეობის სურვილით ამღვრეულ-გაბოროტებულნი, დაუპირისპირდნენ სისხლისმიერ ნათესავებს, რომ თავიანთი აწმყო-მერმისი მაქსიმალურად გაეხადღებინათ.

მკითხველისათვის, მგონი, უკომენტაროდაც გასაგებია, რომ ერთა შორის ურთიერთობის გამწვავებისას სწორედ არაპატრიოტი (და ორგული) არანაკლებ ურევს და სცოდავს...

ჩვენ დარწმუნებული ვართ: დამნაშავეთა სათანადოდ განკითხვა-დასჯის შემდეგ ერები შერიგდებიან, სხვა გზა ალბათ არც არსებობს, მაგრამ ცოდვილისათვის ძნელი იქნება თანამომძმეთ ჭირისა და ლხინის გაზიარება, — ერი მოღალატეს არ აპატიებს უმძიმეს დანაშაულს. იქნებ ვინმემ თავისი თავი შეიცნოს ამ წერილში. თუ ეს რამდენადმე მაინც მიიღწევა წინამდებარე სტრიქონებით, მადლობა ღმერთს, მაშინ ჩვენი მოკრძალებული მიზანი მიღწეული აღმოჩნდება.

ჩვენი (და არამარტო ჩვენი) სურვილია: სამართლიანობამ გაიმარჯვოს. ეს არის აუცილებელი წინაპირობა ერთაშორისი ურთიერთობის ნორმალიზება-მოგვარებისათვის, სოციალურ-ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ სფეროში უთანასწორობის, მშრომელი ადამიანების მიმართ თვალშისაცემი გულგრილობისა და უპატივცემლობის სულისშემძვრელი ფაქტების აღმოფხვრისათვის — სამართლებრივი სახელმწიფოს შენებაში აქტიური პოზიციის დაკავებისა და მაღალი საზოგადოებრივი მორალის დამკვიდრებისათვის.

ნაპოლეონ ლემონჯავა,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

„ოქროს საწმისის“ ფოსტა

В РЕДАКЦИЮ ГАЗЕТЫ «ЗОЛОТОЕ РУНО».

г. СУХУМИ
УЛ. ЛЕНИНА, 19.

С письмом начальника следственного управления прокуратуры ГССР т. Квирквелия З. М. я категорически не согласен. Об этом своевременно сообщено.

По моей просьбе прокуратурами СССР и ГССР проводится служебное расследование.

О результатах сообщим дополнительно.

А. К. КВИЦИНИЯ,
прокурор Абхазской АССР, старший советник юстиции.

იქნებ დრო არის?

იტალიელი მიხიონერი, თეატინელთა ორდენის ბერი არქანჯელო ლამბერტი 1633-49 წ.წ. რომის კათოლიკური სარწმუნოების პროპაგანდისათვის კონგრეგაციის დავალებით ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში, ოდიშის სამთავროში. იტალიაში დაბრუნების შემდეგ, 1654 წელს არქანჯელო ლამბერტიმ გამოსცა წიგნი, რომელშიც მოცემულია XVII საუკუნის შუა წლების ოდიშის სამთავროსა და საერთოდ საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარების, ყოფის და კულტურის, ადგილობრივი წეს-ჩვეულებებისა და ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეების ვრცელი მიმოხილვა. „ლამბერტის ნაშრომი ამ სახის პირველი თხზულებაა საქართველოს შესახებ. იგი XVII საუკუნის საქართველოს ისტორიის პირველხარისხოვანი წყაროა და მკვლევართა დიდი უურადღებით სარგებლობს“ — წერს ქსე. იქვე აღნიშნულია, რომ ლამბერტს ეკუთვნის აგრეთვე ნაშრომი „წმინდა კოლხიდა“, რომელშიც ავტორი ეხება ოდიშის სარწმუნოებრივ მდგომარეობას. ეს წიგნი ქართულად არ თარგმნილა...

მართლაც გასაკვირია. მაშინ, როცა კოლხეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ თუ საეკლესიო-სარწმუნოებრივ მასალათა ასეთ ხელარიბეს განვაცდიდით, მაშინ, როცა კოლხეთის ისტორიას ვიღაც-ვიღაცეები იჩემებენ დალამის მიწაც ფეხიდან გამოგვაცალონ, არავინ ფიქრობს ითარგმნოს იტალიელი მიხიონერის ეს უნიკალური ნაშრომი, რითაც დიდ სამსახურს გაუწევდა კოლხეთის, დასავლეთ საქართველოსა და საერთოდ საქართველოს ისტორიით დაინტერესებულ ყველა მკვლევარსა თუ მკითხველს.

იქნებ დრო არის, საქართველოს სსრ აკადემიამ საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებულ მხატვრული თარგმანის მთავარ სარედაქციო კოლეგიასთან ერთად იკისროს ეს დიდად საშური, მამულიშვილური საქმე?!..

თოლიბე თოლრია,
მარტვილი, ლენინდრაო

РАЗРУШЕННЫЙ МОСТ

(ВЫСТУПЛЕНИЕ А. КВИЦИНИА НА СУДЕБНОМ ПРОЦЕССЕ:)

Товарищи судьи!

Поскольку, согласно Закону о судопроизводстве, каждый судебный процесс с наказанием обвиняемого предусматривает предупредительные и воспитательные меры, позвольте мне к рассмотренному делу высказать свое отношение в этом направлении.

Данное дело не является рядовым: оно имеет тесную причинную связь с июльскими событиями в Абхазии.

Широко известно, что на следующий день после разыгравшейся в Сухуми позорной для всех нас трагедии, как во всех других районах, так и в Гульрипши организовалась вооруженная группа из числа темпераментных молодых людей, которые вышли на центральную трассу и приступили к задержанию среди проезжающих граждан абхазской национальности.

Созданию повсеместно подобных групп и осуществлению ими противозаконных действий в основном способствовали ложные слухи, будто бы в местах компактного проживания абхазы убивают грузин, а грузины — абхазов.

Нельзя не отметить, что всей этой сумятице не в меньшей степени способствовала и растерянность нерасторопных руководителей правоохранительных органов района, на глазах у которых чинились противоправные действия. Да и не только они, но и все бывшее руководство Министерства внутренних дел Абхазии выглядело неспособным к выполнению своего профессионального долга по нормализации обстановки в регионах. Прояви это ведомство хоть сколько-нибудь ответственности — не возникла бы и трагедия, не говоря уж о уголовном деле, рассматриваемом сегодня на судебном процессе.

Теперь некоторые руководители этого ведомства (правда, уже бывшие) могут ссылаться на сложную ситуацию, на отсутствие в то время достаточного подкрепления... Но ведь к этому времени в Сухуми уже были переброшены силы МВД Грузии и МВД СССР с внутренними войсками! Так что при желании без особого труда можно было бы связаться с ними по телефону и запросить наряды для очистки центральной трассы, а также «стратегических» объектов, находившихся под контролем не правоохранительных органов, а разбушевавшихся групп, тут же организовывавшихся стихийно. И вот такое попустительство привело к тому, что сегодня открыт процесс, который, уже задним числом, пресечет противоправные действия сидящих перед Вами обвиняемых вынесением наказания. И это, на мой взгляд, не совсем правильно: вместе с обвиняемыми ответственность за все происшедшее тогда на трассе и вне ее ложится и на тех руководителей правоохранительных органов, по попустительству которых вспыхнули правонарушения в массовом порядке. Конечно, когда совершено противоправное действие, совершившим его лицам суд определит степень виновности в этом действии каждого и воздаст виновникам по заслугам, но в данном случае дело не в определении наказания, а в том, почему возникло такое событие вообще. Сегодня все здравомыслящие люди обеспокоены этим. Ведь столкнулись народы с такими близкими традициями и укладом жизни и оказались разъединенными, оторванными от совместного пути, от общей истории. Разумеется, этот вопрос сильнее других волнует матерей; никто кроме них не может так остро прочувствовать бессмысленность таких утрат. Кому и зачем была принесена эта жертва? Невинная кровь пролита! Пролита в дикарских распрях! Если РАЗУМ — духовная наша сила, то нужно твердо усвоить, что нельзя нам — двум древним народам, с такой любовью переливавшимся друг в друга, омрачать совместную историю кровавыми страницами, какие бы спорные вопросы не возникали...

История на то и история: ее не перепишешь, не зачеркнешь, как это пытаются делать некоторые. Да, народы наши пока насторожены, что не красит их. Разве не следует понять, что в темноте следует зажечь свечу, а не тушить? На исходе двадцатого века, когда в мире живет твердое понимание взаимозависимости, такое положение — еще один минус... Обвинения, которые иногда друг другу выдвигаются, не имеют под собой почвы, так как в создание той машины, которая вскоре принесла свои «плоды», вносили лепту и наши народы вместе со всей страной. А что касается истребления интеллигенции, оно прошло повсеместно, не пощадив ни один из народов СССР. Это общая беда, и не только наших народов. История знает пример того, как в самые тяжелые времена наши народы — абхазы и грузины— консолидировавшись, выходили из самых невероятных трудностей. Потверждением этой мысли служат они сами, эти народы, дошедшие до наших дней, в то время, как многие могущественные когда-то нации расплескались... Этот факт не так уж маловажен! И нужно двум нашим народам гордиться и помнить, что заслуга их друг перед другом в том и заключается, что были они сильны совместностью, нерасторжимостью. Таково наше прошлое! Надеюсь, что будущее будет не менее утверждающим наше единство.

Абхазы и грузины, — да и не только мы — устремились к достижению материальных благ и отодвнули на задний план духовные ценности, — то, чем всегда были сильны наши предки, и в этом устремлении наша вина. Ибо и молодежь не преминула пойти по этому легкому пути. Отсюда и тот цинизм, который мы встречаем в награду за наши устремления к той легко достижимой части нашего бытия. И как же пророчески звучат сегодня слова великого грузинского писателя, подглядевшего из того «далека» теперешнее состояние двух братских народов! Вот что сообщает нам доверительным тоном Константинэ Гамсахурдиа: «В общности нравов и кроется наша сила. Запомните крепко: кто меняется, тот вырождается». Как это актуально сегодня!

Нельзя допустить, чтобы выветрились наши добрые традиции, и молодежь, обособившись, стала потребителем только материальных благ. Разумеется, это не лекция по эстетике или истории, хотя и то, и другое не мешало бы усвоить и этим молодым людям, но не затем я здесь стою, чтобы обвинить их в жестокости. Это не главная цель. Хочу, чтобы они поняли главное предназначение человека. Я не стремлюсь к тому, чтобы их осудили как можно жестче... Нет! Напротив, я буду просить суд смягчить наказание ввиду перечисленных выше причин, но хочу подвигнуть подсудимых к раскаянью за содеянное. Нельзя сегодня без горечи вспоминать те слова, которыми они подвергали унижению.... физическое унижение по сравнению с тем, что пришлось услышать, — пустяки. Обидно и досадно, что в этих «ритуалах» принимали участие и люди старшего поколения. Но, к счастью, не только жестокость имела место; нашлись такие люди, которые протягивали задержанным руку помощи. Они прилагали все усилия, чтобы убедить вооруженных ребят в неправомерности их действий. Пытались добиться освобождения. А когда это им сделать не удалось, они, несмотря на угрозы, не покидали задержанных.

Подобные факты благородства в те дни были не единичны; они имели место как с одной стороны, так и с другой.

В Зугдиди, в Поти, где задержанными оказались люди абхазской национальности, не оскорбляли их ни физически, ни словесно. Продержав их некоторое время, отпускали. Я лично встречался с этими людьми и передаю это, как говорится, из первых рук. Не обидели и абхазы моей Атары, что расположена в Очамчирском районе, грузинские семьи, проживающие в ней.

Уважаемые судьи!

Говорю обо всем этом не потому, чтобы ужесточить меру наказания подсудимым. Нет! Я хочу обратить Ваше внимание на необходимость усиления воспитательной работы. Свое выступление на этом судебном процессе я рассматривал как бы попытку к ней, конечно, если этого будет достаточно к подведению обвиняемых к пониманию того, что мы не просто абхазы и грузины, но представители большой и своеобразной культуры. И этим нужно дорожить, ибо на беспамятстве далеко не уедешь. А нам предстоит и дальше идти вместе. У наших народов достанет благоразумия, чтобы повернуться друг к другу лицом и вновь, как это было в прошлом, идти одной дорогой к заветной цели. Так это и будет. Я в это верю. Нам, двум коренным народам Абхазии, сама история предопределила быть в нерасторжимом союзе. Пусть и эти молодые ребята, оказавшиеся на скамье подсудимых, тоже осознают и поймут, что не вражда характеризует наши народы. Будь это не так, иначе, то жители села Пшапи не стали бы укрывать группу абхазов, возвращавшихся с похорон из Очамчирского района, а затем сопровождать ее до самого Сухуми. Это тоже нравственный урок всем тем, кто плохо знаком с традициями наших народов. И этот урок, думаю, не пройдет бесследно.

И последнее!

При принятии по рассматриваемому делу решения и вынесения приговора, думаю, будет принято во внимание, что за последнее время обстановка в нашей республике улучшается, и взаимоотношения между нашими народами нормализуются.

А. КВИЦИНИА,
юрист, педагог, ветеран МВД, 28 февраля 1990 г.

ორი ეროვნების წარმომადგენლის ერთი პოზიცია

მჯერა და მტკიცედ!..

ამ წერილს ქართველ-აფხაზთა ურთიერთობის ისტორიული მიმოხილვის პრეტენზია არა აქვს. ამა თუ იმ საკითხზე მეცნიერული საბუთების წარმოჩენა ხომ გამორცხულია, მაგრამ აფხაზ მეგობრებთან ყოველდღიურ ცხოვრებისეულ სინამდვილეზე საუბარი საჭიროდ მიმაჩნია.

აშირად მაგონდება, რომ შარშან ამ დროს, ქ. ვინიცაში, სამსახურებრივი დავალებით ყოფნისას, სახტუმროში გუდაუთელ ახალგაზრდას ამზარ ბასარიას შევხვდი და გავეცანი. რა დამავიწყებს სიხარულით მოლიცლიცე მის თვალებს და მაგრად ხელის ჩამორთმევას, როგორც კი გაიგო, ზუგდიდელი რომ ვიყავი. კიევში ვცხოვრობო, იქ ვმუშაობო, ჩემი ძმა — რაულ ბასარია სოხუმის საწარმოო გაერთიანება „ორგტექნიკაში“ მუშაობს — გენერალურ დირექტორ ალექსანდრე ივანეს ძე მიქაძესთანო. ალექსანდრე ჩემი დეიდაშვილიაშეიქი რომ ვუთხარი, გაუხარდა. კიევში ერთად ჩავედით. შინ წამიყვანა, ოჯახი გამაცნო, დიდი პატივისცემით გამომაცილა.

ასევე გულითადი პატივისცემით მაგონდება აფხაზ მეგობრებთან შეხვედრები. სოხუმში, ახალ ათონში, გუდაუთაში, გაგრასა და სხვაგან.

დაუვიწყარია: ფაშისტურ გერმანიასთან გამარჯვების ორმოცი წლისთავის ზეიმთან დაკავშირებით, ზუგდიდ-ნოვორისიისკის მარშრუტით, სამრეკლო დიდების ადგილებზე ქვეითად მოგზაურობისას, გუდაუთის რაიონის სოფელ ბლაბურხვაში, ღამის გასათევად მოგვიხდა შეჩერება. ამავე სოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ — დბარმა თავის ოჯახში წაგვიყვანა მე და ჩემი თანამგზავრები. ჩვეული სტუმართმოყვარეობით დიდებულად გაგვიმასპინძლდა. მეორე დღეს დილით ოჯახის წევრებთან ერთად დიდი სიყვარულით გამოგვაცილა. მთელს გზაზე მაგონდებოდა და სახმილივით გულში მენთო სიყვარულის დაუოკებელი გრძნობები, არა მარტო კოლმეურნეობის თავმჯდომარე — დბარია, და მისი ოჯახისადმი, არამედ მთელი აფხაზი ხალხისადმი. ასევე დიდი პატივისცემით მაგონდება ახალ ათონის ტურბაზის „ალაშარას“ ინსპექტორი იგორი ტატოევის ძე ბალია.

სიყვარულის ეს გრძნობა კიდევ უფრო გამიღრმავა იმ გულთბილმა შეხვედრამ, რომელიც მოგვიწყო გაგრის გაზეთ „ავანგარდის“ თანამშრომელმა რაშიპხამ, რომელმაც სურათთან ერთად ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ჩვენზე გაზეთ „ავანგარდში“ 1985 წლის 20 აპრილს № 48-ში და გულთბილი სიტყვებით შეამკო ქართველი მოგზაურები.

1986 წლის აგვისტოში, გაგრის სანატორიუმ „კავკასიონში“ ყოფნისას, მთავარმა ექიმმა გ. დ. აიბამ განსაკუთრებული უურადღებითა და გულისხმიერებით მიმიღო, დასვენებისა და მკურნალობის საუკეთესო პირობები შემიქმნა.

აფხაზებისადმი მადლიერებისა და პატივისცემის გამომხატველი წერილებიც გამოვაქვეყნე გაგრის „ავანგარდში“, „საბჭოთა აფხაზეთში“ 1986 წლის 21 აპრილს, მაგრამ, ვაი, რომ გამოჩენილან ვიღაც-ვიღაცეები, რომლებსაც მიზნად დაუსახავთ აფხაზების გადამტერება ქართველებისადმი, რასაც შედეგად მოჰყვა თბილისში 1989 წლის 9 აპრილის და სოხუმის 15-16 ივლისის ტრაგედიები.

სიყვარულისა წილ სიძულვილის მქადაგებლებს თავიანთი ბნელი საქმისათვის ფართო ხასიათი მიუცია. ამის შემდეგ ცთუნებას აყოლილ აფხაზებთან შეხვედრის შესაძლებლობაც მომეცა ქ. ზუგდიდში:

ოჩამჩირის რაიონის სოფელ არასაძიხში მცხოვრები კოტე პილას ძე ამიჩა მისდაუნებურად აყოლია მცთუნებლებს, ასევე აუყოლებიათ ოჩამჩირელი რომანოზ ალექსანდრეს ძე ხარჩილავა, ივანე სემიონოვი — კინომექანიკოსი ბესლახუბიდან, ვალენტინა ხაკიბეის ასული კოპაძე, შვილებით: თინა და თემურით, შვილიშვილი რაულით — მცხოვრებნი გუდაუთის ტურბაზა „ზალატოი ბერეგში“ და ბევრი სხვები, რომლებსაც შევაგებე, შევახვედრე, ვაგრძნობინე ნამდვილი კეთილმოყვარეობა. არ დავინანე არც ეკონომიკური საშუალებები, არც ფიზიკური ძალა. მერაბ კოსტავას დახმარებით მე თვითონ გავაცილე და ჩავიყვანე ოჩამჩირეში, ხელი შევუწყვე უვნებლად დაბრუნებოდნენ თავიანთ ოჯახებს.

ვერავინ დამარწმუნებს იმაში, რომ მათთან შეხვედრა მომიხდეს და სასიკვდილოდ გამიმეტონ — ტყვიით გამიმასპინძლდნენ.

ვერც ერთი აფხაზი მეცნიერი, მწერალი, პოეტი, გნებავთ დეპუტატი, ვერ დამარწმუნებს, რომ შევხვდე ბასარიას, ამიჩას, ბალიას, დბარს, აიბას, რაშიპხას, ვალენტინა კოპაძეს, მისი შვილებით და მრავალ სხვას, რიგით აფხაზებს, აფხაზი ხალხის ნამდვილ შვილებს და ნაცვლად სიყვარულით მიღებისა, სიკვდილი შემახვედრონ.

მე მჯერა აფხაზი ხალხისა, მათი ერთგულებისა, კაცთმოყვარული ტრადიციებისადმი პატივისცემისა.

არ მჯერა ექსტრემისტი აფხაზებისა: გნებავთ ოზგანისა (რომელსაც სინდისის კარნახით აფხაზ-ქართველთა შორის ბნელი საქმეებით თავის გამოჩენა არც უნდა ეკისრა), ან ბოკუჩავასი თუ სხვა მასწავლებლებისა, რომლებსაც ჰუმანური პროფესია მოზარდი თაობის გონების მოშხამვით რომ შეუცვლიათ.

მჯერა და მტკიცედ მჯერა, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის ტრადიციულ-საუკუნობრივ მეგობრობას ვერ მოშლის უკეთურთა ბნელი ზრახვანი.

ბოლოს და ბოლოს ბოროტებას ფარდა აეხდება — აფხაზი ხალხი ნათლად დაინახავს ქართველებთან მტრობის უსაფუძვლობას.

ექსტრემისტთა სამტრო განწყობილებას დაუპირისპირდება კეთილი გონიერება და განახლდება ჩვეული მეგობრობა აფხაზებსა და ქართველებს შორის.

რაც შეეხება „ტერა ინკოგნიტოდ“ დარჩენილ ტამიშელ მასწავლებელს, რომელმაც გული ... ერა, სურვილის ჭია გაახარა ქართველი ერის თავხედური ლანძღვით „სახალხო განათლებამ“ კი ფარდის მიღმა დამალა, მჯერა, გონზე რომ მოვა, სირცხვილით ლოყა აეწვება და შავი კატის როლს აღარ იკისრებს ქართველებსა და აფხაზებს შორის.

აფხაზ ხალხს უვლია და კვლავაც ივლის ქართულ მიწაზე ქართველ ხალხთან ერთად მეგობრულად, ხელი-ხელჩაკიდებულნი.

ვლადიმერ შენგელია,
ომის ვეტერანი.
ქ. ზუგდიდი.

დაბეჭდილის კვალდაკვალ

1989 წლის 29 დეკემბერს გაზეთმა „აიდგილარამ“ გამოაქვეყნა თქვენი წერილი გ. გულიას ნაწარმოების „შავი სტუმრების“ განხილვის ისტორიის თაობაზე, რომელიც მოეწყო 1950 წელს. გაზეთმა „ოქროს საწმისმა“ თარგმნა ეს წერილი ქართულ ენაზე, დაბეჭდა იგი და გვერდით მოათავსა 1951 წლის 16 იანვარს წარმოთქმული თქვენი სიტყვა აფხაზეთის პარტიულ საოლქო კონფერენციაზე, სადაც თქვენ გამოხვედით როგორც საქართველოს საბჭოთა მწერალთა ორგანიზაციის აფხაზეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

ამ ორმა პუბლიკაციამ კიდევ ერთხელ დამაფიქრა და ამომწურავი პასუხიც გამცა კითხვაზე: მაინც ვინა ხართ თქვენ, ივან კონსტანტინოვიჩ!

ხომ მიამიტობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეგზომ გამოცდილ პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ მოღვაწეს, ცნობილ მწერალსა და ლიტერატურულ ადმინისტრატორს ისეთი მოკლე მეხსიერება ჰქონდეს, რომ წარსულში ნათქვამი აღარ ახსოვდეს.

საქმე ის არის, რომ ადრე დადა აბნიაში, პარალელურად — 1954 წლის ნოემბრამდე სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც სხვათა შორის, თქვენ დაამთავრეთ 1948 წელს.

გაიხსენეთ? ახლა კი სხვა რამეც მოვიგონოთ;

სწორედ ამ ინსტიტუტის აღზრდილს, თქვენ, ახალგაზრდა აფხაზ პოეტს, ივანე თარბას, გაგეხსნათ ფართო გზა, რომელმაც შემდგომში მიგიყვანათ განათლების მინისტრის, პარტიის საოლქო კომიტეტის მდივნის, პროფკავშირული ლიდერის თანამდებობებამდე, რაც ყოველთვის უკონფლიქტოდ უთავსდებოდა თქვენსავე აქტიურ სამწერლო მოღვაწეობას.

და აქ მებადება კიდევ ერთი კითხვა: როგორ ხდებოდა, რომ აფხაზეთისთვის ძნელ დროს, თქვენ, ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი პოეტი, ასეთი გამალებით მიიწევდით წინ არაპოეტურ ასპარეზზე. გაიხსენეთ (თუ შეძლებთ), სად იყვნენ ამ დროს თქვენი ტოლები, თანაკურსელები და, უბრალოდ, ინსტიტუტის ამხანაგები: ალექსი ლასურია, ცარბეი ბუანია, ალექსი ჯონუა, კონსტანტინე ლომია, სხვები, არანაკლებ ნიჭიერნი, ვიდრე თქვენ?

ზუსტად ვერ ვიტყვი, თუ რას აკეთებდნენ ისინი იმ ხანად, ერთი კი ცხადია, — შრომობდნენ, მაგრამ არა გამორჩენისთვის.

გასაგებია, მძიმე დრო იყო. მძიმე ყველასთვის. ყველა როდი აღმოჩნდა ნამდვილი მოქალაქე, ხალხის ღირსეული შვილი, განა არა, ივან კონსტანტინოვიჩ? მაგრამ ხომ გამოჩნდა იმ დროს აფხაზეთში სამი მამაცი ადამიანი, რომელიც არაფერს შეუშინდა, მისწერა წერილი ბოლშევიკთა საკავშირო კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და ხელიც მოაწერა. მეოთხე კი ვერ დაიძებნა. ეს ადამიანები პატივისცემის ღირსი არიან. რასაც ვერ ვიტყვი თქვენზე, თუმცა თქვენ 1988 წლის „აფხაზურ წერილს“ მესამემ მოაწერეთ ხელი.

განა იმავე დროს (ან თითქმის იმავე დროს), არ გამოაქვეყნეთ ლექსების ციკლი მერხეულზე? ეს წიგნი, ავტორისეული მიძღვნით „ისტორიის მასწავლებლისადმი“ (მართალია, იქ იგი ცოტა სხვაგვარადაა მოხსენებული), შემონახულია (შინ წიგნებს არ ვწვავდით, არც ბუკინისტურ მაღაზიას ვაბარებდით). რა დავარქვათ ამას, უმაწვილური აღტაცება, აღმაფრენა ქართველი ხალხის „სასიქადულო შვილის“ სიყვარულით შთაგონებული? არც ერთი და არც მეორე — ეს ერთ-ერთი თქვენი პირველი ნაბიჯთაგანია, რომელმაც განსაზღვრა შემდგომში თქვენი ცხოვრების წესი.

საერთოდ, ივან კონსტანტინოვიჩ, ვინც კი თვალს გადაავლებს თქვენს მრავალწლიან პარტიულ-საბჭოთა-ლიტერატურულ კარიერას, განცვიფრდება. განცვიფრდება იმ შესაშური ნიჭისა და უნარის გამო, რომელიც საშუალებას გაძლევდათ ყოველთვის უოფილიყავით განსაკუთრებულად პრივილეგირებულ მდგომარეობაში. თქვენ არ გაგიშვიათ ხელიდან არც ერთი შანსი ამ მდგომარეობის მისაღწევად. ყოველი გამგებლის დროს ფავორიტი ან ნახევრადფავორიტი იყავით (მართალია, ზოგჯერ გიხდებოდათ სავარძლიდან ნაკლებად რბილ სკამზე გადაჯდომა, მაგრამ, რას იზამ, ეგ ხომ ცხოვრებაა; რაც უფრო ზევით ადიხარ, უფრო მძიმედ ეცემი!).

ლია წერილი მწერალ ი. თარბას

გიწყიათ მემუარების წერა, ივან კონსტანტინოვიჩ, ძალიან ადრე! როგორ ვერ გაითვალისწინეთ, რომ თქვენი მრავალწახნაგოვანი „მოღვაწეობის“ ბევრი მოწმე ჯერ კიდევ ცოცხალია. ეს კი საეჭვოთოა, განსაკუთრებით ისეთი მასშტაბის „მოღვაწისათვის“, როგორიც თქვენ ხართ. თქვენ რასაც წერთ, ხშირად არ შეეფერება სინამდვილეს! დასახელებულ პუბლიკაციებშიც თქვენ ისეთი განსხვავებული ბრძანდებით, რომ ძალაუნებურად იბადება კითხვა: ნუთუ ეს ერთი და იმავე პირის დაწერილია?

ჭეშმარიტად, შეუზღუდავია ადამიანის შესაძლებლობები!

ეს ზოგადად, ახლა კი კონკრეტულად:

ნაწყვეტი „აიდგილარაში“ დასტამბული წერილიდან: „აფხაზეთის ინსტიტუტის მუშაკმა, ისტორიის მასწავლებელმა ირაკლი ანთელავამ „შავი სტუმრების“ თაობაზე ისაუბრა იმ გეგმის მიხედვით, რომელიც მას წინასწარ დაუსახეს და დაიწყო ნაწარმოების მნიშვნელობის დამცირება“... (აქ და ქვემოთ ვსარგებლობ „ოქროს საწმისის“ მე-2 ნომერში გამოქვეყნებული თარგმანის ტექსტით — გ. ა.).

ცნობისათვის: აფხაზეთის ინსტიტუტს იმ დროს (1950 წელს — გ. ა.). ეწოდებოდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ცხოვრებაში დაკანონდა მისი რუსული აბრევიატურა — აბნიი — გ. ა.). სხვისი რა მოგახსენოთ, თქვენ კი ვალდებული ხართ, ივან კონსტანტინოვიჩ, სწორად დაასახელოთ რესპუბლიკის ერთ-ერთი უძველესი სამეცნიერო დაწესებულება, იგი ამას იმსახურებს.

ახლა კი ზოგი რამ უნდა შეგახსენოთ:

ანთელავა ირაკლი გიორგის ძე, 1912-1978 წწ., ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის ასსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1961 წ.), საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე (1965). სხვა ჯილდოებთან ერთად მიღებული აქვს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი (1972); 1938 წლის თებერვლიდან 1956 წლის 30 ოქტომბრამდე მუშაობდა აბნიაში, პარალელურად — 1954 წლის ნოემბრამდე სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, რომელიც სხვათა შორის, თქვენ დაამთავრეთ 1948 წელს.

ი. ანთელავას ბიოგრაფიულ ცნობებში მე პედანტური სიზუსტით მოვიყვანე აფხაზეთში მისი მუშაობის თარიღები. მიაქციეთ თუ არა ყურადღება 1956 წლის 30 ოქტომბერს? გახსოვთ? თუ არა, შეგახსენებთ. სწორედ ამ დღეს, თქვენ, პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა, განუცხადეთ მას, რომ მისი დარჩენა აფხაზეთში „მიზანშეწონილი აღარ არის“.

ვფიქრობ, მაშინ მთლად თქვენი ნებით არ გიმოქმედიათ. თქვენ წინასწარ შეგიკვეთეს ეს და დაგავალეს სწორედ თქვენ, რადგანაც „დამკვეთებმა“ შესანიშნავად იცოდნენ, რომ მათი ნების უკეთეს აღმსრულებელს ვერ იპოვიდნენ.

ნუთუ არ იცოდით, რომ აძევებდით არა რიგით „მასწავლებელს“ (თუმცა ამ წოდებაში ვერაფერს საძრახისს ვერ ვხედავ), არამედ აფხაზეთში ისტორიის მეცნიერებათა პირველ კანდიდატს (მან დისერტაცია 1941 წელს დაიცვა თემაზე „ნარკვევები აფხაზეთის XVII-XVIII სს. ისტორიიდან“) და ისტორიის მეცნიერებათა პირველ დოქტორს, ადამიანს, რომელმაც დიდი ძალა და ენერგია შეალია აფხაზეთში ისტორიის მეცნიერების განვითარებას, რომელსაც გულწრფელად უყვარდა ეს მხარე, უანგაროდ ემსახურებოდა მას და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე არ გაუწყვეტია მასთან კავშირი. აფხაზეთი მისთვის არასდროს გაიგივებულა თანამდებობის პირებთან და მედროვეებთან, არამედ ყოველთვის იყო ანდრია ჭოჭუას, ვარლამ შერვაშიძის, გიორგი ძიძარიას, სოკრატ არშბას, მიხეილ თრაფშის, ქიაზიმ აგუმაას, მიხეილ ლაკერბაიას და სხვა, დღესაც ცოცხალ, ღირსეულ შვილთა სამშობლო, სამშობლო იმ სტუდენტებისა, რომელთაც იგი ლექციებს უკითხავდა პედინსტიტუტში და რომლებთან ერთად ხანგრძლივი დროის მანძილზე ცხოვრობდა საერთო საცხოვრებელში, მოლოტოვის ქუჩის № 21-ში (ბინა სახელმწიფოსგან მას არასდროს მიუღია). მას ესმოდა „ალამასის“ მნიშვნელობა და ფასი, უყვარდა ამ ძლიერი სიტყვის შემქმნელი ხალხი და მისდევდა მასში (ამ სიტყვაში) ჩაქსოვილ ყოველ მცენებას. იგი არ ყოფილა ორპირი, ვიმეორებ, ორპირი, ივან კონსტანტინოვიჩ!

სწორედ ამიტომ შეხვდა იგი გულწრფელი სიხარულით და მადლიერებით აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოებას. სწორედ ამიტომ მძიმედ განიცდიდა აფხაზეთთან იძულებით განშორებას. მიუხედავად ამისა, მაინც არ დამდგარა განაწყენებული კაცის პოზაში და მთელი თავისი ძალით, ცოდნით და გამოცდილებით ემსახურა მას უკანასკნელ ამოსუნთქვამდე.

ისევ დავუბრუნდეთ ზემოთ მოტანილ ციტატას: „...ისაუბრა იმ გეგმის მიხედვით, რომელიც მას წინასწარ დაუსახეს და დაიწყო ნაწარმოების მნიშვნელობის დამცირება“...

ამასთან დაკავშირებით მებადება კიდევ ერთი კითხვა: რამ გაიძულათ გამოგექვეყნებინათ „ქშენილება“, საიდანაც ეს სიტყვებია ამოღებული? იგი ხომ დიამეტრულად ეწინააღმდეგება 1951 წელს თქვენსავე ნათქვამს გიორგი გულიასა და მის თხზულებაზე? ლიტონი სიტყვა რომ არ გამოგვივიდეს, შევუდაროთ ერთმანეთს:

„გიორგი გულიამ — კაცმა, რომელმაც გულთან ახლოს მიიტანა თავისი კეთილი, ნიჭიერი, საკუთარი მიწის მოყვარული აფხაზი ხალხის ყველა უბედურება და სიმწარე, მთელ მსოფლიოში კარგად ცნობილი ნაწარმოებებით უმღერა თავის მიწას, თავის მხარეს“ („აიდგილარა“, „ოქროს საწმისი“).

პარტკონფერენციაზე წარმოთქმულ სიტყვაში კი, როდესაც ლაპარაკობდით გ. გულიას მთელი შემოქმედების ხარვეზზე, ხაზი გაუსვი, „... რომ ეს განდგომაა სოციალისტური რეალიზმის პრინციპისაგან... ის მწერალი, რომელიც განუდგება ამ სტალინურ პრინციპს, ამახინჯებს სინამდვილეს, გვიჩვენებს მას მრუდე სარკეში, როგორც ეს გ. გულიას მოსდის. მწერალ გ. გულიას ეს ნაკლოვანებები არ არის წმინდა ლიტერატურულ-მხატვრული რიგისა, მათ უფრო პრინციპული ხასიათი აქვთ, რაც მავნე კონცეფციაში გადადის“ (თარგმანი ჩემია — გ. ა.); საკვირველია, როგორ არ აღმოჩნდა ამის შემდეგ გ. გულია სოლოვკებზე?

თქვენ, ივან კონსტანტინოვიჩ, რომელიც ყოველთვის მოქმედებდით მხოლოდ ვიღაცის მიერ დასახული გეგმით, უფრო სწორად, ვიღაცის საამებლად, ალბათ, გიჭირთ გაიგოთ, რომ არსებობს პრინციპულობა, მოქალაქეობრივი მრწამსი, ადამიანური ღირსება და რომ ეს ზნეობრივი კატეგორიებია, მათ ვერც იყიდი და ვერც მოიხვეჭ! ეს ყველაფერი ღვთისაგანაა. ამით შეიძლება მხოლოდ იამაყო.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ „შავი სტუმრების“ განხილვისას ი. ანთელავა (აბნიის ისტორიის განყოფილების ხელმძღვანელი და პედინსტიტუტის კათედრის გამგე) გამოვიდა, როგორც ისტორიკოსი — სპეციალისტი ნაწარმოებში აღწერილი პერიოდისა. მხოლოდ ამ თვალსაზრისით, მკაცრად, მაგრამ ობიექტურად გააკრიტიკა იგი ისე, რომ მისი ავტორისთვის არ უკადრებია ის, რაც თქვენ იკადრეთ მის მიმართ თქვენს გამოსვლაში (ი. ანთელავას გამოსვლის ტექსტი შემონახულია).

და ამიტომ განწმენდის მცდელობა „აიდგილარას“ ფურცლებზე (29.12.89), ეს ნიანგის ცრემლებია. მათი ფასი ყველამ იცის.

და ბოლოს, მე მესმის, რამ გაიძულათ წარსულის ქექვა. შეუძლებელია განთავისუფლდე ჩადენილი ბოროტებისაგან. ეტყობა, შიში იმქვეყნად შეხვედრისა ადამიანთან, რომელსაც თავს ლაფი დაასხი, არ გასვენებს. ახლა კი... ხანი გავიდა... ბევრი რამ დავიწყებას მიეცა... (სწორად ვერ გაგითვლიათ, ივან კონსტანტინოვიჩ!)... უამიც დადგა, უამი ამღვრეული, ხელსაყრელი, როდესაც ადვილად შეგიძლია მოიპოვო ქულები პატრიოტის ტიტულზე გამართულ „მასობრივ ტურნირში“. მაგრამ.. ივან კონსტანტინოვიჩ, გახსოვდეთ, ეს ქულები ყალბია, ხოლო „პატრიოტი“ არც ორდენია და არც წოდება. იგი სულ სხვა რამეა. პატრიოტობა ძალზე იოლია, პატრიოტი უბრალოდ უნდა იყო ყველგან და ყოველთვის, მუდამ უნდა გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და არასდროს გავიწყდებოდეს, რომ შენი მამის შვილი ხარ და შენი შვილის მამა!

ეპისტოლური სტილი მოითხოვს, რომ წერილი იწყებოდეს და მთავრდებოდეს ადრესატისადმი გარკვეული პატივისცემის გამომხატველი სიტყვებით. ეს სიტყვები ზოგჯერ გულწრფელია, ზოგჯერ კი ეთიკურ სტერეოტიპს წარმოადგენს.

თავს უფლებას ვაძლევ, ამ შემთხვევაში არ დავიცვა ეს წესი.

გიორგი ანთელავა

ჩვენი მილოცვა



მიხეილ ჩუბინიძე 80

ესეც რვა ათეული წელი... 80 ზამთარ-ზაფხული, 80 აღმართ-დაღმართი. ...და მაინც, გაზაფხული და აღმართები ჭარბობდა მის ცხოვრებაში...

80 წლიდან 60 მან ქართულ სცენას მიუძღვნა. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი მიხეილ ჩუბინიძე ჩვეული აღმავლობითა და შემართებით ემსახურება თეატრალურ ხელოვნებას. იგი სოხუმის კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის სახელმწიფო ქართული დრამატული თეატრის ბურჯი და იმედია.

ღმერთმა ნუ მოუშალოს ქართველ მაყურებელს ამ სახელოვანი მამულიშვილის შემოქმედებით ტკბობა კიდევ მრავალ წელს!

გულწრფელი სტრიქონები

●

კულტურას შთანთქმას უპირებს
უკულტურობის დრაკონი...
ხალხი არ უნდა შეშინდეს,
წმინდა გიორგის პატრონი.

●

ერთობა და ერთგულება
გადაგვარჩენს ჭეშმარიტად,
სხვა წამალი ქვეყანაზე
არ არსებობს ჭირთამრიდად.

●

არ ვეძებ სახელს, დიდებას,
დიდუბესა და მთაწმინდას...
კაცობის გარდა კაცისგან
მე არაფერი არ მინდა.

ლევთერ ფაჩულია

●

გონს მოდით, მოძალადენო,
ხმალი ჩააგეთ ქარქაშში,
ხომ ხედავთ, ვერ
გადაგვყლაპავთ,
არ ჩაგეტევით ხახაში.

●

როს რბილი სკამი დაუდგეს
და მოუხარშეს ავარია,
სამშობლო ტახტზე გასცვალა,
გამოიცვალა გვარია.

●

ვინც თავის ხალხს განდგომია
და ხელი უკრავს გვარზედა,
დიდმა აკაკიმ ასე თქვა:
„ჭირი მოუვა კარზედა“.

ოთარ ნაჭყებია

კომენტარის გარეშე

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარეს ე. კოლონიას

ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარეს ეთერ კოლონიას საკუთარი ინიციატივით თვითნებურად შეუცვლია განყოფილების ადრე არსებული სახელწოდება ასეთი რედაქციით: „აფხაზეთის თეატრის მოღვაწეთა კავშირი“.

ამგვარი დემაგოგიური საქციელი და არსებული სახელწოდების შეცვლა ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციურ დებულებებს კულტურის მოღვაწეთა კავშირების თაობაზე.

საქართველოსაგან დამოუკიდებლად არ არსებობს აფხაზეთი, მით უფრო აფხაზეთის თეატრის მოღვაწეთა კავშირი.

საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის სამდივნო კატეგორიულად მოითხოვს დაუყოვნებლივ შეიცვალოს ამჟამად არსებული სახელწოდება და, წესდების შესაბამისად, განყოფილებას დაუბრუნდეს პირვანდელი სახელწოდება: „საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის აფხაზეთის განყოფილება“.

ამ თვითნებური საქციელის გამო საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის აფხაზეთის განყოფილების თავმჯდომარემ პასუხი უნდა აგოს სომ კავშირის სამდივნოს წინაშე.

გ. ლორთქიფანიძე,
საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე, სსრკ სახალხო არტისტი, პროფესორი

აწმყო შობილ წარსულისაგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკო ჯანაშია

აფხაზთა და აფხაზეთის შესახებ

ჭრელი შენიშვნები

ქართველ ეერნალ-გაზეთობამ ამ უკანასკნელ წლებში თითქმის დავიწყეს, რომ შეი ზელის ბიჭად მდებარეობს საკარიელოს მეარე-ნენარეულად ბედი შეკავშირებული აფხაზეთი... თუმცა აფხაზნი ქართველთა ტომის ამალი ნათესავნი არ უნდა იყვნენ, მაგრამ ისიც მართალია, რომ რაც ისტორიას ახსოვს, ეს ახალია, ვარსა ეკუთვნი, ეთო გაზეთნელთა, ეთოს ეაზეთ-ნენარეულთან ეეი შეკავშირებული: მასთან ერთად ორი ერთმეორე ეარეთ ხანგრძლივ ეარეა ხანგრძლივ ეეეებნა ტკბილი ღღეები თავისუფლებისა და, მოლოს, მასთან ერთად ეეანასკნელად გამოშეიდრებნა თავისუფლებასაც... ეხეე რომ არ ეეოს, აფხაზთა და ქართველთა ღღეეაზედეთ ინტერესები ისე ეეაზედირთული ერთმანეეი, რომ ბასი (აფხაზეთის) ეეეურადღებად დატოვება შეუნარჩუნელი და გაუნარჩენელი ეოფილა ქართველ ეერნალ-გაზეთობისა. ეი, ამიტომაც ეზეეეე შენელებისა ღაკვარად ხან ამოეალი და ამოეალი ეი ეაზეთ-ნენარეულ ეერნალ-ეერნალ ეეეეეენ ოეალი ეეეეენ ეეეეეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარულის გაკვეთილები

12 წლის წინანდელი პარტიული დოკუმენტის ასეთი სათაური დღეს, მეტი თუ არა, ცინიზმად გაისმის, რადგან იგი მიღებისთანავე უარყეს და დაგმეს, მაგრამ, როცა მკითხველი მის შინაარსს გაეცნობა, მაშინვე დარწმუნდება ამ დოკუმენტის დროულობასა და პრინციპულობაში. ეს არის პასუხი 12 წლის წინანდელ წერილზე, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა დაწერეს და უმაღლეს პარტიულ ინსტანციებში დაგზავნეს. მაშინ აღნიშნულ წერილს პარტიული პოზიციებიდანვე გაეცა პასუხი და საკმაოდ პრინციპულადაც. ასევე დაგმობილ იქნა აფხაზ ექსტრემისტთა პროვოკაციული გამოსვლები და ცილისწამებანი. მაგრამ უძრაობისა და ბრეჟნევ-სუსლოვის დინასტიური ბატონობის პერიოდში საქვეყნოდ გახმაურებული და განხილული ეს დოკუმენტი ორ-სამ დღეში ასევე საქვეყნოდ უარყეს, პარტიის რიგებიდან გარიცხული პროვოკატორები ისევ პარტიაში აღადგინეს, ხოლო აფხაზეთის მაშინდელ პარტიულ და სამთავრობო ხელმძღვანელობას საკადრო არქივში გადაუძახეს ვ. ხინბასა, ლ. მარშანიასა და ა. საყვარელიძესთან ერთად... ამის შემდეგ წაიშალა აფხაზეთში ყოველივე სამართლიანობისა და კანონიერების ზღვარი, ანტიქართულ მოძრაობაში მონაწილეობა და აქტიურობა პრესტიჟის საქმედ და კარიერისაკენ ზეაღმავალ გზად იქნა მიჩნეული.

...და, აი, ფინალი (თუ ეს ფინალია!) — 15-16 ივლისის ტრაგედია. დიახ, წაყრუებისა და უსაზღვრო მიმტევებლობის პოლიტიკამ სისხლიანი გაკვეთილი ჩაგვიტარა და ეს გაკვეთილი თუ „ზემოდან“ არ იყო ინსპირირებული, „ქვემოთ“ ჭკუა სხვებმაც უნდა ისწავლონ და ჩვენც.

მაღალი იდეური რწმენა

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ვ. მ. ხინთბას მოხსენება საოლქო პარტიული აქტივის კრებაზე 1978 წლის 18 მარტს

იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის სუსტად დაყენების ნეგატიური შედეგების შესახებ დღეს მიხდება ვილაპარაკო არა განყენებულად, არა, ასე ვთქვათ, თეორიული თვალსაზრისით — ჩვენ შევხვდით მათ პრაქტიკაში, ვაანალიზებდით რა ამ კრების მონაწილეთა უმეტესობისათვის ცნობილ აღმაშფოთებელ ფაქტს, როცა მთელმა რიგმა პირებმა, მათ შორის სკკპ წევრებმა, პასუხისმგებელმა მუშაკებმა, რომლებმაც გამოიდეს რა თავი, როგორც აფხაზი ხალხის ინტერესების დამცველებმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტს და სხვა სადირექტივო ორგანოებს მიმართეს აპოლიტიკური, ცილისმწამებლური წერილით, რომელშიც დამახინჯებულია აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მიმართ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ კურსის არსი და აზრი, რაც უკანასკნელ წლებში ტარდება, ასევე ავტონომიურ რესპუბლიკაში ეროვნული ურთიერთობების რეგულირების მხრივ პარტიის საოლქო კომიტეტის მუშაობის არსი და აზრიც.

მომხდარის ჭარბი მონაგონებისა და მითქმა-მოთქმის შემდგომი გავრცელების აღსაკვეთად საჭიროდ ვთვლით ამ კრების მონაწილეებსა და ფართო საზოგადოებრიობამდე დავიყვანოთ წერილის არსი, აგრეთვე მივაწოდოთ ინფორმაცია მისი ავტორებისა და გამავრცელებლების მოქმედების დაუშვებელი ფორმებისა და მეთოდების და ამ საკითხში პარტიის საოლქო კომიტეტის პოზიციის შესახებ.

მაშ ახლა, იყენებენ რა ლენინური ეროვნული პოლიტიკის დამახინჯების პარტიის მიერ დაგმობილ, ხაყოველთაოდ ცნობილ ფაქტებს, რასაც აფხაზეთში ადგილი ჰქონდა 40-50-იან წლებში, ტენდენციურად აფასებენ რა ავტონომიურ რესპუბლიკაში საზოგადოებრივი და სამეურნეო განვითარების ობიექტურ პროცესებს, რაც უკანასკნელ წლებში ხდება, უხეშად აყალბებენ რა ცალკეულ ფაქტებს, რაც ახასიათებს აფხაზეთში საკადრო პოლიტიკის განხორციელებას ჩვენს დღეებში, წერილის ავტორები შებილწულ პარალელს ავლებენ ტრაგიკულ პერიოდებს, რასაც ადგილი ჰქონდა არა მარტო აფხაზი და ქართველი ხალხების, არამედ სსრ კავშირის ყველა ხალხების ცხოვრებაში და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დღევანდელ კურსს შორის და აკეთებენ პროვოკაციულ, უტყუარი ფაქტების საწინააღმდეგო დასკვნებს იმის შესახებ, თითქოს, როგორც ისინი წერენ, აფხაზეთში ეროვნული პოლიტიკის დამახინჯების პროცესი უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში კიდევ უფრო გადაჭრით და ინტენსიურად მიმდინარეობდეს.

აშკარად ცილს სწამებენ რა აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მიმართ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახლანდელ პოლიტიკას, წერილის ავტორებმა თვითნებურად მიითვისეს აფხაზი ხალხისა და ავტონომიური რესპუბლიკის მთელი მოსახლეობის სახელით გამოსვლის უფლება, რომელთა ნება გამოხატულია აფხაზეთის საბჭოების VI ყრილობის გადაწყვეტილებებში, 1931 წლის თებერვალში რომ დაადგინა — „შეუყვანდ იქნას აფხაზეთი-საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში ავტონომიურ საწყისებზე“.

კონკრეტულად რაზე წერენ წერილის შემდგენლები?

წერილის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება აფხაზეთის ისტორიის საკითხებში ქართველი მეცნიერების ცალკეულ შრომებში დაშვებულ შეცდომებს, აგრეთვე ტოპონიმიკის პრობლემებს. უნდა ითქვას, რომ თავის დროზე ნაწილი ამ შრომებისა სერიოზულად იქნა გაკრიტიკებული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, რის შემდეგაც ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის ავტორიტეტული მეცნიერების, კერძოდ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის გ. ა. ძიძარიასა და პროფესორ ზ. ვ. ანჩაბაძის მტკიცებით, აფხაზეთის ისტორიის დამახინჯებას სერიოზული სამეცნიერო შრომებში ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება ფაქტოლოგიურ შეცდომებს, რასაც ჯერ კიდევ ვხვდებით ცალკეული ავტორების შრომებში, მათს შესახებ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტისა და სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შესაბამისი კათედრების მეცნიერი მუშაკების მიერ შედგენილია დოკუმენტი, რომელიც გაეგზავნება კომპეტენტურ რესპუბლიკურ ორგანოებს მომავალში ასეთ დასანან შეუსაბამობათა თავიდან აცილების მიზნით. ამავე დროს, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთის ისტორიკოსი-მეცნიერების, განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერების მიერ გამოქვეყნებულ შრომებშიც ახევე გვხვდება მეტად სერიოზული შეცდომები, რომლებიც ხელს არ უწყობენ საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიული წარსულისა და აწმყოს ობიექტურ გაშუქებას.

მაგრამ ეს არავითარ საფუძველს არ იძლევა შორს გამიზნული დასკვნებისათვის, არ უნდა გამოიწვიოს არაჯანსაღი აუოტაჟი, რადგანაც მეცნიერული ნაშრომის ხარისხი მთლიანად დამოკიდებულია მისი ავტორის კომპეტენტურობაზე, ერუდიციაზე, კეთილსინდისიერებაზე და რამდენადაც არავინ არ არის დაზღვეული შეცდომებისაგან, მათში, ამასთან მშვიდად და ავტორიტეტულად, უნდა გაერკვნენ თვით მეცნიერები და შესაბამისი ორგანოები და ორგანიზაციები.

ადრე დაშვებული, არც ისე დასაბუთებული ტოპონიმიკური სახელწოდებების შეცვლაზე, სათანადო მოფიქრების გარეშე მათ მინიჭებაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი პარტიის საოლქო კომიტეტის VI (1977 წ.) პლენუმზე და მაშინ გამოითქვა სერიოზული საყვედური ამ საკითხებზე სპეციალურად შექმნილი კომისიის მისამართით, რომელსაც ხელმძღვანელობდა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ვ. შინკუბა. ამ კომისიამ გარკვეული მუშაობა ჩატარა, მაგრამ, ჩვენთვის უცნობი მიზეზებით, იგი ბოლომდე არ მიიყვანა. ამიტომ ჩვენ იძულებული შევიქენით შეგვექმნა ახალი კომისია აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. შ. მ. შაკაიას ხელმძღვანელობით, რომელმაც უახლოეს დროში უნდა წარმოადგინოს შესაბამისი წინადადებანი ამ საკითხების საბოლოო განხილვისა და აუცილებელი გადაწყვეტილებების მისაღებად.

წერილის დებულებები, რომელთა შესახებ ვილაპარაკე, ძირითადად ეხება იმ საერთოდ ცნობილ უმზგავს ფაქტებსა და მოვლენებს, რომლებიც პარტიისა და ხალხის ნებით ისტორიის სანაგვე ყუთში იქნა გადასროლილი და რომლებიც დღეს აინტერესებს მხოლოდ იმათ, ვინც სპეკულაციას ეწევა რა გადაუწყვეტელ საკითხებზე, არაჯანსაღ განწყობილებას იწვევს ჩვენი მოსახლეობის პოლიტიკურად არასათანადოდ აღზრდილ წარმომადგენლებში და ცდილობს ამ მის მიერვე შექმნილ ატმოსფეროში დაიკმაყოფილოს თავისივე პირადი ინტერესები.

თავისი არსით უმართებულო მეთოდები წერილის ავტორებისა ყველა იმათ კანონიერ აღშფოთებასა და გულისწყრომას იწვევს, ვინც საკმაოდ დაწვრილებით გაეცნო მათს მიერ შედგენილ დოკუმენტს. აღშფოთებას იწვევს სიცრუე, ობიექტური ფაქტების ფალსიფიცირება, უკანასკნელ წლებში აფხაზეთის ასსრ-ს მიმართ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის უდიდესი მზრუნველობისა და ყურადღების, ავტონომიურ რესპუბლიკაში საკადრო პოლიტიკის, მკვიდრი ეროვნების წარმომადგენლთა რიცხვიდან სპეციალისტების მომზადების პოლიტიკის შეგნებული იგნორირება. სწორედ ამიტომ მიმაჩნია აუცილებლად დეტალურად შევჩერდეთ ამ საკითხებზე, ვუჩვენოთ წერილის ავტორების პოზიციის უსაფუძვლობა, ამასთან არა იმდენად თვითონ მათ, არამედ იმათ, რომლებიც რამდენადმე შეცდომაში არიან შეყვანილნი.

თანმიმდევრულნი რომ ვიყოთ, მინდა დავიწყო აფხაზი ეროვნული კადრების მომზადების საკითხით. როგორც ცნობილია, ეს პროცესი იწყება სკოლაში. ის ჩვენთან მიმდინარეობს მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად და თანამიმდევრულად. მარტო უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე აგებულია 29 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შენობა, მათ შორის 10 აფხაზური, 8 ქართული და 6 რუსული სკოლა, ამჟამად ავტონომიურ რესპუბლიკაში სულ მუშაობს 91 აფხაზური სკოლა, რომლებშიც 20 ათასზე მეტი მოსწავლეა, ხოლო 1978-79 სასწავლო წელს აფხაზური სექტორები გაიხსნება აფხაზეთის კიდევ ხუთ საშუალო სკოლაში. ამავე დროს ყოველწლიურად დიდდება სახალხო განათლების ბიუჯეტი, რომელიც 1972-დან 1977 წლამდე თითქმის 5 მილიონი მანეთით გაიზარდა.

ახარებთ თუ არა ეს ფაქტები წერილის ავტორებს? ამჩნევენ თუ არა ისინი მათ? რა თქმა უნდა, არა. ისინი წერენ, რომ აფხაზური სკოლადამთავრებულების წინაშე სერიოზული სიძნელეებია უმაღლესი განათლების მიღების საქმეში, რამდენადაც მათი სიტყვებით: „საქართველოს უმაღლეს სასწავლებელში შესვლა ქართული ენის ცოდნის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია“. ამიტომ, როგორც წერილშია მოცემული, აფხაზური სკოლადამთავრებულების წინაშე თითქოს ყოველთვის დგას არჩევანი: ან დარჩენა უმაღლესი კვალიფიკაციის გარეშე, ან საქართველოს საზღვრებს გარეთ გასვლა უმაღლეს სკოლაში შესასვლელად.

საჭიროებს კი ეს მტკიცება სერიოზულ უარყოფას? ვფიქრობ, რომ არა, რადგან თითოეული ჩვენგანისათვის ცნობილია, რომ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში აღზრდილი ბევრი აფხაზი, რუსი, უკრაინელი, სომეხი და სხვა ეროვნების სპეციალისტი ამჟამად ნაყოფიერად მუშაობს ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე და მის ფარგლებს გარეთაც. არ მინდა მოვქანცო თვქენი ყურადღება ჩვენს ხელთ არსებული სტატისტიკური მასალით, და იმავე დროს ფაქტებიც რომ მოვიშველიო, მოვიყვან მხოლოდ ერთ ციფრს, რომელიც ცხადყოფს ნამდვილ ვითარებას: მარტო 1976-1977 სასწავლო წელს რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობდა ათასზე მეტი აფხაზი ჭაბუკი და ქალიშვილი, ხოლო ჩვენი ქვეყნის ინსტიტუტებში — 1800 აფხაზი.

ამასთან დაკავშირებით მინდა აღვნიშნო ერთი კურიოზული დეტალი. როგორც პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ბიუროზე გამოირკვა, წერილზე ერთ-ერთი ხელმომწერის ქალიშვილი სწავლობს არა სადმე სხვაგან, არამედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, არჩეულია ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს წევრად და არავინ არ დაინტერესებულა, მან ქართული ენა იცოდა თუ არა.

ამავე დროს ჩვენ გვაღელვებს სულ სხვა ობიექტურად არსებული პრობლემა, რომელიც დაკავშირებულია უმაღლეს სასწავლებლებში აფხაზური სკოლადამთავრებულების შესვლასთან. ეს არის მათი ცოდნის ხარისხი, მზადყოფნა უმაღლესი განათლების მისაღებად. ამ მიზნით ამას წინათ შესწავლილ იქნა გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ორი აფხაზური საშუალო სკოლის IX-X კლასების მოსწავლეთა მოსწრება და უნდა ითქვას, რომ ამ ანალიზის შედეგები მეტად არადამაკმაყოფილებელია.

სამართლიანობა მოითხოვს აქვე აღვნიშნოთ, რომ წერილის ავტორები სწორად აღნიშნავენ აფხაზურ ენასა და ლიტერატურაში აუცილებელი მეთოდური ლიტერატურისა და ხარისხიანი სახელმძღვანელოების უქონლობის შესახებ. მაგრამ ისმება კითხვა: ვინ უშლიდა ხელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის და სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკებს, მათ შორის იმათ, ვინც ამ წერილს ხელი მოაწერა, დაემუშავებინათ ასეთი ლიტერატურა? კიდევ მეტი, როდესაც 1976 წელს სოხუმში ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელობის თხოვნითა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ინიციატივით გაიხსნა ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიურ მეცნიერებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის აფხაზეთის განყოფილება, რომელიც მოწოდებულია გადაჭრას ეს საკითხები, პედაგოგიური ინსტიტუტის არც ერთი წამყვანი სპეციალისტი არ დათანხმდა სამუშაოდ ამ განყოფილებაში გადასულიყო.

წერილის ავტორები განსაკუთრებით ესხმიან თავს პარტიის საოლქო კომიტეტის მუშაობას კადრების შერჩევისა და განაწილების დარგში. უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ამ მიმართულებით წერილის ავტორებმა არა მარტო გამოამჟღავნეს თავიანთი აბსოლუტური არაკომპეტენტურობა სოციალისტური მეურნეობის ძირითად პრინციპებში, არამედ აშკარა ფაქტების გაანალიზების უნარის უქონლობაც. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს და ვიტყვით კიდევაც, რომ აფხაზეთის სახალხო მეურნეობა ჩვენი ქვეყნის ერთიანი სახალხო სამეურნეო კომპლექსის განუყოფელი ორგანული ნაწილია, რომელიც ვითარდება სოციალისტური საზოგადოების ერთიანი კანონების მიხედვით. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს მადლობა და დღესაც მადლობას ვუცხადებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევს ავტონომიურ რესპუბლიკას მუშათა კადრების მომზადებასა და დაკომპლექტებაში, რადგან დამოუკიდებლად ჩვენ ვერ გავარომევდით თავს სამეურნეო და კულტურული განვითარების განუწყვეტლივ მზარდ ამოცანებს. მიუხედავათ ამისა, ამ უსათუოდ დადებით პროცესშიც წერილის ავტორები ხედავენ მხოლოდ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობის ინტერესების შელახვას, რაც, როგორც ისინი წერენ, ხდება „სხვადასხვა „ეტაპილგანზრახვითი“ საბაბით“. ამასთან საქართველოს სხვა რაიონებიდან აფხაზეთში მუშების გამოგზავნა ზედმეტად მიაჩნიათ, რადგანაც ადგილზე თითქოს საკმაოდაა შრომისუნარიანი მოსახლეობის სათანადო რაოდენობა, რომელიც ამჟამად არ მუშაობს, ხოლო ახალ მცხოვრებთა ჩამოსვლა გამოიწვევს ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის გადაჭარბებულ სიმჭიდროვეს.

ხოლო რაც შეეხება მოსახლეობის სიმჭიდროვეს, მოვიყვან მხოლოდ სამ ციფრს: ამჟამად აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვადრატულ კილომეტრზე შეადგენს 58,1-ს, იმ დროს, როდესაც მთლიანად საქართველოში ეს მაჩვენებელი 71,1-ს უდრის, ხოლო აჭარაში 114,3-ს. არა მგონია, აზრი ჰქონდეს კიდევ რამის თქმას ამ საკითხზე.

და ბოლოს, განსაკუთრებით აშკარად ცილისმწამებლურია წერილის ის ადგილები, რომლებშიც ლაპარაკია აფხაზეთის ახლანდელი ხელმძღვანელი კადრების შერჩევის შესახებ. ამასთან წერილის ავტორები მთლიანად უარყოფენ საოლქო პარტიულ ორგანიზაციასა და საქართველოს სსრ რესპუბლიკურ ორგანოებს შორის კადრების გაცვლის მუდმივ პროცესს. საჭიროა ნათელი მოვფინოთ ამ საკითხებსაც, რისთვისაც აუცილებელია კვლავ მივმართოთ სტატისტიკის მშრალ, მაგრამ მრავლისმეტყველ ციფრებს, ობიექტურ ფაქტებს.

განვიხილოთ თუნდაც აფხაზეთის პარტიული კომიტეტების აპარატის მუშაკების შემადგენლობა. 1949 წელს პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების განყოფილებათა გამგეობიდან აფხაზი მხოლოდ 27,3 პროცენტი იყო, 1963 წელს — 40 პროცენტი, ხოლო მიმდინარე წლის პირველი იანვრის მონაცემებით — 72 პროცენტამდე. პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების შემადგენლობის მონაცემები ასეთია: 1949 წელს — 4 პროცენტი, 1963 წელს — 30 პროცენტი. მიმდინარე წლის პირველი იანვრისათვის — 37,5 პროცენტი.

ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაში აფხაზები 1953 წელს შეადგენდნენ 18,7 პროცენტს, 1963 წელს — 47,4 პროცენტს, ხოლო ამჟამად 55,6 პროცენტს.

1926-დან 1970 წლამდე აფხაზ მოსახლეობაში მუშების ხვედრითი წონა 0,7-დან 30 პროცენტამდე გაიზარდა, ამასთან განუწყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარულის გაკვეთილები

ვეტლივ იზრდებოდა ავტონომიური რესპუბლიკის მუშათა კლასის შემადგენლობაში აფხაზ მუშათა ხვედრითი წონა. მარტო 1959-დან 1970 წლამდე ეს დამახასიათებელი მაჩვენებელი გადიდდა თითქმის ორჯერ და 10,3 პროცენტს მიაღწია.

სისტემატურად იზრდება აფხაზთა შორის მომსახურეთა რიცხვი, რომლებიც 1970 წლის აღწერით, მთელი აფხაზი მოსახლეობის 19,8 პროცენტს შეადგენდნენ. ხოლო მუშებისა და მოსამსახურეების საერთო ხვედრითმა წონამ ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობის 48 პროცენტს გადააჭარბა.

თუ ზემოთმოყვანილ ციფრებს დავუმატებთ უველასათვის ცნობილ მონაცემებს მაღალი კვალიფიკაციის მეცნიერ-მუშაკებისა და შემოქმედებითი ინტელიგენციის რაოდენობის შესახებ, რომლებიც ნაყოფიერად მუშაობენ ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში, ვფიქრობ, ყოველი წინასწარშეუგონებელი ადამიანისათვის ახალი გახდება, რომ ამჟამად ჩვენ საოლქო პარტიულ ორგანიზაციას ჰყავს მაღალკვალიფიციური კადრები, რომლებსაც ძალუძთ აქტიურად და წარმატებით გადაწყვიტონ მათ წინაშე დასახული ნებისმიერი ამოცანა.

ამ კურსის სისწორეს ადასტურებს, აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტისა და ხელმძღვანელი როლის ამაღლებას ნათელყოფს ის, რომ აღნიშნულ პერიოდში მისი რიგების მრავალფეროვნების ზრდასთან ერთად მოხდა ავტონომიური რესპუბლიკის მკვიდრი ეროვნებების წარმომადგენელი კომუნისტების რიცხვის ზრდაც. 1952 წლიდან აფხაზი კომუნისტების რიცხვი გაიზარდა 2,5-ჯერ, ქართველებისა — 1,7-ჯერ, რუსებისა — 1,3-ჯერ, სომხებისა — 1,5-ჯერ.

1976 წელს გამართულ პარტიულ კონფერენციებზე აფხაზეთის პარტიული კომიტეტების შემადგენლობაში არჩეული იქნენ ათი ეროვნების კომუნისტები, მათ შორის პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში აფხაზებმა 39,4 პროცენტი შეადგინეს.

ვამთავრებ რა ლაპარაკს განსახილველი კოლექტიური წერილის შინაარსის შესახებ, რამდენიმე სიტყვა მინდა ვთქვა კადრების გაცვლის შესახებ. იაბ. აფხაზეთში სისტემატურად იგზავნებიან სამუშაოდ გამოცდილი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკები, რომელთაც დიდი წვლილი შეაქვთ ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ამავე დროს ცენტრალური რესპუბლიკური ორგანოების აპარატებში შუადამ მუშაობენ ჩვენი საოლქო პარტიული ორგანიზაციის წარმომადგენლები. ამასთან დაკავშირებით მინდა დავასახელო რამდენიმე კონკრეტული მაგალითი. ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის პოსტზე მუშაობდა და რესპუბლიკაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა არქიფო მირონის ძე ლაბახუა. დღეს წარმატებით ახორციელებენ თავიანთ დიდმნიშვნელოვან მოვალეობებს კონსტანტინე ხალია და აპოლონ კვიწინია — საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები. ვლადიმერ ხიშბა — საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრის მოადგილე, იგორ ჭოჭუა — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე, ენვერ კაბა — საქართველოს პროფსაბჭოს მდივანი, ვახილ კადენეცი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და ბევრი სხვა ამხანაგი. აფხაზეთის ახალგაზრდობისათვის დიდი პატივისა და ნდობის ნიშანია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრად კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის დავით ფილიას არჩევა.

ბოლოსდაბოლოს, თუმცა ოფიციალურ მოხსენებებში მიღებული არ არის საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ მინდა ვთქვა იმის შესახებ, რომ პირადად მე დიდი გულთბილობითა და უდიდესი მადლობით ვიხსენებ იმ წლებს, როცა ვმუშაობდი საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის აპარატებში. ვიგონებ ნამდვილ გულთბილ მეგობრებსა და ამხანაგებს, ჭკვიან დამრიგებლებს, რომლებსაც არ შეიძლება არ ვუმადლოდე იმას, რომ შევიძინე გამოცდილება და ცოდნა, ჩამოვყალიბდი კომკავშირულ, ხოლო შემდეგ პარტიულ მუშაკად.

ვფიქრობ, რომ ამ გრძნობებს იზიარებენ ჩემთან ერთად აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბორის ვიქტორიხ ძე ადლეიბა, პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი რამინ გრიგოლის ძე ქეცბაია, აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე შოთა მამოს ძე შაკაია, პარტიის ოჩამჩირის რაიონული კომიტეტის პირველი მდივანი პაჩ ხარიტონის ძე ბარციცი და ბევრი სხვა ამხანაგი, რომლებმაც გაიარეს პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული მუშაობის სკოლა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში, რესპუბლიკის ხელმძღვანელ ორგანოებში და დაბრუნდნენ სამუშაოდ თავის რესპუბლიკაში.

ყოველივე ეს წერილის შემდგენლებს დასჭირდათ იმისათვის, რათა აფხაზი ხალხის კონსტიტუციური უფლებების თითქოსდა შელახვის თაობაზე დემაგოგიური აბედობის მეშვეობით გაეტარებინათ უბადრუკი იდეა ნაციონალური პრივილეგიურობისა იმ მრავალეროვნული შემადგენლობის ერთდროული იგნორირებისას, რაც ისტორიულად ჩამოყალიბდა ავტონომიურ რესპუბლიკაში.

არ დასჯერდნენ რა წერილის შედგენას, მისმა ავტორებმა გააჩაღეს „მჩქეფარე საქმიანობა“ ამ წერილზე ხელმოწერის შესაგროვებლად. იყენებდნენ რა ამისათვის მანკიერ მეთოდებს. გააჩაღეს დემაგოგიაც, „პატრიოტული მოწოდებებიც“ და უველაზე უბრალო მოტყუებაც. მე ვადასტურებ ამ უკანასკნელს, რადგან წერილის შინაარსის შესწავლის პროცესში, და ამ წერილზე ხელმომწერ ადამიანებთან საუბრებისას გამოირკვა, რომ მისი შემდგენლები იყენებდნენ მთელი რიგი პირებისაგან, მათ შორის შრომისა და ომის ვეტერანებისაგან ხელმოწერის პირდაპირ გამოძალვას, აჩვენებდნენ რა მათ წერილის სხვადასხვა ვარიანტებს. კიდევ მეტიც-დადგენილია, რომ ზოგიერთი ხელმოწერა უბრალოდ ფალსიფიცირებულია.

ბუნებრივია, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურო გვერდს ვერ აუვლიდა უველა ამ ფაქტს, რომ არ გაემახვილებინა ყურადღება იმაზე, რომ აღნიშნულ კოლექტიურ წერილში ჩამოყალიბებული შეხედულებებისა და იდეების აპოლოგეტებს შორის მოხვდნენ ადამიანები, რომლებიც არა მარტო თავიანთი პარტიული და მოქალაქეობრივი მოვალეობით, ამის შესახებ აქ ლაპარაკი ზედმეტია, არამედ უბრალოდ სამსახურებრივი და საზოგადოებრივი მოვალეობით მოვალენი იყვნენ გაეტარებინათ პარტიის ხაზი, უნდა იყვნენ მისი აქტიური პროპაგანდისტები. მე მხედველობაში მყავს აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის ყოფილი დირექტორი ი. არგუნი, პარტიის საოლქო კომიტეტის წევრობის კანდიდატი, ჟურნალ „ალაშარას“ ყოფილი რედაქტორი ა. ჯენია, გუდაუთის გაზეთ „ბზიფის“ რედაქტორის ყოფილი მოადგილე პარტიის რაიკომის წევრობის კანდიდატი ი. ახიბა და მთელი რიგი სხვები, რომლებიც აფხაზეთის პარტიული კომიტეტების ნომენკლატურაში შედიან.

ინტერესმოკლებული როდია, ვიცოდეთ, თუ რას წარმოადგენს ზოგიერთი ამ „აფხაზი ხალხის ინტერესების დამცველთაგანი“, როგორია მათი ცოდნის არე. რა გაკეთეს მათ პირადად ავტონომიური რესპუბლიკისათვის?

ცოტა ზემოთ მე ვილაპარაკე იმის თაობაზე, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის ზოგიერთმა მუშაკმა უარი განაცხადა ჩვენთვის მეტად საჭირო და აუცილებელ სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოზე გადასვლაზე. ჩვენ უველა საფუძველი გვაქვს იმისათვის, რომ სერიოზული საუვედური გამოვთქვათ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის დ. ი. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის მუშაკთა მისამართით იმისათვის, რომ ჩვენ დღეისათვის არ გაგვაჩნია კაპიტალური ნაშრომი აფხაზეთის ისტორიაში. არ გაგვაჩნია ხარისხიანი სახსოვნო სახელმძღვანელოები აფხაზურ ენასა და ლიტერატურაში, რვა წლის განმავლობაში არ მომზადებულა გამოსაცემად დიმიტრი იოსების ძე გულიას თხზულებათა კრებული. 1960 წლიდან მათ არ დაუწერიათ აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციის ისტორია. და სწორედ ამ „ცოდვებში“ ისინი ხომ ადანაშაულებენ ვისაც გნებავთ, ხოლო თავის თავს არა, თუმცა უველა ამ საკითხის გარშემო თავის დროზე მიღებულ იქნა პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროს შესაბამისი დადგენილება.

მეტად ნიშანდობლივია წერილის ხელმომწერი ზოგიერთი პირის პრაქტიკული საქმიანობის დახასიათებლად აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის ი. არგუნის პასუხი პარტიის საოლქო კომიტეტის ბიუროზე მისთვის დასმულ კითხვაზე: „რატომაა, რომ მუზეუმის დარბაზებში გამოფენილი ექსპონატების განმარტებით აბრებზე წარწერები გაკეთებულია ქართულ და რუსულ ენებზე და არა აფხაზურ ენაზე?“ მან უპასუხა: „ხელი არ მიმიწვდაო“. ხელი არ მიუწვდათ მინდობილი საქმისადმი მუზეუმის სხვა მუშაკებსაც, ისე როგორც მათს დირექტორს, რომლებიც ასევე „თავგამოდებით იცავენ „აფხაზი ხალხის უფლებებს“.

ღრმად და ყოველმხრივ განიხილა რა ყველა გარემოება, დაკავშირებული კოლექტიური წერილის შედგენასა და ხელმოწერასთან, ზედმიწევნით ზუსტად აწონდაწონა რა ამ საქმეში მონაწილე პირთა პასუხისმგებლობის ზომა, პარტიის საოლქო კომიტეტის ბიურომ ერთხმად მოსსნა დაკავებული თანამდებობიდან და გარიცხა სკკპ რიგებიდან ჟურნალ „ალაშარას“ ყოფილი რედაქტორი ა. კ. ჯენია, აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი ი. გ. არგუნი, გუდაუთის რაიონულ გაზეთ „ბზიფის“ რედაქტორის მოადგილე ი. მ. ახიბა.

საკითხი სხვა კომუნისტების პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებმაც ხელი მოაწერეს ცილისმწამებლურ წერილს, გადაეცა პარტიის იმ საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ბიუროს სხდომაზე განსახილველად, სადაც ისინი აღრიცხვაზე იმყოფებიან. და ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ადგილობრივი პარტიული კომიტეტები შესძლებენ საჭირო ობიექტური დასკვნების გამოტანას.

ჩვენ უფლება არ გვქონდა და არ შეგვეძლო სხვანაირად მოქცევისა. მიღებული გადაწყვეტილებანი ნაკარნახევია ჩვენი სინდისით, ჩვენი მრწამსით, ჩვენი მოვალეობით და მისწრაფებით — წმინდათა-წმინდად დავიცვათ და ვანმტკიცოთ აფხაზი და ქართველი ხალხების, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოსახლე 75 ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა მეგობრობა და დარაზმულობა, აქტიურად შევუწყოთ ხელი მის განვითარებასა და აყვავებას. ჩვენს რიგებში ადგილი არა აქვთ პასკვილის მჭდაბნელებს, ნაციონალისტებს, ისეთებს, ვისაც უნარი შესწევს ლაფში ამოსვაროს ჩვენი ხალხების უველაზე ნათელი და კეთილშობილური გრძნობები. დათესოს განხეთქილება და უნდობლობა მათ შორის. ის, ვინც ივიწყებს დღევანდელი ჩვენი ბედნიერი და ნათელი ცხოვრებისათვის ერთობლივ ბრძოლაში აფხაზებისა და ქართველების მიერ დაღვრილ სისხლს, ვინც შავი უმადურობით უპასუხებს ყოველივე იმას, რაც გაკეთდა აფხაზეთის აყვავებისათვის,ვინც ცინიკურად ჩარმოთქვამს სიტყვებს აფხაზი და ქართველი ხალხების მეგობრობის შესახებ, იგი გამოდის უწინარეს ყოვლისა საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, თავისი თავის წინააღმდეგ...

პლურალიზმი თუ ზოილი?!..

ცხოვრება ძველი სტილით

„არა ცილი სწამო მოყვასსა
შენსა წამებითა ცრუითა!“
ათი მცნებიდან.

ზურგში მახვილის ჩაცემა ქართველი კაცისათვის ქართველისაგან, მით უფრო აფხაზეთში, არახალია, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს მახვილი იმდენად ბლაგვია და დარტყმა იმდენად უსუსური, რომ, თუ არა გარკვეული თვალსაზრისი, იქნებ პასუხადაც არ ღირდეს. აქ მაინც მთავარი ჭრილობის სიღრმე კი არა, ავტორის პოზიცია გახლავთ, რომლის ასპარეზად მან აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანოების „საბჭოთა აფხაზეთი“ გამოიყენა (3. 3. 90 წ.); ამდენად, ეს პოზიცია არა მარტო ავტორის, არამედ თვით რედაქციის პოზიციად აღიქმება მკითხველისაგან, თუმცა აქ გასაკვირი არაფერია. წლების განმავლობაში გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთს“, ტრადიციისამებრ (რასაკვირველია, მთელი კოლექტივი არ მყავს მხედველობაში), თითიც კი არ გაუნძრევია, რათა პრინციპული და სამართლიანი პოზიცია გამოეხატა აფხაზეთში დისკრიმინირებული ქართველების სასარგებლოდ. მხოლოდ ერთხელ მოხდა გამონაკლისი — შარშან, ივლისში და ისიც მხოლოდ იმით იყო გამოწვეული, რომ რედაქტორის სავარძელს საფრთხე დაემუქრა და თ. ჩოჩიას თავის დაცვის ინსტინქტი აუმოქმედდა.

ამჯერად ლაპარაკია ა. გვარამიას წერილზე „სიტყვა მოუზომელი“, რომელსაც წერილი მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოს — სინამდვილეში ეს აბდაუბდაა, საიდანაც მხოლოდ ის აზრის გამოტანა შევძელითო, რომ საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის გაზეთს „ოქროს საწმისს“ ქართულ „აიდგილარას“ ეძახიან, დროს თითქოს ეს გაზეთი ხელს უწყობს აფხაზეთში ეთნოკრიზისის გამწვავებას და კონფრონტაციას.

უპირველესად, გასარკვევია, ვინ არის ამ სტატიის ავტორი ა. გვარამია, რომელიც ჭორების გავრცელებასა და ეთნოკრიზისის გამწვავებაში სდებს ბრალად „ოქროს საწმისს?!“

ა. გვარამია თვით იყო ილია ჭავჭავაძის აფხაზეთის რეგიონალური საზოგადოების გამგეობის წევრი და, როგორც ვიცით, აპრილის ცხარე დღეებში დატოვა საზოგადოება — ეს მაშინ, როცა აფხაზეთში „ეთნოკრიზისმა“ კულმინაციის უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. როგორც გვახსოვს, მანამდე თვით იყო ერთ-ერთი „ლიდერი“, თურმე იმ „ეთნოკრიზისის“ გამომწვევი მიტინგებისა და დემონსტრაციების, აგრეთვე ქ. სოხუმში აპრილის საგაფიცვო კომიტეტის წევრიც. აპრილში აფხაზეთში ქართველთა საყოველთაო გაფიცვის უშედეგოდ და უდროოდ შეწყვეტისთანავე, მან დატოვა ილია ჭავჭავაძის საზოგადოება და „პოლიტიკური მოღვაწეობისაგან“ განდგომა ამჯობინა.

რას მოასწავებს ასე თამამი დასაწყისი, ან ასე უდროო დროს განზე გადგომა? (თუმცა. ახლახან გავიგეთ, მან უკვე ახალი პარტია აირჩია სამოღვაწეოდ).

როგორც ჩანს, იცის ა. გვარამიამ, თუ როდის ჩაერთოს და როდის გამოერთოს.

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ აფხაზეთში ქართველთა მასობრივი გაფიცვა-დემონსტრაციები ისეთ დროს იქნა შეწყვეტილი, როცა აქციის მონაწილეთა თითქმის არც ერთი მოთხოვნა დაკმაყოფილებული არ იყო.

...და სწორედ ამ აქციის შეწყვეტის მომხრეებს (მათ შორის იყო ა. გვარამია) უნდა უმადლოდნენ აფხაზი ექსტრემისტების ბელადები და ყველა მაღალი ნომენკლატურული სავარძლის იდეურად და მორალურად გაკოტრებული მფლობელები, რომ ისინი დღესაც განცხრომით განაგრძობენ აფხაზეთის მართვას.

ა. გვარამია რომ აღნიშნავს, იყო დრო, „ოქროს საწმისის“ ზოგიერთი ავტორივით ვბობოქრობდიო, რაღაც არ გვახსოვს მისი ასეთი „ბობოქრობა“, არც პრესის ფურცლებიდან და არც ტრიბუნიდან. ის კი იყო, რომ რატომღაც და რაღაცნაირად იგი ყოველთვის ახერხებდა მოკალათებულიყო „სამუშაო ჯგუფში“, — იქ იწყებოდა და მთავრდებოდა მისი საქმიანობა.

ა. გვარამია დიდი ბაქი-ბუქით იშველიებს გაზეთ „პრავდის“ რომელიღაც რიცხვის, რომელიღაც ნომერს ავტორიტეტად, რაღაც მოუზომელ სიტყვას სვერდლოვსკის ოლქის რომელიღაც ქარხნის მასების აღშფოთება გამოუწვევიაო და „აიდგილარასი“ და „ოქროს საწმისის“ „დიალოგებმაც“ აფხაზეთში შეიძლება იგივე გამოიწვიოსო. ეს დემაგოგია „განსაკუთრებული რანგის“ ხალხს კარგად აქვს დამუშავებული, იმას კი არ დაგიდევენ, რომ აგერ 40 წელია, აფხაზეთის თითქმის უველა გაზეთი და ინფორმაციის საშუალებანი, მათ შორის საკავშიროც, თავს ლაფს გვასხამს ქართველებს, მაგრამ ჩვენს აღშფოთებაზე კი არა, განწყობაზეც არავის უფიქრია.

საკითხავია, როდის გახდა ა. გვარამიასათვის „პრავდა“ სამაგიდო სახელმძღვანელო, თუ ავტორიტეტით აშინებს ცალკე „ოქროს საწმისს“ და ცალკე მის მკითხველთ?

ა. გვარამიას ფაშილარულ „ზოგადსაკაცობრიო“ შეგონებებს რომ ვკითხულობდი, ხან ოფიციოზის დემაგოგიური, შემპარავი ინსინუაციების სუნი მცემდა და, ხანაც, შუაცეცხლთან მიმჯდარი მიხრწნილი მოხუცისა, პირში უალიონი რომ გაუჩრია და, უკაცრაული პასუხია, ყველაფერს აფურთხებს ქვეყანაზე.

ერთიც, რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ შეგონებების დამწერს არც „აიდგილარასა“ და არც „ოქროს საწმისის“ არც ერთი ნომერი არ წაუკითხავს, რადგან ა. გვარამიამ მკითხველს მოვლენები ისე დაუხატა, თითქოს ამ ორ გაზეთს „დიალოგების“ საბრძოლო-საქვემეხო ბატალიები გაემართოთ და პაექრობის ცეცხლით გადაებუგოთ ირგვლივ ყველაფერი (შეიძლება, ა. გვარამიას წერილი სიგნალი იყოს ასეთი დასაწყისისა). ნამდვილად კი „აიდგილარას“ ჯერ კრინტი რა არის, კრინტიც არ დაუძრავს „ოქროს საწმისის“ შესახებ, ხოლო თავისთავად „ოქროს საწმისმა“ მხოლოდ ერთი ციცქნა მინაწერით გამოხატა თავისი პოზიცია „აიდგილარაში“ დაბეჭდილი ვ. ცვინარიას ერთი პროვოკაციული წერილისადმი, სადაც რენეგატმა ავტორმა „ქართველები“ და „მეგრელები“ სხვადასხვა ხალხად მიიჩნია.

გასაოცარი ისაა, რომ, ეტყობა,გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქციაში მარჯვენამ არ უწყის, რასა იქმს მარცხენა, ანა, სხვანაირად როგორ გავიგოთ, რომ „ოქროს საწმისის“ პირველი ნომრის გამოსვლას გაზეთი აღმოურთოვანებელი სარედაქციო ყურილით შეხვდა.

და, აი, მეორე ნომერი ჯერ არც კი გაყიდულა და პოზიცია უეცრად იცვლება, მკვეთრად იცვლება.

ასეთი რამ მხოლოდ ავადმოსაგონარ 37-ში ხდებოდა, „ზემოდან“ სპეციალური მითითებებით... მაგრამ, მადლობა ღმერთს, ახლა სხვა დროა... ცხოვრებას ნამდვილად ჩამორჩა წერილის ავტორი!!!

მკითხველმა იცის, რომ „ოქროს საწმისის“ პირველი ნომერი ძირითადად პირველი აპრილისა და 15-16 ივლისის ტრაგიკულ მოვლენებს მიეძღვნა და ეს მხოლოდ იმისთვის გაკეთდა, რომ მეორე მხარე, თავდამსხმელი და

(დასასრული)

აგრესორი, თვითონვე მიგვიჩნევდა ასეთად, ჩვენი მსხვერპლიც და ჰირისუფალიც დამნაშავეებად აქციეს. ამიტომ იძულებული ვიყავით, მხოლოდ და მხოლოდ მომხდარი აღგვეწერა და დაზარალებულთა და მონაწილეთა მონაყოლის, განცდილის გადმოცემით დავკმაყოფილებულიყავით. ჩვენ რაიმე ანალიზისგანაც კი შევიკავეთ თავი, რომ სუბიექტურობაში არ ჩამოგვრთმეოდა.

სწორედ ამას გაუსვა ხაზი გაზეთმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“, როცა „ოქროს საწმისის“ პირველი ნომრის გამოსვლას გვილოცავდა: „რუბრიკით — სიხსნის მინდორი“ იბეჭდება ივლისგვისტოს ტრაგედიის უშუალო მონაწილეთა და თვითმხილველთა ნაამბობი. ესაა ჩვენთვის შეუჩვეველი სიმართლით დაწერილი წერილები, რომელთაც არცთუ დიდი ხნის შემდეგ მატიანეს დაარქმევენ“... (4. I. 90 წ.).

ეტყობა, გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“ თავის მონურ ტრადიციას არ ღალატობს და, როგორც ჩანს, სწორედ „ზემოდან“ აიძულეს, ასე უცბად ალთადან ბალთას გადამხტარიყო.

ცხადია, ა. გვარამია კატის უმადურობას იჩენს, თვალებს ხუჭავს და „ოქროს საწმისს“ ცილს სწამებს ექსტრემისტულ განწყობაში, ვერ ხედავს, თუ არ უნდა დაინახოს, გაზეთის მაღალჰუმანური და მრავალთემატური პროფილი.

სწორედ ეს მატიანისეული „შეუჩვეველი სიმართლე“ არ მოსწონს ა. გვარამიას. თავი დავანებოთ მოციქულთა ქადაგებას, — „რომელმან აღიღოს მახვილი, მახვილითა წარწყმდესო“, — სიმართლე მაინც ხომ უნდა თქმულიყო?!..

ჩვენ, მიუხედავად ამისა, „ოქროს საწმისის“ პირველ ნომერშივე გამოვნახეთ საშუალება და საჭირო ადგილი დავუთმეთ უკვე მივიწყებულ იმ ტრადიციებს, რაც ქართველ და აფხაზ ხალხებს აკავშირებდათ. კიდევ უფრო შორს წავედით და იმავე ნომერში მთელ გვერდზე განვფინეთ მახალები იმ ძირძველი ტრადიციებისა და ნათესაობისა, რაც კავკასიის ხალხებს ერთ ხერხემლად ჰკრავდა კავკასიის გარშემო და ამ გვერდს „ძმობისა და მეგობრობის“ გვერდი დავარქვით.

ამის დაუნახავობა წერილის ავტორის მარტო სიბრმავეს კი არა, სიყრუესაც ნიშნავს.

როგორც ჩანს, ა. გვარამიას, წერისა და ჭკუის მასწავლებლის პრეტენზიით აწრიალებულს, წაკითხვისა და გაგების უნარი ერთად დაუკარგავს.

მართლაც ყინულზე წარწერილს ჰგავს ის ბრალდება, თითქოს გაზეთი „ოქროს საწმისი“ აფხაზ ხალხს შეურაცხყოფას აყენებდეს. ამის მსგავსის გაკეთება კი არა, გაფიქრებაც ცილისწამება იქნებოდა გაზეთის მიმართ.

ა. გვარამიას ცილისწამება გაზეთისადმი, რომ ის თითქოს ჭორებს ავრცელებდეს და ამით ეთნოკრიზისსა და კონფრონტაციას იწვევდეს აფხაზეთში, აშკარა პროვოკაციაა, მაგრამ ხაკითხავია, რა მიზნით ეწევა იგი ამ პროვოკაციას და რა გახამრჯელოს იღებს ამის საფასურად?!.

ა. გვარამია შეპარვით, ქარაგმებით, მაგრამ მაინც საკმაოდ გასაგებად „ოქროს საწმისს“ ანტირუსულ ორიენტაციაშიც სდებს ბრალს და ჩვენთან ერთად მთელ ქართულ პრესას პროვინციული მიაშტობით შთააგონებს: „ჩვენი ბევრი ოპონენტი უდავოდ ლანძღვა-გინების ღირსია, მაგრამ ბევრ შემთხვევაში, არა მგონია, საჭირო იყოს თავი გავუყადროთ იმას, ვინც ჩვენს ძვირს ამბობს. მთელი ერის ლანძღვა არ ჩაგვეთვლება ზნეობრივ საქციელად. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს მაგინებლებს თავად მობეზრდებათ ავსიტყვაობა და ვითარების არსშიც გაერკვევიან (ავტორის „ბრწყინვალე“ სტილი დაცულია. ჯ. ჯ.), და რომ ხობჩაკის, ვლასოვის, აფანასიევის, ვოზნესენსკის, ევტუშენკოს და გულრიფშელი პედაგოგის ალა ვასლჩენკოს მშობელ ხალხს ასეთი რამ არ ეგების...“ აქაც ფუყე შეგონება და ზედ პროვოკაცია. არც „ოქროს საწმისს“ და მით უფრო ქართველ „ოპონენტებს“ რუსი კი არა, არც ერთი რჯულის ხალხი არასოდეს გაულანძღავს, პირიქით კი — ბევრჯერ.

ერთხელ კიდევ მოვუსმინოთ ა. გვარამიას „სიბრძნეს“: „...დიალოგები, რომლებიც ურთიერთდასმენის ხასიათს უფრო ატარებს და შორსა დგას ჭეშმარიტი პოლიტიკური მოღვაწეობისაგან“... სწორედ ამაზეა ნათქვამი, მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო. ჩვენ კი ისევ კატეგორიულად ვაცხადებთ და, ალბათ, „ოქროს საწმისის“ მკითხველიც დაგვემოწმება, რომ არავითარი „დიალოგები“ ჩვენ „აიდგილარასთან“ არ გაგვიმართავს და ამ მხრივ აფხაზურმა გაზეთმაც წარმოუდგენელი, თვით ა. გვარამიაზე მეტი ამტანობა გამოიჩინა. ა. გვარამიას ეს ცილისწამება კი მართლაც დასმენას და მდუმარე აფხაზ ოპონენტთა გამოწვევასა და წაქეზებას უფრო ჰგავს. ამ „პოლიტიკურ მოღვაწეს“ ახლა ისღა დარჩენია, რუსულად თარგმნოს და კრემლს აახლოს თავისი ნამოღვაწარი.

ამაოდ ღელავს და ირჯება პატ. ა. გვარამია, არავითარი აგრესია და დისკრიმინაცია ჩვენი მხრიდან რუს ხალხს არ ემუქრება და თუ ასეთი რამ მოხდა და „ოქროს საწმისმა“ გაბედა, გჯეროდეთ, გულრიფშელი პედაგოგის — ალა ვასილჩენკოს მშობელი ერი თქვენი მეურვეობის გარეშე, თავადაც კარგად დაიცავს საკუთარ თავს.

ამაოა ა. გვარამიას შთაგონება; „ოქროს საწმისი“ მთელი პრინციპულობით იბრძვის და ამის შემდეგაც იბრძოლებს, რათა აღიკვეთოს ის ანტიქართული მოძრაობა, რომელსაც აფსუა ექსტრემისტთა ერთი ჯგუფი ეწეოდა და ეწევა აფხაზეთში, იბრძოლებს, რათა აღდგეს სამართლიანობა და პარიტეტი, აღიკვეთოს სამართალდარღვევები და გამოვლინდნენ პირველი აპრილისა და 15-16 ივლისის ინსპირატორები, ორგანიზატორები და უშუალო მონაწილენი, რომელთაც 20-მდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს და უდიდესი ფიზიკური, სულიერი და მორალური ტრავმა მიაყენეს არამარტო ქართველ, არამედ აფხაზ ხალხსაც.

ასეთი პასკვილური დამოკიდებულება ქართული გაზეთისადმი ქართველი კაცისა, სხვა თუ არა, ძლიერ ეჭვს ჰბადებს, რომ იქნებ ა. გვარამამ გადაწყვიტა „ოქროს საწმისის“ განქიქებით დადებითი ქულები ჩაიწეროს აფხაზ ექსტრემისტთა თვალში და ძველი „ცოდვები“ ჩამოიწეროს, მაგრამ წერილის ავტორის იმედის გასაცრუებლად უნდა ვთქვათ, რომ აფხაზი ექსტრემისტები „დადებით ქულებს“ საერთოდ არ უწერენ „ცოდვილთ“.

ორიოდე სიტყვა პატივცემული რედაქტორის, თ. ჩოჩიას მისამართით. იგი გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორად პირდაპირ ქალაქკომიდან მოვიდა. ადრე გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას“ თანამშრომელი იყო, რადგან ეურნალისტიკის ფაკულტეტი უკრაინაში, რუსულ ენაზე დაამთავრა და ქართულად წერა და, მით უფრო, მახალათა რედაქტირება ნამდვილად არ შეუძლია (რაც ა. გვარამიას წერილსაც ეტყობა), ხოლო როცა პრინციპულობასა და გარკვეულ პოზიციაზე სიტყვას ჩამოუგდებენ და ამასვე მოითხოვენ მისგან, როგორც რედაქტორისაგან, იგი შესაბრალისს წუწუნს მოჰყვება და გაიძახის, პრინციპულობას ცოლ-შვილს ვერ ვანაცვალებ და მშიერს ვერ დავტოვებო. ბ-ნ თ. ჩოჩიას უნდა შევახსენოთ, რომ რედაქტორის სავარძელი და, მით უფრო, სარედაქტორო საქმეები, სოცუზრუნველყოფის განყოფილებაში არ უნდა აერიოს!

თუ „გარდაქმნაა“, დროა, უპირველესად „საბჭოთა აფხაზეთმა“ გარდაქმნას თავისი მუშაობა და „ზემოდან“ თავს მოხვეული შემთხვევითი და უმოქმედო კადრები მოიშოროს, მაშინ, ალბათ, უფრო ნაკლებად ვიხილავთ დემონსტრაციებზე გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთისა“ და მისი რედაქციის „მოღვაწეობის“ დამახასიათებელ ტრანსპარანტებს.

„ოქროს საწმისის“ ჯერ მხოლოდ ორი ნომერი გამოვიდა და ჩვენ უკვე მკითხველთა მრავალი გამამხნევებელი დეპეშა და წერილი მივიღეთ საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან, რაიონებიდან და სოფლებიდანაც კი. რესპუბლიკის 10-მდე გაზეთმა და საინფორმაციო საშუალებამ მიმოიხილეს გაზეთი და ყველამ ერთხმად დადებითად შეაფასა მისი გამოსვლის ფაქტი და მოღვაწეობა.

დიახ, ა. გვარამიას გამოგონილი „დიალოგები“ კი არა, ჯერ არც „აიდგილარას“, არც აფხაზურ ტელევიზიას და არც თვით ყველაზე ცნობილ ექსტრემისტულ გაზეთ „ბზიფსაც“ კრინტი არ დაუძრავს „ოქროს საწმისის“ თაობაზე და...

...აი, ერთადერთი უარყოფითი წერილი უარყოფითი შეფასებით ქართულ გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთში“, ქართველი კაცის ავტორობით...

სწორედ ტიპური გამოვლინებაა აფხაზეთში მცხოვრები ზოგიერთი ქართველის ორპირობისა.

ბარაქალა ჩვენს „საბჭოთა აფხაზეთს“, წერილის ავტორსა და მის რედაქტორს! აქვე შეგახსენებთ, ბატონო რედაქტორო, იმის მეათედი გამბედაობა, რაც „ოქროს საწმისის“ მისამართით გამოიჩინეთ, რომ გამოგემუღავნებინათ მაშინ, 15-16 ივლისის წინა დღეებში, როცა თსუ სოხუმის ფილიალის სახელმწიფო საგამოცდო განცხადების გამოქვეყნებაზე უარი განაცხადეთ, აღშფოთებული ქართველი საზოგადოება კაბინეტის ფანჯრიდან გადაგდებას არ დაგიპირებდათ. თუ გახსოვთ, მაშინ თავს იმით უშველეთ, რომ ავადმყოფობის ფურცელი „გაშანსეთ“, ლოგინში შეძვერით და იქიდან მაშინ გამოძვერით, როცა ივლისის ქარიშხალმა ფრთები დაკეცა.

კარგა ხანია, აფხაზეთში ჩამოყალიბდა აზრი, რომ აფსუა ექსტრემისტებს ანტიქართული პოლიტიკის გატარებაში 40 წელია თავისი დუმილით დიდ სამსახურს უწევს ქართული გაზეთი „საბჭოთა აფხაზეთი“.

მანამდე, უძრაობის ხანაში, თუ ამ უტყვობასა და უმოქმედობას ჰქონდა თავისი გამართლება, დღეს, როდესაც თითქმის ძირფესვიანად გარდაიქმნა მთელი ჩვენი პოლიტიკური თუ იდეური ცხოვრება და განსაკუთრებით პრესა, „საბჭოთა აფხაზეთი“, შეიძლება ითქვას, საქართველოში ერთადერთი გაზეთია, რომელიც „ძველი სტილით“ მუშაობს და ისევ სიმუნჯეს ამჯობინებს. ეს მით უფრო გაუგებარია, რომ ამ რედაქციაში სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის რამდენიმე წარმომადგენელი მუშაობს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათი მოღვაწეობა ამ პოლიტიკურ პარტიებში ფიქციაა და სხვა არაფერი და ყველაფერს ძველებურად აქ ერთი კაცი — რედაქტორი წყვეტს, ხოლო როგორც წყვეტს, თქვენთვის უკვე ნათელია — მისი პოლიტიკა ისევ დუმილისა და უმოქმედობის პოლიტიკა გახლავთ. ჩვენც 40 წელი, მცირე გამონაკლისის გარდა, სულ ვდუმდით და პირში წყალს ვიგუბებდით. სამაგიეროდ, აფსუა ექსტრემისტები ხმაურობდნენ, და თავში გვცემდნენ და ახლა, როგორც იქნა, გაზეთ „ოქროს საწმისის“ საშუალებით აფხაზეთის ქართველობამ ხმა აღიმაღლა, თქვენ კი ისევ დუმილისა და მონობისკენ მოგვიწოდებთ?!. ისევ გუნდრუკის კმევასა და ქვეძრომას გვირჩევთ?!. მათ კი სილა გვილაწუნონ, ცილი დაგვწამონ და ტალახში ამოგვსვარონ?!. ასეთმა კეთილშობილურმა დუმილმა და „ყოვლისმთმენმა“ ხასიათმა, კარგად მოეხსენება მკითხველს, სანამდე მიგვიყვანა, მუდამ „მოზომილმა სიტყვამ“ მრავალი მოუზომელი საფლავი გაგვიხარა მტრისა თუ მოყვრის ხელით.

და, აი, კიდევ ერთი საფლავი, თქვენს მიერ გათხრილი!..

...და ვიდრე ნაცვლად სამაგიეროს მიზღვისა და საკუთარი ღირსების დაცვისა, ტკბობად და ქვემძრომად გავხდომივართ ქვეყნის „ამრევთა გვამთა“ და ამის ნაცვლად, ოცდაათ ვერცხლს ვაჩხრიალებთ ყულაბაში, ჩვენ არაფერი გვეშველება.

სწორედ იმ ოცდაათი ვერცხლის ჩხრიალი ჩამესმოდა, როცა ა. გვარამიას „სიტყვას მოუზომელს“ კკითხულობდი „საბჭოთა აფხაზეთის“ ფურცლებზე.

ეს ყველაფერი ძალზე ძველი და გაცვეთილი მეთოდია, მტერს რომ ჩვენს გადასაგვარებლად და გადასაჯიშებლად მოუგონია, ჩვენ კი არც ერთს ვაპირებთ და არც მეორეს და თუ ვინმეს ასე სურს, დაე, სურდეს, საამისოდ, მგონი, გვარის გამოცვლაც არ დასჭირდება.

ჯანო ჯანელიძე

ასპარეზზეა რენეგატი

მოქმედება — „განდაგანა“

აფხაზეთის ასსრ აგრომრეწვის სისტემის ხელმძღვანელობა მოქმედებს პრინციპით „არც არაფერია ადრე და არც არაფერია გვიან“. ამ დევიზისადმი ერთგულება ამ მოკლე ხანში აქ იმით გამოხატეს, რომ დიდი დაგვიანებისა და გაჭიანურების შემდეგ ჩაატარეს ადგილობრივი პროფკავშირების საანგარიშო-საარჩევნო კრება. ზემოთ აღნიშნულ დევიზს კი, აგრომრეწვის ხელმძღვანელობამ, რომელიც ოდნავადაც არ ზრუნავს სისტემაში მომუშავე ქართველი ეროვნების წარმომადგენლებზე. მეორეც დაუმატა: „ყველაფერი შეიძლება მოხდეს და მით უფრო — აფხაზეთში“. იქმნება შთაბეჭდილება, რომ აგრომრეწვის ზედა კოლონა ხელოვნურად ცდილობს თავისი მოქმედებით ერთმანეთს დაუპირისპიროს ქართველი და აფხაზი ეროვნების წარმომადგენლები და ამას აგრომრეწვის თვით ქართველი თავკაცებიც აკეთებენ.

როგორც ვიცით, სადღისოდ საშტატო ერთეულთა შეკვეცის ტენდენცია მოქმედებს ყველა საბჭოურ სისტემაში და ზედა კოლონის წარმომადგენლები ამას მარჯვედ იყენებენ ქვედა ფენის დასაშინებლად და დასათრგუნად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს შემცირებანი, უპირველესად, ქართველებს ეხებათ. ამიტომ დამფრთხალი ზედა კოლონის ქართველი წარმომადგენლობა ყველა უკანონო მოქმედებაში მხარში უდგას აგრომრეწვის ხელმძღვანელობას ტენდენციით, — ოღონდ მე არ შემეხოს და სხვა წყალსაც წაუღიაო.

ამის დასტური იყო ახლახან დაგვიანებით ჩატარებული აფხაზეთის ასსრ აგრომრეწვის პროფკავშირული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაც. აღსანიშნავია, რომ ამ დაგვიანებისათვის არავითარი შეშფოთება არ გამოუხატავს პროფკავშირების აფხაზეთის ასსრ საოლქო საბჭოს ხელმძღვანელობას, თუმცა ამის თაობაზე მას მრავალგზის ეცნობა. ბოლოსდაბოლოს კრება ჩატარდა, მაგრამ მას არ ესწრებოდნენ აგრომრეწვის თავმჯდომარე ს. სააკიანი და მისი პირველი მოადგილე ვ. ანდრიბავა. პირველი „დაკავებული“ იყო მშრომელთა მიღებით, მეორე — ავად გახდა, წინასწარდაწერილი სცენარის განხორციელება კი აგრომრეწვის თავმჯდომარის მოადგილეებს ვ. დოსიჩევსა და ა. ჩიტაიას მიენდოთ.

მიზანი ერთი და გარკვეული იყო: აგრომრეწვის პროფკავშირის თავმჯდომარედ როგორმე აფხაზი ეროვნების წარმომადგენელი აერჩიათ. ეს, რასაკვირველია, 40 წლის მანძილზე მტკიცედ დამკვიდრებული ტრადიციაა, რაც ჩვენს სისტემაში არაფრით არ არის გამართლებული, რადგან აგრომრეწვში მომუშავეთა უმეტესობა ქართველია. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ აქ პარტბიუროს მდივანიც აფხაზია, ასეთი ჩანაფიქრი უკვე ქართველთა დისკრიმინაციის სახეს ღებულობს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დოსიჩევი უფრო თავშეკავებით მოქმედებდა და წინასწარჩაფიქრებული „სცენარისადმი“ სიმპათიებს მხოლოდ ხელის აწევით ადასტურებდა, პატივცემული ა. ჩიტაია კი ზედმეტი თავგამოდებისაგან პირდაპირ ტყავში ძვრებოდა და კრებას მისთვის ჩვეული ადმინისტრაციული დიქტატით წარმართავდა. ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა ა. ჩიტაიას „გამბედაობამ“, როცა თავისი თავი თვითონ წამოაყენა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარედ და დასტურიც თავადვე მისცა.

ჩვენ პროფკავშირის ორგანიზაციის თავმჯდომარეობის კანდიდატად წამოყენებულ ს. ზარდანიასთან, მართალი რომ ვთქვათ, პრეტენზია არ გვქონდა, მაგრამ ასეთი წინასწარი დაგეგმვა და ტენდენციურობა ნებისმიერ კანდიდატურასაც და პიროვნებასაც, ისიც ეროვნების ნიშნის მიხედვით შერჩეულს, ეჭვქვეშ აყენებს. ასარჩევი კანდიდატის შენარჩუნებისათვის ფრიად პატივცემულმა ა. ჩიტაიამ ათასგვარ ილეთსა და ხრიკს მიმართა. მთელი აუდიტორია დაიმორჩილა და ისეთ ფინტებს იმარჯვებდა, თვით სახელგანთქმულ ფეხბურთელ მარადონასაც და აჭარული „განდაგანას“ ცნობილ მოცეკვავეს ჯემალ ხავთასსაც შეშურდებოდათ.

ისმის კითხვა: რა იყო მიზეზი ა. ჩიტაიას ასეთი თავგამოდებისა, ვის გამოადგება დღეს ასეთი „დემოკრატიული პრინციპებით შეიარაღებული ღამურა, მის მსგავსთა იმედი აქვთ „პერესტროიკის“ ავტორებსა და შემოქმედთ?!

იქნებ, ა. ჩიტაიას, 60 წელს მიღწეულს, განსაკუთრებული ქულები უნდა მიიწეროს, ისიც შემცირებაში რომ არ მოაყოლონ? მაგრამ პირად ინტერესებს ასე ჯიქურ და დაურიდებლად რად უნდა ანაცვალოს ხალხისა და საზოგადოების ინტერესები?!

კრებას ესწრებოდნენ და კანდიდატურას ხმა მისცეს საქსოფლქიმიის ორგანიზაციის თანამშრომლებმა, რისი უფლებაც მათ არ ჰქონდათ.

ყველაფერი ეს, რასაკვირველია, „ზემოდან“, სასურველი კანდიდატურის „ორბიტაზე“ გაყვანის მიზნით იყო ნაკარნახევი.

აქვე შეუძლებელია არ აღინიშნოს ეროვნებით აფხაზი ხელმძღვანელი მუშაკის ოლეგ შამბას თავშეკავებული, დელიკატური მოქმედება, რაც შეეფერება ობიექტურ ადამიანს და ორგანიზაციის წამყვან თავკაცს.

ა. ჩიტაიამ თუ დაივიწყა მამა-პაპათა სამართლიანობა და სიდარბაისლე, ბატონი ოლეგისთანა ადამიანებისაგან მაინც გაიხსენოს, რომ მთავარია არა სავარძელი, არამედ ის, თუ ვის და რის გამკეთებელ ადამიანს უკავია იგი.

ჩვენ მტკიცედ გადავწყვიტეთ აფხაზეთის ასსრ აგრომრეწვში შეიქმნას სახალხო ფრონტის პირველადი ორგანიზაცია, სამჯერ გავაკარით განცხადება და სამივეჯერ ჩამოხიეს.

საკითხავია, ვის არ აძლევს ხელს ეს ორგანიზაცია იქ, სადაც თანამშრომელთა უმრავლესობა ქართველობაა?!..

...და მაინც, წლევანდელი 19 მარტიდან იგი უკვე არსებობს და, იმედია, ბევრ მტკივნეულ საკითხსაც გასცემს პასუხს.

სანდრო სვანიძე,

კოტე კვირტია

ეროვნული ბიბლიოთეკა

უპატრონ,

ანუ

ღარიბს ართმევს, მდიდარს აძლევს

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარება მიჩნეულ იქნა, როგორც უსამართლობის დასასრული, მაგრამ, ვაი რომ, ამასთანავე, იგი არაერთი ახალი ბოროტების სათავეც გახდა.

ერთ-ერთი უსამართლობის უნიკალურ ნიმუშზე ამ წერილში გვექნება საუბარი. საქმე ეხება სოციალური, იურიდიული, უფლებრივი უსამართლობის ისეთ ფაქტს, რომელსაც ადგილობრივი საბჭოთა თუ პარტიული ორგანოები არამცთუ ებრძოდნენ, არამედ ხელს აფარებდნენ. ცხადია, ყოველივე ამას აკეთებდნენ და აკეთებენ მაცოუნებელი უკუმოგების იმ თილისმური ძალის შეწევნით, რომელიც ჯოჯოხეთსაც ანათებს.

გულრიფშის რაიონში ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემა არსებობს, მაგრამ ამჯერად მკითხველის ყურადღებას შევაჩერებთ მხოლოდ ამ რაიონის ერთ-ერთი კოლმეურნეობის თავმჯდომარის განსაკუთრებულ საქმიანობაზე, რომელსაც ის ეწევა წლების განმავლობაში. თუ რა „დიდი მამულიშვილი“ გვყავს აფხაზეთის ამ კუთხეში, ამის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდვია.

შარშან, ზაფხულის ერთ დღეს ეროვნულ-სოციალური სამართლიანობის საზოგადოება „ლემ“-ის ნაფიცთა საბჭოში მოვიდა ადამიანთა ჯგუფი საჩივრით, იმის თაობაზე, რომ წლების განმავლობაში მათი კოლმეურნეობის თავმჯდომარე გლეხებს ისე ექცევა, როგორც ბატონი უუფლებო ყმებს. მიუხედავად ათასგვარი საჩივრებისა ზემდგომ ორგანოებში, ჩვენს უსამართლო ჩაგვრას საშველი არ დაადგა და ა. შ. ეს გლეხები იყვნენ გულრიფშის რაიონის მერხეულის სასოფლო საბჭოს მეორე მაჯარის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობიდან, რომლის თავმჯდომარე გახლავთ ვინმე დურმიშხან მიმინოშვილი. დიახ, ქართველ გლეხებზე მონადირე მიმინო-შვილი...

მერხეულში ცხოვრობენ ქართველები, სომხები, რუსები, აფხაზები... მათ შორის 33 სვანური ოჯახია. ისინი აქ ჩამოსახლებული არიან მთავრობის დადგენილების საფუძველზე, 1953 წელს, როცა სოფელ პტიშში (იმავე რაიონის აჟარის სასოფლო საბჭო) მიწისძვრის შედეგად დაენგრათ სახლები და განიცადეს აუნაზღაურებელი მატერიალური და მორალური ზარალი. მერხეულში ადგილობრივმა ქართულმა მოსახლეობამ დახმარების ხელი გაუწოდა მოძმეებს, საკუთარი მიწის ნაკვეთების ნაწილიც კი შესთავაზეს, თუ მთავრობა ვერ დაკმაყოფილებდა სავარგულებით. ეს ასე სჩვეოდა ყოველთვის ქართველს, ეს მისი ღვთით დაყოლილი თვისებაა და მას, ალბათ, არც არასოდეს უღალატებს, ოღონდ ქართველი კაცი სიკეთეს ასე გულუხვად რომ არიგებდა, მომავალში მეტი სიფხიზლე და წინდახედულება მართებს, მტერმოყვარის გარჩევის ალღოც საჭიროა და როგორც დღეს ვხედავთ, საჭიროზე მეტიც.

ზემდგომმა ორგანოებმა სვანები მერხეულში, როგორც იქნა, ჩაასახლეს, შედარებით უვარგის ადგილებში, მაგრამ დიდი მზრუნველობა მაინცდამაინც მათდამი არ გამოუჩენიათ. სვანი კაცი გამრჯეა და მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, აქაურმა სვანებმაც მალე სული მოითქვეს, წელში გაიმართნენ, სახლ-კარი გამართეს და დაუზარელი შრომით ძველ მოსახლეებს ეკონომიური თვალსაზრისითაც გაუთანასწორდნენ. გავიდა წლები და 33 ოჯახი მომრავლდა. სვანების ძლიერმა შრომისუნარიანობამ ღონე შემატა კოლმეურნეობას, სოფელს, მის კეთილდღეობას.

სვანებს გამრავლების განსაკუთრებული, ძველი ქართული ტრადიცია დღესაც არ დაუკარგავთ. სურთ ბევრი შვილი ჰყავდეთ. მერხეულელმა სვანებმაც არ უღალატეს ამ ტრადიციას, მაგრამ თურმე აქ მრავალრიცხოვანი ქართული ოჯახების გაყოფას ვეტო აქვს დადებული მიწის ფონდის „უქონლობის“ გამო. თუმც არაქართული ოჯახების ჩასახლება და გაყოფა შეიძლება თურმე, მიწის ფონდის „უქონლობა“ მხოლოდ ქართველთათვის ყოფილა პრობლემა... არადა, როგორ უნდათ აქაურ ქართველებს გამრავლება. კოლმეურნეობის ამუამინდელ თავმჯდომარეს დურმიშხან მიმინოშვილს არამც თუ არ აწუხებს ქართველთა გამრავლება და მათი ნამატისთვის მიწის ნაკვეთების გამოყოფა, არამედ მათ იგი ისე უყურებს, როგორც მიმინო მწყურებს.

შარშან, ივნისში, საზოგადოება „ლემ“-ის ნაფიცთა საბჭოს წევრებმა ვთხოვეთ გულრიფშის რაიკომის ყოფილ პირველ მდივანს ამხ. რ. კვანტალიანს ამოსულიყო პუშკინის სახელობის კოლმეურნეობაში და ადგილზე შეესწავლა საკითხი.

15 ივნისს, პუშკინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის ეზოში, დაგვხვდნენ გლეხები, აქ მოვიდა სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე მელენტი ვეკუა, კოლმეურნეობის თავმჯდომარე დ. მიმინოშვილი და გულრიფშის რაიკომის ყოფილი მეორე მდივანი ე. სურმენელიანი.

ჯერ მოვუსმინეთ გლეხებს, მერე კი კოლმეურნეობის თავმჯდომარეს. ლაპარაკი იყო პირდაპირი, მამხილებელი, გაბედული.

სიტყვა ეძლევა 11 შვილის მამას კოლმეურნე ბაბჩი რეზესიძეს:

„მყავს 11 შვილი. აქედან ორი დაოჯახებულია. ოჯახში 14 სული ვართ. ადგილი, სადაც დამასახლეს, დამეწყვრილია, მიწა დაიძრა, ამიტომ კაპიტალურ სახლს ვერ ვაშენებ. ვითხოვ მიწის ნაკვეთს, რადგან 14 სულის ცხოვრება ერთ პატარა სახლში ჭირს. მიწის ნაკვეთი მომცეს, იქ ჩავდგი პატარა სახლი, მაგრამ იმასაც არ მიფორმებენ. ამ სახლის გარშემო იმდენი მიწის ფართობია, რამდენიც კოლწევრს ეკუთვნის, მაგრამ თავმჯდომარემ გადაწყვიტა იგი ორად გაიყოს და მეორე ნაწილში ჩაასახლოს ვიღაც გადამთიელი, არაქართველი. მე არ ვიცი, რამ გამოიწვია მავანისადმი თავმჯდომარის ასეთი ყურადღება, ჩემი მრავალრიცხოვანი ოჯახის მიმართ კი — გულგრილობა. ჩემი მეუღლე პენსიონერია. მიუხედავად ამისა, გასულ წელს კოლმეურნეობას ჩააბარა 170 კგ. პირველხარისხოვანი თამბაქოს ნედლეული. მაგრამ ამისათვის მას ერთი კაპიკიც არ მიუღია. ოჯახის ყველა წევრს სულითა და გულით გვინდა კოლმეურნეობაში მუშაობა, მაგრამ თავმჯდომარე საამისოდ პირობებს არ გვიქმნის, ამიტომ ჩემი ოჯახის წევრები იძულებული არიან სხვაგან ეძიონ სამუშაო. თავმჯდომარე უფლებას არ გვაძლევს გამოუყენებელ მიწის ფართობებზე, რომელიც ბლომადაა ჩვენს ირგვლივ, სიმინდი დავთესოთ და ამით ვარგოთ კოლმეურნეობასაც და საკუთარ თავსაც. ჩემს ვაუიშვილებს, რომლებიც 20 წელს გადაცილებული არიან, მიწის ნაკვეთები რომ ჰქონდეთ, შვილებს მოამრავლებდნენ, ქართველ ერს ექვს ოჯახს შევმატებდით“.

ვანო გუგუსიანი: „ვარ 8 შვილის მამა. რადგანაც თავმჯდომარემ ჩემს შვილებს მიწის ნაკვეთები არ გამოუყო, ისინი იძულებული გახდნენ სხვადასხვა სოფლებში მოენახათ თავშესაფარი. ჩემი საცხოვრებელი ადგილი დამეწყვრილია. მისი გამაგრების მიზნით, იქ მოვაშენე მრავალწლიანი ნარგავები. კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ეს ნარგავები ამომათხრევინა. ჯერ ერთი, ეს ნარგავები მიწის დამაგრებას შეუწყობდა ხელს, მეორეც, მათი გამოყენება შეეძლო კოლმეურნეობასაც და მეც. მე პენსიონერი ვარ, მაგრამ შემიძლია მუშაობა. თავმჯდომარე მიწას არ მაძლევს დასამუშავებლად. არაქართველებს კი არენდით უფორმებს მიწის ფართობებს“.

ნინა წერედიანი: „ხუთი ვაუიშვილის დედა ვარ. ქმარი ადრე გარდამეცვალა. ბავშვები ობლობაში დაიზარდნენ. ხუთი ოჯახის შექმნა შეგვიძლია, მაგრამ თავმჯდომარე მიწის ნაკვეთს არ გვაძლევს. შვილები იძულებული არიან სხვაგან წავიდნენ“.

რუსლან წერედიანი: „ვარ 28 წლის. მყავს 5 შვილი. ჩემი საცხოვრებელი ადგილი ჭაობიანია. ჩემს გვერდით არის 0,7 ჰექტარი მიწის ფართობი. იქ ვთესავდი სიმინდს, მოსავლის ნახევარს კოლმეურნეობას ვაბარებდი, ნახევარი მე მრჩებოდა. მაგრამ თავმჯდომარემ ახლა ეს ნაკვეთიც ჩამომართვა და მისცა ადამიანს, რომელსაც ერთი ჰექტარი მიწა აქვს სარგებლობაში. ახლა ერთი მარცვალი სიმინდის დასათესი ადგილი არა მაქვს. რადგან ყველა გზა გადამეკეტა კოლმეურნეობაში, სხვაგან დავიწყე მუშაობა“.

აშრასიონ წერედიანი: „1948 წლიდან კოლმეურნეობაში ვმუშაობ. მთელი ამ ხნის განმავლობაში გეგმებს გადაჭარბებითაც კი ვასრულებდი. მყავს 4 შვილი. 2 დაოჯახებულია, 2 კი — დასაოჯახებელი. თავმჯდომარეს ვთხოვეთ მიწის ნაკვეთი, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამის შემდეგ ერთმა ვაუიშვილმა გული აიცრუა და სხვაგან წავიდა“.

სილიბისტრო ჩხეტიანი: „ხუთი ვაუი და ერთი ქალიშვილი მყავს. ქალიშვილი გათხოვილია. ვაუები დასაოჯახებელია, მაგრამ მიწის ნაკვეთს არ გვიყოფენ და ამიტომ ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ ოჯახების შექმნისაგან. თავმჯდომარე ამბობს, სჯობია, მიწა სომხებს მივცე, ვიდრე თქვენო. რას გვერჩის, არ ვიცი. იმედდაკარგული ჩემი სამი ვაუიშვილი რუსეთში გაიქცა. ჩვენი კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა ზოგჯერ ნამუშევარსაც არ გვინაზღაურებს“.

დოროთ კურატი: „შვიდი შვილი მყავს. ვცხოვრობ დამეწყვრილ ადგილზე. მიწის ნაკვეთის მიღებას ვერ მივაღწიე. ან როგორ მომცემდა მიწის ნაკვეთს ის კაცი, რომელმაც საწყალ გლეხს ღორები მომპარა. დიახ, 5 ღორი მომპარა. ღორები რომ თავმჯდომარემ მომპარა, ეს მხოლოდ სამი დღის შემდეგ გავიგე. როგორც დადგინდა, ჩემი ღორები კოლმეურნეობის ფერმის წინ, გზის ახლოს აყოფილან. თავმჯდომარეს უბრძანებია, დაეჭირათ ისინი და დამზადებისათვის ჩაებარებინათ. როცა ეს გავიგე, მივედი თავმჯდომარესთან. ვთხოვე, ზარალი რითიმე აანაზღაურებინა. მან თავის კაბინეტიდან გამომაგდო, შენთვის არ მცალიაო. ამის შემდეგ რა გზა მქონდა, გავასაჩივრე. მოწმეებიც აღმომაჩნდნენ. მიმინოშვილი სასამართლომ 700 მანეთით დააჯარიმა. ამის შემდეგ მთლად შემიკრა ხელ-ფეხი. 120 მანეთის მაგივრად 40 მანეთი პენსია დამინიშნეს“.

დევლეთ ბაბლუანი: „ერთ საკარმიდამო ნაკვეთზე ორი ძმა ვცხოვრობდით. შემდეგ ჩემი ძმა სხვაგან გადავიდა სივიწროვის გამო. ჩემი მესამე ძმა 19 წელიწადია მასწავლებლად მუშაობს, მაგრამ დღემდე მიწის ნაკვეთი არ მისცეს. მიწის ნაკვეთი, რომელსაც ჩემი ძმა ამ ხნის განმავლობაში ითხოვს, თავმჯდომარემ მისცა ფერმის გამგეს, თავის ნათესავს, რომელიც თითქმის ერთ ჰექტარ მიწის ფართობს ფლობს. ჩემი ნაკვეთი დამეწყვრილია“.

აი, ასეთი პატრონი ჰყავთ ჩვენს ქართველ გლეხებს გულრიფშის რაიონის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობაში.

როგორ გგონიათ, ამ გლეხებს საჩივრები არ უწერიათ ზემდგომ ორგანოებში? როგორ არა, მაგრამ ეს საჩივარი საბოლოო განხილვისათვის ეგზავნებოდა პატივცემულ თავმჯდომარეს — დურმიშხან მიმინოშვილს. თავმჯდომარის განაჩენი და რეაგირება ამ საჩივრების შემდეგ გლეხთა ხვედრის გაუარესებით გვირგვინდებოდა. ერთმა მოხუცმა ისიც კი თქვა, როცა მესერი დამინგრია, ნარგავები და სიმინდები ამიჩეხა, გადავწყვიტე, რაც იქნება, იქნება, მოვკლავ-მეთქი, მაგრამ შვილები და შვილიშვილები გამახსენდაო.

მიწის ფონდი არა მაქვსო, უარით ისტუმრებს კოლმეურნეობის წევრებს, ჩამოსულებს კი, აბა, უარს როგორ ეტყვის „სტუმართმოყვარე ქართველი კაცი“, ამ შემთხვევაში ხომ მისი ეკონომიური საფუძველი შეილახება. სხვათაშორის, სიტყვამ მოიტანა და, რაიონის ხელმძღვანელობას რომ ვინმე ძვირფასი სტუმარი ჩამოუვა, მასპინძლობას ყოველთვის თურმე დურმიშხან მიმინოშვილი კისრულობს. უყვება, მას ისე უყვარს და პატივს სცემს სვანებს, რომ შეუძლია 100 ოჯახისთვის მიწის ნაკვეთები გამოჰყოს, თუ ეს საჭირო იქნებაო. სტუმრების სიხარულის ალბათ საზღვარი არ ჰქონდა. ამას ხომ კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამბობდა, ისიც რაიონის ხელმძღვანელობის თანდასწრებით. აბა რა იცოდნენ მისმა სტუმრებმა, რომ დურმიშხან მიმინოშვილის სამწყსოში გლეხები სულს ღაფავდნენ, რომ ზოგს ერთი მარცვალი სიმინდის დასათესი მიწაც არა აქვს, ზოგიერთს ღორებსაც კი ჰპარავს, ზოგს კიდევ ეზოს მესერს უნგრევს, სიმინდსა და ნარგავებს უჩეხავს. და ყოველივე ამის შემდეგ ამ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს უფლებას ანიჭებენ ძველებურად განაგრძოს პარპაში.

რა ყოველსშემძლე ყოფილა ჩვენი „ხაზინი“!.. ავი ენები იმასაც ამბობენ, რომ დურმიშხანი ერთ დროს კიდეც მოხსნესო, მაგრამ რატომღაც ისევ აღადგინეს. აბა, როგორ შეიძლებოდა ასეთი ხელმძღვანელი კადრის გამეტება!

დურმიშხან მიმინოშვილი თურმე არტისტული ნიჭითაც ყოფილა დაჯილდოებული. მან ზოგიერთი „ურჩი“ პირი შეიძლება სულ ადვილად, უმტკივნეულოდ მოიშოროს. ასე გაუკეთებია მას ზ. პაკელიანისათვის. ზ. პაკელიანი შეუტყუებია კაბინეტში, იქ განგაში აუტეხია, ხელი გაურტყამს, ამასობაში გამგეობის წევრებიც გამოქომაგებიან თავიანთ „რაინდს“. მათი დახმარებით ეს აქციაც მან ისე მონათლა, თითქოს ზ. პაკელიანი თავს დაეხმა, მაგრამ მოიგერია. ზ. პაკელიანის 3 წლით ციხეში ჩასვეს და დღესაც არავინ იცის, რით დამთავრდება ეს აქცია.

დურმიშხან მიმინოშვილის სხვა ცოდვებსაც ჩამოთვლიან. კერძოდ, კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარედ დანიშვნის დროს ხალხი წინასწარ იყოო გაფრთხილებული, რომ მისთვის ეყარათ კენჭი, იმასაც ამბობენ, მინერალური სასუქების ერთ შეკვრას 6 მანეთად ყიდისო; წყალდიდობის შედეგად თითქოს ბევრი საქონელი დახოცია კოლმეურნეობას, ასეთი საბუთები შეადგინეს და ანაზღაურებაც მიიღეხო. სინამდვილეში არც ერთი სული არ დახოცილაო; ყურადღებას არ აქცევს ადგილობრივ კადრებს; ჩხეტიანის ერთმა ოჯახმა იმ სოფელში ვიღაცისაგან სახლ-კარი იყიდა, კოლმეურნეობაშიც დაიწყო მუშაობა, მაგრამ არ გაუფორმეს და იძულებული გახდა საგარეჯოს რაიონში გადასახლებულიყო.

დ. მიმინოშვილს სოფელში კუთხური ნაციონალიზმის მამამთავარს ეძახიან, მაგრამ მშრომელი გლეხობა ვერ წამოაგო თავის ბინძურ ანკესზე. ამით რომ ვერაფერს მიაღწია, შურისძიების სხვა ხერხს მიმართა: იქ მოსახლე სვანებს ცალკე აქვთ თავიანთი სასაფლაო. დ. მიმინოშვილმა სასაფლაო ირგვლივ ისე გადახნა, რომ ზოგან კუბოს ფიცრებიც კი გამოჩნდა. ამაზე მეტი ცინიზმი შეიძლება?!..

ამ ბრალდებების შემდეგ სიტყვა მიეცა თვით თავმჯდომარეს. იგი მთელი ამ ხნის განმავლობაში თავჩაქინდრული რაღაცას ინიშნავდა იქ მყოფი ქართველები ინტერესით ჩაშტერებოდნენ იმ ადგილს, სადაც ეს ბედოვლათი იდგა, ალბათ ელოდნენ, მიწა როდის გაუსკდებაო...

თავმჯდომარემ თავი ვერ გაიმართლა, სიტყვა პირში გაეყინა. ვენდეთ რაიკომის მდივანს, რომ პასუხს მოსთხოვდა; დურმიშხან მიმინოშვილი ჩვენი საზოგადოების ნაფიცთა საბჭომ აღიარა როგორც ქართველი ერის მტერი და მას ყაჩაღი უწოდა, რომელსაც განცხადება უნდა დაეწერა და თანამდებობიდან გადამდგარიყო.

ეს განაჩენი დურმიშხანისათვის მხოლოდ სიოს ქროლვა იქნებოდა, რადგან მისთვის ეროვნული ღალატი არაფერია, ოღონდაც თავისი საქმის გაკეთება მოასწროს. იგი, როგორც შემდეგ ამბობდნენ მისი კოლწევრები, ცოტა მოლბა, შიშმა აამოძრავა, გლეხებს გამარჯობასაც ეუბნებოდა. მაგრამ... მაგრამ დრო შეიცვალა, მალე რაიკომის პირველი და მეორე მდივანი გაათავისუფლეს, დანიშნეს ახალი. დურმიშხან მიმინოშვილმა ისევ ძველებურად დაიწყო პარპაში. გულრიფშის რაიკომის პირველ მდივანს ამხ. დ. გვაძაბიას ამის თაობაზე მოვახსენეთ, საქმის კურსში ჩავაყენეთ, გვითხრა, მე მიმინოშვილი უკვე გავაფრთხილეო.

დურმიშხან მიმინოშვილისათვის სიტყვიერი გაფრთხილება განა სასჯელია?

ვაი, შე საცოდავო, უპატრონო კუთხევ!

არ იფიქროთ პუშკინის სახელობის კოლმეურნეობა, ანუ სოფელი მეორე მაჯარა, კეთილმოწყობილი იყოს. კოლმეურნეობის გამგეობის შენობა ლუარსაბ თათქარიძის სახლ-კარს მოგაგონებთ, აქ კეთილმოწყობელია გზა, ავარიულ მდგომარეობაშია ხიდები, სკოლის შენობა, არ არის სამკურნალო ამბულატორია, ტელეფონის ხაზი, რეგულარულად არ მოძრაობს სამგზავრო ტრანსპორტი, ცუდია სასურსათო მაღაზიის მომარაგება და ა. შ. საკითხავია, მაშ, ვისთვის და რისთვის ზრუნავს დ. მიმინოშვილი, რომელსაც ზემდგომ ორგანოებში მფარველები არ აკლია?!

ციფრობრივი მონაცემების თანახმად, კოლმეურნეობა თამბაქოს ჩაბარების გეგმას ასრულებს, მაშინ, როცა შარშან აქ თამბაქო საერთოდ არ მოუყვანიათ. სამაგიეროდ, თავმჯდომარემ იგი კრასნოდარის მხარეში შეისყიდა. აბა, რისი მიმინოშვილია, თუ კავკასიონის ქედს საჭიროების შემთხვევაში ვერ გადაუქროლა მიმინოსებურად?!

ამასწინათ კომისია ჰყოლია და ძალიან კმაყოფილი გაუშვია. კომისიები მისგან ყოველთვის კმაყოფილი მიდიან თურმე, მხოლოდ ესაა, კოლმეურნეობის წევრები უწყალებენ გულს. მაგრამ ეგ არაფერი, აბა, კომისიის წევრებივით ხომ ვერ დაკმაყოფილებს მათაც?! მთავარია, ზემოდან მხარდაჭერა იყოს და დურმიშხან მიმინოშვილს არაფერი შეეშლება. ზემოდან მხარდაჭერა დიახაც რომ არის!

საზოგადოება პორტფელიანი ყაჩაღებისა და ბიუროკრატიული ჭუჭყისაგან უნდა განიწმინდოს და, რაც შეიძლება, უმოკლეს დროში.

საზოგადოება „ლემ“-ის ნაფიცთა საბჭოს წევრები:

თ. მიბჩუანი, ე. გულედანი, ფ. კვიციანი, დ. არღვლიანი, ი. წულუკიძე, დ. ბაბლუანი.

მინაწერი: როცა წერილი მზად იყო დასაბეჭდად, ამბავი მოვიდა გულრიფშის რაიონიდან, მიმინოშვილი მაჯარის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან გაათავისუფლეს და ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის მოადგილედ გადაიყვანესო. ამას მფრინავთა ენით რომ ვთქვათ, „მიაგაკია პასადკა“ ჰქვია. როგორც ჩანს, მართლაც ვიღაც დიდი მოწყალე და მფარველი დასტრიალებს თავს პატივცემულ დურმიშხანს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესვები, ფესვები,

სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი!

ე. წ. „აფხაზურ წერილში“, სხვა მრავალ ცილისწამებასა და ბრალდებასთან ერთად, ქართველი ხალხის მიმართ წამოყენებულია ერთ-ერთი — უმთავრესი, რომ აფხაზეთში მიზნობრივად და გეგმაზომიერად ხდებოდა აფხაზთა გაქართველება და გენოციდიც კი. ჩვენ ამ შემთხვევაში ზედმეტ კომენტარებსა და მტკიცებებს არ შევუდგებით. დაე, აქ წარმოდგენილი მასალების გაცნობის შემდეგ თავად მკითხველმა განსაჯოს, რამდენად სამართლიანია ქართველი ხალხის მისამართით წამოყენებული ეს მძიმე ბრალდება და ჭეშმარიტად ვინ იმსახურებს მას.

გალმა შედავების პოლიტიკით რომ არის შეთითხნილი „აფხაზური წერილი“, აქ წარმოდგენილი მასალებიდანაც ნათლად ჩანს.

დიახ, ტრაგედიას, რაც ეროვნებათა შეგნებული აღრევითა და გადაგვარებით გამოიხატა, 70 წლის მანძილზე აფხაზეთში მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ არა აფხაზი ხალხის მიმართ, არამედ — პირიქით.

„ამაინც დავრჩებიო ქართველი“

აქაურთა ბიოგრაფიას რომ გაეცნობით, აუცილებლად გაგახსენდებათ ჩინგიზ აითმათოვის ცნობილი რომანის „და დღე იყო გრძელი წუთისოფელზე“ პერსონაჟი მანქურთები, რომლებსაც აქლემის ტყავს აკრავდნენ თავზე, მახსოვრობა რომ წაგვროდათ და შემდეგ საკუთარი დედისთვის ისრები დაეშინათ...

ასეთი წარსულგამოცლილი, გონებაწართმეული და მახსოვრობადაკარგული ქართველი, სამწუხაროდ, ბევრია აფხაზეთში. ბევრს მხოლოდ გვარი, ქართული გვარი შემორჩა, რწმენა და წარმომავლობა კი მძიმე უამმა თან გაიყოლა. სწორედ ისინი აქტიურობდნენ განსაკუთრებით 15-16 ივლისის დღეებში და თავისივე მოგვარის სისხლითაც არა ერთმა და ორმა გაისვარა ხელები.

პირველად ვარ სოფელში, რომელსაც სახახელოდ ბედიის ტაძარიც ეუოფა.

მშვენიერ, კოპწია ეზოში ათიოდე მეზობელს მოუყრია თავი. ახალგაზრდა თავკაცს ეხმარებიან. მათი შეჩვეული თვალი ვერ ამჩნევს, მე კი, აღტაცებულს, გამირბის მზერა ქართული ხუროთმოძღვრების ამ დიდებული ძეგლისაკენ და ფიქრი არ მასვენებს.

...ეს ტაძარი ხომ მათი წინაპრების აგებულია, რუდუნებით, იმედით, რწმენით... შემდგომ კი მამა-პაპათა ძვლებით გაპობიერებულ მიწაზე უმცირესობად დარჩნენ... სად წავიდნენ, სად გაიკრიფენ, რა ბედი ეწიათ?!.

კითხვას პასუხი თან მოჰყვა: ეს ვაუკაცები, ქართულის უცოდინრობას რომ მეობდიშვებიან და ხმატკბილი კოლხურით მეგობასებიან, სულ სხვა ეროვნებისანი „აღმოჩნდნენ“. არადა, მათი გვარებია: ტყეშეჩავა, აბსავა, ბიგვავა, მატკავა, ვარადია, რაც ეჭვქვეშ აყენებდა მათ არაქართველობას. გოგონებულმა, სხვა რომ ვერაფერი მოვახერხე, ისღა ვკითხე: თუ აფხაზები ხართ, აფხაზურად რად არ საუბრობთ-მეთქი?

— არ ვიცით აფხაზურიო.

— ?!

— ჩვენ ქართველები ვართ, მაგრამ პასპორტებში გვიწერია ეროვნება „აფხაზი“ და ამიტომ გვეძახიან აფხაზებსო.

დიახ, რთული და მძიმე პასუხია, რომელიც ისევ და ისევ უამრავ კითხვასა და პასუხს მოითხოვს ჭეშმარიტების დასადგენად, შეგნებულად დაშვებული შეცდომაა თუ გაუგებრობა, ძალადობა თუ 30 ვერცხლად გაყიდული სული?!.

ჯერ 1924, შემდეგ კი — 1937-38 სისხლიანი წლები. სულიერად, მორალურად და ფიზიკურად განადგურებული და დაბეჩავებული ხალხი, ღმერთად რომ წარმოესახა სულში სატანაჩასახლებული, საქართველოს ამომთხრელი და ამომგდები ულვაშიანი მოდელი კაცისა.

ხალხი ჯერ კიდევ ამ კოშმარიდან არ იყო გამოსული და 1941 წლის ავადმოსაგონარი ივნისი... დაუსრულებელი გლოვის დღეები. სიკვდილს გადარჩენილი, დასახიჩრებული ხალხი. სიღარიბე, შიმშილი. დაუძლურებულთ ადამიანური ფიქრი რომ ფიქრია, იმისთვისაც კი არ ჰქონდათ არც დრო, არც ხურვილი. მაგრამ არ ეძინა მტერს—მას ხურვილიც დიდი ჰქონდა და დროც, ეკეთებინა ბნელი საქმე და მიესადაგებინა საქართველოს ყოველი კუთხისათვის შესაფერისი თარგი. რა თქმა უნდა, აფხაზეთსაც საგულდაგულოდ შეურჩიეს.

სწორედ ამ მძიმე პერიოდში მიმდინარეობდა პასპორტიზაციის პროცესი სოფელ აგუბედიაში.

და ჰყვება აგუბედიელი: „მივიდოდით პასპორტის ასაღებად, რომელიც იმ დროს დღევანდელი დიპლომის ტოლფასი იყო. ვინ ფიქრობდა იმაზე, რა ეროვნებას გიწერდნენ. უმეტესად მისმა ამღებმა არც კი იცოდა კითხვა. ზოგჯერ შინაც კი უგზავნიდნენ მზას“. ასეთ შემთხვევაში მავანი და მავანი თუ მიაქცევდა კიდეც ყურადღებას, მას უკვე ფიზიკურადაც გაუპირდებოდა თავიდან გადაელახა ყველა ის სიძნელე, რომელიც ახლდა ამ საქმეს და ჩაიქნევდა ხელს. მოქმედებდა სხვა მეთოდიც. პასპორტში ეწერა ეროვნება — ქართველი, მაგრამ მასვე საკომლო წიგნში ეწერა — აფხაზი. რატომ? ასე სჭირდებოდა საქმეს. გამოჩნდა ერთი უცნაური პასპორტიც, გაცემული მოქ. ერმინე გიორგის ძე გოგოხიას სახელზე, რომელშიც საერთოდ არ არის მითითებული ეროვნება (?!). ყოველივე ამასთან ერთად ხდებოდა გვარის სხვა ყაიდაზე გადაკეთება, ანუ დამახინჯება.

ხვდებოდა თუ ვერ ხვდებოდა ხალხი ამის ქვეტექტს, თავგადაზრებული მაინც თვალს ხუჭავდა, რაც ასე აძლევდა ხელს „მოძმეს“.

ჰბა, რას იფიქრებდა ალალმართალი კაცი, თუ კი მას მგლის ხაფანგს უგებდნენ, არადა, სწორედ ხაფანგია, დღემდე რომ არიან გაბმულნი, არა მგლის, — ლომის ჩამომავალნი.

ასეთი იყო პირველი ეტაპი მზაკვრობისა. ასე გახდნენ აგუბედიელი ძირძველი კოლხები „აფხაზები“. აი, რამ განაპირობა, რომ სოფელში, სადაც მხოლოდ ხუთიოდე ოჯახი თუ არის აფსუური წარმომავლობის გვარისა (ეშბა), უმეტესობას „აფხაზები“ წარმოადგენენ.

ახლა მეორე ეტაპს გავადევნოთ თვალი:

ცხოვრება თავის გზით მიდის. იბადებიან, მრავლდებიან... მიდის მშობელი სასოფლო საბჭოში დაბადების მოწმობის ასაღებად. კი, ბატონო. სოციალური მონაცემი? რა თქმა უნდა, აფხაზი მშობლების შვილები ქართველები არ იქნებიან... და ემატება ერთ ერს მეორის ბარჯზე. იზრდება რაოდენობა. საუკუნეების მანძილზე თურქად, სპარსად, ოსმალოდ, მონლოლად ქცეულთ, გამჩენისაგან სახტიკად გაწირულთ, დღეს ისევ ახალი მსხვერპლი ემატებათ.

თვალწინ მიდგას ნაომარი ველი, სადაც „მრავალ დაბოცილთა შორის ორი ერთმანეთზე გადახვეული გვამიც იყო. ერთს არაბი ხალიფას ძვირფასი ხალათი ეცვა, მეორეს — ვენეციელი ოფიცრის მუნდირი. ღმერთმა ხომ იცის, არც ერთი იყო არაბი, არც მეორე — ვენეციელი. ორთავენი ბედკრული საქართველოს უბედური შვილები იყვნენ“... — ის ხალხიც, ვისაც დღეს აგუბედიაში (და კიდევ მრავალ სხვა სოფელში) აფხაზი ჰქვია, სხვა არავინაა, თუ არა ქართველი. ქართველი, რომელმაც ქართული არ იცის. თქმა არ უნდა, სიყალბის შეუდარებელი ნიმუშია, მაგრამ ბოლო დროს რატომღაც ძალიან აერიათ ამ საქმის ავტორთ დავთარი. ხაზს ვუსვამ — ძალიან, რადგან საერთოდ გაუგონარ ამბავთან გვაქვს საქმე. ამბავთან, რომელიც გენეალოგიური თვალსაზრისითაც კი ვერ გამოიყურება მთლად სრულყოფილად — ერთ ოჯახში, ერთი დედ-მამის შვილი, ხუთი, ცხრა, სამი, ოთხი შვილიდან ზოგი აფხაზია, ზოგი ქართველი. უფრო სწორად — ასე იწერებიან. თვით ამათ შვილებშიც, ე. ი. მესამე თაობაშიც, ასეთივე სურათი გვხვდება. თუ არ ვცდები, უპრეცედენტო შემთხვევაა. მსგავსი რამ? არსად!.. ...და მაინც, რა ჰქვია ამას, თუ არა ბედის ხასტიკი დაცინვა?!.. რა არის ეს, თუ არა ადამიანის უფლებების უხეშად გათელვა, თავმოყვარეობის უბოდიშოდ შელახვა?!.. რა არის, თუ არა ტრაგედია?!.. ტრაგედია არა მარტო აგუბედიელების, მთელი ერისა.

როგორც ვნახეთ, შეიძლება ადამიანს წაართვა ეროვნება, გადაუკეთო გვარი, თუ კი ამისთვის პასუხს არავინ გთხოვს. შეგიძლია წაართვა ქონება, ცოლი, შვილიც, მაგრამ იმ დალოცვილ ღმერთს, ცოდვილი ადამიანი მუდმივი ტანჯვისთვის რომ გაუჩენია, ბოლომდე მაინც არ გაუწირავს და უბოძებია ერთი რამ, რასაც ვერავინ ვერაფრით წაართმევს. ეს გახლავთ — გენი. ხელშეუხები, დაუმორჩილებელი, უძლეველი, კოდირებული.

ამ გენმა, მრავალი წლით მიძინებულმა, შეგინებულმა, დამცირებულმა, ყველასაგან დავიწყებულმა, მაგრამ საბედნიეროდ, უკვე გამოღვიძებულმა და დაუოკებელმა, თავისი მოითხოვა.

შვილი მრისხანედ შესცქეროდა მშობელს თვალებში. შვილი დაჟინებით მოითხოვდა სიმართლეს მამისაგან და გაირკვა ყოველივე, ნათელი მოეფინა ბურუსიან წარსულს.

თანამოძმეებში გადავიდა ჭაბუკი. სოფელს აუწყა მწარე სიმართლე... ახლა უკვე ერთი კი არა, ასზე მეტი სული აყიყინდა მამა-პაპურად. პირველი საფიქრალი, რაც ყველას ერთნაირად გაუჩნდა, ეს იყო — სასწრაფოდ პატარების სწორ გზაზე მოქცევა, მათი აღზრდა მშობლიურ ენაზე, დაუყოვნებლივ დაიწერა 180 განცხადება სკოლაში ქართული კლასის შესახებ. სოფელ აგუბედიაში ერთი რვაწლიანი და ორი საშუალო აფხაზური სკოლაა და არც ერთი ქართული, მაგრამ მოთხოვნა სოფლისა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მაშინ იყო, მთელი რაიონის ქართული სკოლების მასწავლებლები რომ ამოუდგნენ მხარში აგუბედიელებს. სამართალმა პური ჭამა. ათეულობით წლების შემდეგ პირველად გაიხსნა ქართული კლასი, სადაც ზოგიერთმა მშობელმა არა მარტო მიაბარა, ზედა კლასებიდანაც კი გადმოიყვანა ბავშვები.

მართალი ხართ ნუგზარ, გელა, ზურაბ!.. გეყოთ შორიდან ყურება. თქვენ, თქვენი შვილებით და მოძმეებით იქ უნდა იყოთ, სადაც ქართველის ადგილია. თქვენმა შვილებმა უნდა აანაზღაურონ ის, რაც თქვენ დაკარგეთ. იმ დანაკარგის სიდიდე კი განუსაზღვრელია...

და მახსენდება გალაკტიონი:

„ბოროტი გელის მსხვერპლი ხარ, მსხვერპლი!“.

ეზოში გავედი. ისევ კურთხეულ ტაძარს შევავლე თვალი...

გაცხოველებულ სკა-ბაასში იყვნენ და ჩემი შემოსვლა არ გაუგიათ. აქ არავინ არავისთვის რამის დამტკიცებას არ ცდილობს... აქ ლიდერობას არავინ ესწრაფვის... აქ არ არის სიყალბე.

— ჩვენ არავინ არ გვძულს, ჩვენ არავის არ ვარჩევთ. ყველა თავისი ხალხის მიზნებს უნდა ემსახურებოდეს უთუოდ. ჩვენც ჩვენი სიმართლისთვის, ერისთვის და სამშობლოს თავისუფლებისათვის ვიბრძვით და თუ ამ საქმემ მოითხოვა, უსიტყვოდ უნდა გავწიროთ თავიც. სხვა გზა ჩვენ არა გვაქვს. — ეუბნებოდა ძმა ძმებს და თვით ეშმაც ვერ შეიტანდა ეჭვს მის გულწრფელობაში.

შემოგცქეროდით უსიტყვოდ, ამაყად თავაღერილი, ჩემი ხალხის ვაუკაცობითა და სიკეთით უჩვეულოდ ამაღლებული და ვფიქრობდი: არ შეიძლება ასეთ ხალხს ცილი დასწამო. არ შეიძლება ასეთ ვაუკაცებს თავდასხმა და მკვლელობა დააბრალო, არ შეიძლება სხვისადმი ზიზღი და სიძულვილი მიაწერო და საკუთარი სისხლიანი ხელები მის მკერდზე შეიწმინდო. მაგრამ ქართველი არც იმას იკადრებს, ეროვნებადაკარგულმა, თვალებზე ქუდჩამოფხატულმა თავდახრილმა იაროს ამქვეყნად. იგი არ იზამს მამა-პაპათ საფლავებს პირშერცხვენილი წარუდგეს და... გადამწყვეტი დღეც დადგა. დღე განწმენდისა. დღე — სიმართლისთვის თვალებში მკაცრად ჩახედვისა, თვითგამორკვევისა, შელახული თავმოყვარეობის აღდგენისა და დღე — გოგებაშვილის „დედა-ენის“ წინაშე ბოდიშის მოხდისა, იმ ენისა, რომელიც ჩვენს „წინაპრებს შანთებით ვერ დაავიწყეს“. მჯერა თვალხატული, შოთასა და ილიას ენაზე ატიტინებული ბავშვების წკრიალა ხმებისა, მათი ხვალინდელი დღისა...

იმედი სიამოვნებით დამიდასტურეთ, შემდეგ კი ერთხმად „შეთქმულება“ მოუწყვეთ ამ საქმის თავკაცს იური ქვაჩახიას და გამენდეთ, ის რომ არა, ეს საქმე დღესაც არ იქნებოდა ბოლომდე მისულიო.

როცა თქვენ ჩამოგიგდეთ ამაზე სიტყვა, გაკვირვება ვერ დამალეთ, ბატონო იური! აბა, რა სათქმელია, მე ჩემს მამულიშვილურ ვალს ვიხდი, არც მეტი, არც ნაკლებიო. ხომ ვიცით, რამდენი დრო, ათასნაირი ხელოვნური წინააღმდეგობის გადალახვა, ახლო თუ შორის გზები, ჩინოსანთა თუ უჩინოთა კარებზე იერიშის მიტანა, შეუვალობა და სიმტკიცე დაგეჭირდათ, სიმართლე რომ გელიარებინებინათ ჭეშმარიტების ავადმყოფურად მოძულეთათვის. რწმენით აღსავსე დადიოდით ამ გზაზე და მიაღწიეთ; თქვენი ამაგი არაფრად ჩააგდეთ, მაგრამ არ დაგავიწყდათ, პატივისცემითა და მადლიერებით მოგეხსენებინათ თბილისელი ქალბატონი თამილა იესაშვილი, რომელსაც, როგორც გადმომეცით, შინ მცირეწლოვანი ბავშვი ჰყოლია დატოვებული, თვითონ კი, თვეობით აფხაზეთში მყოფი, თითქმის შეუძლებელს ერკინებოდა, რათა საფუძვლიანად „აღმოეჩინა“ თანამემამულეთა რჯული და ჯილაგი, მათ წინაპართა ფუძე და წარმომავლობა. ერწმუნა და სხვისთვისაც ეთქვა სიმართლე, შემდეგ კი, ამ დღეს დიდი ხნით დანატრებულთ, მშობლიურ ენაზე მიფერებოდა.

საუბარია იმაზე, რომ საკუთარ წარმოშობასა და ეროვნებაში გარკვეულმა აგუბედიელებმა, რეკასა და მოქვის მცხოვრებლებმა, განცხადებებით მიმართეს რაიონის ხელისუფალთ პასპორტების გამოცვლისა და მასში ნამდვილი ეროვნების მითითების თაობაზე, რაზეც ცივი უარი მიიღეს. ისინი იძულებული გახდნენ საკითხის გასარკვევად და სათანადო დახმარებისათვის საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიისათვის მიემართათ. სამინისტროში უურადღებით მოეკიდნენ საკითხს და საქმის საფუძვლიანად შესასწავლად აფხაზეთში მოავლინეს ქ-ნი თ. იესაშვილი. ადგილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესვებიო!..

ზე ხანგრძლივად და ღრმად გამოკვლევისა და სათანადო დასკვნების გამოტანის შემდეგ, მთხოვნელთა განცხადებები, მათი გვარის ისტორიულობის, სადაურობა-წარმომავლობისა და ეროვნული კუთვნილების მეცნიერული კვლევისათვის წარედგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტს. ხელთა გვაქვს ამ ინსტიტუტის 1990 წლის 19 თებერვლის № 06.01 — 662 მიმართვა საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროსა და ოჩამჩირის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარისადმი, რომელშიც ვკითხულობთ: „ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიის მცხოვრებმა ლოლია კაპიტონის ასულმა მიქაიამ მოგვმართა განცხადებით, რათა გაგვერკვია მისი გვარის ისტორია, სადაურობა-წარმომავლობა და ეროვნული კუთვნილება“.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ასეთივე სახის მიმართვა მათსავე განცხადებების პასუხად გაკეთებულია სოფელ აგუბედიის, სოფელ რეკას, სოფელ ილორის, ქ. გალის და გალის რაიონის სოფელ ჩხორთოლის სხვა მცხოვრებთა სახელზე. ესენი გახლავთ: ი. ც. ბიგვავა, ლ. ტ. ჩერქეზია, ე. ს. კაჭარავა, ი. ს. ნარმანია, რ. ქ., ვ. კ., ნ. ქ., რ. კ., ნ.რ. და მ. რ. — აბშილავები, ბ., უ. და ს. ცხადაიები, ი. ვ. არახამია, ნ. ს. ნოდია, ა. პ. წაბრია, უ. ნ. კუპრავა და სხვები, სულ 100-მდე ადამიანი. აქვეა მონაცემები ქ. თბილისის მკვიდრ მ. თარბაზე, რომელსაც პასპორტში მითითებული აქვს ეროვნება აფხაზი, მაგრამ, როგორც გალის რაიონის სოფელ აჩიგვარის საკომლო წიგნის ამონაწერიდან ირკვევა, მისი ნამდვილი გვარია თარბაია, ეროვნება კი — ქართველი.

ზემოთხსენებული № 06.01 — 662 მიმართვის დასკვნითი ნაწილი მიუთითებს: „...ამ მიზეზით, ისევე, როგორც პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური ხასიათის მთელი რიგი სხვა მიზეზებით, აიხსნება ქართული გვარის მატარებელთა დიდი კომპონენტის არსებობა აფხაზეთის მოსახლეობაში.

ამრიგად, გვარები არიან წარმომავლობით ქართული და ეროვნების აღდგენა მეცნიერულად გამართლებული და სასურველია“.

მიმართვას ხელს აწერენ: ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი ბატონი გ. მელიქიშვილი, სწავლული მდივანი ბ-ნი თ. თორდია, მეცნიერ-თანამშრომლები: ბ-ნი ა. აფაქიძე, ბ-ნი ა. თორდია.

ამ მიმართვის (№ 06.01 — 662) საფუძველზე საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის მიერ გამოტანილ იქნა დადგენილება № 3/1 — 23 თებერვალი 1990 წ. — აფხაზეთის ასსრ მცხოვრები მოქალაქეების განცხადებების შესწავლის შედეგების თაობაზე; დადგენილებაში აღნიშნულია:

აფხაზეთის ასსრ მცხოვრები მოქალაქეების განცხადებების ადგილებზე შესწავლით გამოვლინდა, რომ ავტონომიური რესპუბლიკის მმაჩისა და შინაგან საქმეთა განყოფილებებში წლების განმავლობაში უხეშად ირღვეოდა ინსტრუქცია საქართველოს სსრ საქორწინო და საარქივო კოდექსის 160-171, 177-180 მუხლების, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1971 წ. 9 მარტის № 133 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სსრ რესპუბლიკაში მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების რეგისტრაციის წესრების თაობაზე. უგულებელყოფდნენ სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ 1974 წ. 28 აგვისტოს № 677 დადგენილებით დამტკიცებულ სსრკ საპასპორტო სისტემის შესახებ დებულებას, აგრეთვე, ამ საკითხებზე ადრე მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს, საარქივო ფონდის შენახვის წესებს.

მოქალაქეობრივი აქტების ჩაწერაში გვხვდება შეუსაბამო და ურთიერთსაწინააღმდეგო მონაცემები ეროვნების თაობაზე, ჩანაწერების გაყალბების შემთხვევები.

კოლეგია უურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მთელი რიგი შეუსაბამობანი, უზუსტობანი გვხვდება ერთი ოჯახის წევრების, ღვიძლი შვილების, დების, ძმების, დებისა და ძმების ჩანაწერებშიც. (მაგ. დები აბშილავების; ძმების ბიგვავების, ბერულავების, ყოლბაიების, ბარამიების, ლაკირბაიების და სხვ.). ხშირია შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო სამსახურის მიერ პასპორტების არასწორად შევსების ფაქტები. აქვე ვკითხულობთ: განსაკუთრებულ უურადღებას იპყრობს მოქალაქეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ პასპორტში ეროვნების ჩაწერა ხდებოდა მათი სურვილის გაუთვალისწინებლად. აგრეთვე იმ მოქალაქეთა სიტყვიერი განცხადებები, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე წლების განმავლობაში ადგილი ჰქონდა ქართველთა გააფხაზების ტენდენციას, რომელიც მიზანდასახული პოლიტიკის ხასიათს ატარებდა. შესწავლილი მასალები კი ამ აზრის გაქარწყლების საშუალებას არ იძლევა.

ზემოთ აღნიშნულის გამო, ნათქვამია დებულებაში, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგია ადგენს: შეიქმნას სამთავრობო კომისია აფხაზეთის ასსრ ტერიტორიაზე ეროვნების თაობაზე კანონმდებლობის დაცვის რეალური მდგომარეობის შესასწავლად.

და ბოლოს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დასკვნების, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის 1989 წ. 19 მაისის № 12/I დადგენილების საფუძველზე, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ რაიონებში მცხოვრებ ქართული წარმომავლობის მოქალაქეებს ეროვნების დროულად აღდგენაში და ოპერატიულად მოახდინონ მათთვის შესაბამისი პასპორტის გაცემა. პერიოდულად განაზოგადონ მოქალაქეთა განცხადებების შესაბამისად ეროვნების აღდგენის პროცესის მიმდინარეობა; კოლეგიის დადგენილება დაეგზავნოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, სახალხო დეპუტატთა რაიონულ საბჭოებს, აღმასკომებს, მმაჩის განყოფილებებს, შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებს.

დადგენილებას ხელს აწერს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიის თავმჯდომარე, მინისტრი ვ. შარაშენიძე.

რადგან ასეთმა დებულებამ დღის სინათლე იხილა, იმედია, სულ მალე ის დღეც დადგება, რომელსაც დიდი ხანია ელოდებიან ეროვნული უსამართლობისა და დისკრიმინაციის დღევანდელი მსხვერპლნი. დადგება ნანატრი დღე, როდესაც აგუბედიის ტაძრის ზარები საზეიმოდ ამცნობენ მთელ საქართველოს, ჩემმა შვილებმა ფიცი „მაინც დავრჩები ქართველი“, პირნათლად აღასრულესო. ხოლო სიტყვები „ნეტარ იყვნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქნენ“, — კიდევ ერთხელ დაედება სალბუნად ქრისტეს რჯულის თაყვანისმცემელი ერის შვილებს.

წერილი მზად გვქონდა, როცა მივიღეთ სასიხარულო ცნობა, დადგენილება № 3/I 23.2. 1990 წ. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს სათანადო ინსტანციებში მიიღეს და ამოქმედდაო.

არა, აფხაზეთში არ უნდა ბოგინობდეს ქართველი მანქურთი!..

ვარეხ ბალიშვილი

P. S. 6 აპრილს აგუბედიიდან შვიდმა ძმამ — ბიგვავამ და ტყებუჩავამ მიიღო ეროვნებაღადგენილი დაბადების მოწმობა. ამ უჩვეულო ცერემონიალზე მმაჩის უფროსმა ლ. კაცბამ განაცხადა, თქვენ, მეგობრებო, ჯერ კიდევ არ გესმით, რა მოხდა დღეს, რას ნიშნავს მშობელ ფესვებთან დაბრუნებაო.

იქნებ დამეხმაროთ ჭეშმარიტების აღდგენაში

პრობლემა, რომელსაც მინდა შევეხო ამ პატარა წერილში, მეტად მტკივნეულია და, ამავე დროს, მხოლოდ საკუთარი არ გახლავთ, — ჩემს მდგომარეობაში ადამიანთა საკმაოდ დიდი ჯგუფი აღმოჩნდა.

ოჩამჩირის რაიონის სოფელ აგუბედიაში, სადაც დავბადე და გავიზარდე, დიდი ხანია ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობენ ქართველები და აფხაზები. მიუხედავად იმისა, რომ იქაურთა უმრავლესობა ქართველებია, სრულიად გაუგებარი და გასაკვირი „ტრადიციის“ ძალით, იგი აფხაზურ სოფლად ითვლება (ამას ისიც ამტკიცებს, რომ იქ უკანასკნელ დრომდე მხოლოდ აფხაზური სკოლა არსებობდა). საქმე ის არის, რომ მოსახლეობის 80-90 პროცენტს პასპორტში „აფხაზი“ უწერია ეროვნებად (არადა, სინამდვილეში დაახლოებით 80 პროცენტი ქართველია გენით, ენით, გვარით, ტრადიციებით).

ამგვარ სავალალო მდგომარეობაში აღმოვჩნდი მეც. დავიბადე ტყებუჩავების ოჯახში, თითქოს საკამათო არც უნდა ყოფილიყო ჩემი ქართული წარმომავლობა, მაგრამ ბედმა სულ სხვაგვარად ინება: მე და რამდენიმე ჩემი დაძმა (სულ ექვსი დედმამიშვილი ვართ) პასპორტების აღების დროს აფხაზებად ჩაგვწერეს, ასე რომ, ქართველი მშობლების შვილებიდან ზოგი ქართველად დარჩა, დანარჩენები კი აფხაზებად „ვიქეციით“...

სრულიად ბუნებრივი იქნება, დაგებადოთ კითხვა: კი, მაგრამ, თუ „გააფხაზება“ თქვენი სურვილის საწინააღმდეგოდ ხდებოდა, ადრე რად არ იღებდით ხმასო?

დიახ, ჩემს ქართველობაში ეჭვი არასოდეს შემპარვია (მით უმეტეს, რომ მშობლები და დაძმების ნახევარი კვლავ ქართველებად „რჩებოდნენ“), მხოლოდ ის კი იყო, რომ ამგვარი მდგომარეობა სოფელში ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმებოდა, იქაური მოსახლეობა რატომღაც გულგრილად უყურებდა, ან არაკითარ მნიშვნელობას არ ანიჭებდა ამას (აფხაზებად ეწერნენ ჩემი ბიძაბიძაშვილებიც და მხოლოდ ახლახან აღიდგინეს ნამდვილი ეროვნება).

ქართველთა „გააფხაზების“ ტენდენციის ზრდას ნამდვილად იმანაც შეუწყო ხელი, რომ ასეთი პირები განსაკუთრებული პრივილეგიების მიღების საშუალებად იყენებდნენ აფხაზურ პასპორტს. ჩანს, რამდენიმე გადაგვარებულის წაბაძვით დაიწყო მოსახლეობის ფართო ფენების „გააფხაზება“ (ბრჭყალებში იმიტომ ვსვამ, რომ პასპორტის მეტი აფხაზური ამ ხალხს არაფერი გააჩნია).

შეიძლება ის ფაქტორიც მოქმედებდა პროცესის დაჩქარებაზე, რომ სოფელში, როგორც უკვე ვთქვი, ქართული სკოლა კი არა, კლასიც, ამ უკანასკნელ ხანებამდე, არ იყო, ამდენად, ქართველები იძულებული იყვნენ ბავშვები აფხაზურ სკოლაში შეეყვანათ (მეც ამ სკოლაში ვსწავლობდი), ეს კი სრულიად ახშობდა ისედაც მოდუნებულ ეროვნულ გრძნობას.

რაც შეეხება აფხაზობით მიღებულ პრივილეგიებს, პირადად მე უბრალო მედდა ვარ და ისინი არასოდეს მიძებნია, მაგრამ თავის დროზე, ჯერ სამედიცინო სასწავლებელში, შემდეგ კი სამსახურში მოწყობის დროს, მაინც გამოვცადე „აფხაზური პასპორტის“ ყოვლისშემძლეობა: ორივეგან თავისუფლად „შევაბიჯე“.

არ მახსოვს, რა მიზეზით, მაგრამ ქარგა ხნის შემდეგ მამაჩემმა ერთბაშად გამოუცვალა პასპორტები ყველა შვილს და ნამდვილი ეროვნება აღუდგინა, მხოლოდ ეგ იყო, ეს პროცესი მაშინ მე არ შემხებია, რადგან ამ დროისათვის უკვე საკუთარი ოჯახი მქონდა შექმნილი და სოხუმში ვცხოვრობდი.

ვთვლიდი რა თავს ქართველად (მეუღლეც ქართველი მყავს, შვილი ქართულ სკოლაში სწავლობს), რამდენჯერმე ვცადე პასპორტის გამოცვლა ქართველობის აღდგენის მიზნით. პირველად ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პასპორტის საყოველთაო გამოცვლა მოხდა. პასპორტი კი ახალი მივიღე ძველის ნაცვლად, მაგრამ ეროვნება ისევ „ძველი“ დამტოვეს...

1983 წლის დასაწყისში პასპორტი დამეკარგა. მივმართე სოხუმის შინაგან საქმეთა საქალაქო განყოფილების საპასპორტო მაგიდას, მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი, ახლა მაინც აღმედგინა ნამდვილი ეროვნება. ქალბატონმა (მგონი ავიიმა იყო გვარად, ზუსტად არ მახსოვს), რომელიც განაგებდა ზემოხსენებულ უწყებას, მოითხოვა ჩემი ძველი დოკუმენტების გადახედვა. სამწუხაროდ, საკითხის შესწავლას ჩემთვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია. ჩემს ახსნა-განმარტებას იმის თაობაზე, რომ ჩემი ნათესავები, მშობლები, და-ძმები ქართველები არიან და, ამდენად, მეც მსურს ჩემი ნამდვილი ეროვნების აღდგენა, მოჰყვა შეურაცხმყოფელი სიტყვები ჩემი მისამართით, თითქოს საგანგებოდ დავკარგე პასპორტი და ახლა რაღაც ხრიკებს ვაწყობ. ამის შემდეგ ვერა და ვერ გავბედე ამ საკითხთან დაკავშირებით ხმის ამოღება, რადგან ჩემს თავგამოდებას შეიძლებოდა სამსახურის გარეშე დავეტოვებინე. ასე დარჩა ყველაფერი ძველებურად და მე პასპორტის მიხედვით კვლავ „აფხაზი“ ვარ.

აი, ასეთ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაგდო იმ უგვანმა ვითარებამ, რომელიც არც თუ დიდი ხნის წინათ სუფევდა „გააფხაზებული“ ტყებუჩავების, ლაბჟანიების, ბიგვავების, წულაიების, ჩერქეზიების, ჭოლარიების და სხვათა და სხვათა აგუბედიაში.

ვგრძნობ რა ჩემი მდგომარეობის მთელ აბსურდულობას, კატეგორიულად მოვითხოვ ჭეშმარიტების აღდგენას, რაც ჩემი ნამდვილი ეროვნების — ქართველობის დაბრუნებაში უნდა გამოიხატოს. იქნებ დამეხმაროთ?

ჯულიეტა ტყებუჩავა,
ქ. სოხუმის რესპუბლიკური საავადმყოფოს უროლოგიის განყოფილების მედდა.



სახელდახელო ინტერვიუ



სულის სინათლე

როგორც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ სოხუმის ფილიალის რექტორმა, პროფესორმა ფელიქს ტყებუჩავამ 26 მარტს გამოაცხადა საპროტესტო უვადო შიმშილობა იმისათვის, რომ ფილიალს არ გააჩნია მინიმალური საბინაო და სასწავლო-საალმზრდელო პირობები. რექტორის მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, — ფილიალმა მიიღო ახალი სასწავლო კორპუსი. 4 აპრილს პროფესორმა შეწყვიტა შიმშილობა. ჩვენი კორესპონდენტი ბინაზე ეწვია ბატონ ფელიქსს და სთხოვა ორიოდე სიტყვით მოეთხრო მომხდარსა და განცდილზე.

* * *

არავინ ისე არ საჭიროებს თავისუფლების ყოვლისშემძლე მადლს, როგორც აღმზრდელი და აღსაზრდელი, როგორც ჭეშმარიტი მეცნიერი და მეცნიერებას მოწყურებული ახალგაზრდობა, — გვესაუბრება ბატონი ფელიქსი. — აფხაზური უნივერსიტეტის ქართველმა სტუდენტმა-ახალგაზრდობამ და მათმა აღმზრდელებმა კი ათეული წლების მანძილზე დაკარგეს ეს მადლი თავისუფლებისა და ცალკე მეცნიერული დოგმატებისა და ცალკე ეროვნული დისკრიმინაციის ქვეშ მოექცნენ, რაც მომავლის ყოველგვარ პერსპექტივას სპობს. სწორედ ამის განცდის შედეგი იყო, რომ ქართველმა სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა დატოვეს აფხაზური უნივერსიტეტის კედლები და თითქმის ღია ცისქვეშ აღმოჩნდნენ. უკეთესობა კი არა და არ ჩანდა. მე, როგორც ფილიალის რექტორი და პედაგოგი, ვალდებული ვარ ვიზრუნო და ვიბრძოლო სამართლიანობისათვის, რომელიც მინიმალური ყოფითი და სასწავლო პირობებით მაინც უნდა გამოიხატოს ფილიალის სტუდენტებისა და მათი აღმზრდელებისათვის. ჩვენ ცოტა რამ მივიღეთ ჩემი საპროტესტო შიმშილის შედეგად. დიახ, რაც მივიღეთ, ეს მხოლოდ მინიმუმია. ჩვენ, ფილიალის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები კვლავაც ერთად ვიბრძოლებთ, რათა ვისწავლოთ და ვიცხოვროთ ნორმალურ პირობებში.

ვსარგებლობ შემთხვევით და დიდ მადლობას ვუხდი ყველას, ვინც გამიწია თანადგომა, განსაკუთრებით კი სოხუმის ორგტექნიკის კოლექტივს.

აბსოლუტურად თავისუფალ ადამიანს ძალუძს მხოლოდ შეიგრძნოს სულიხა და გონის სრული სინათლე. სწორედ ასეთი ადამიანები უნდა აღვუზარდოთ ჩვენს ხვალინდელ თავისუფალ, ერთიან საქართველოს, — ამთავრებს საუბარს გამოჩენილი მეცნიერი და სევდიანი ღიმილით იღიმება, რაც უკვე განცდილი და გადახდილი მძიმე დღეების კვალზე მიგვანიშნებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არდავიწყება

ქ. სოხუმის მიმდებარე ტერიტორიაზე, სოხუმის რაიონის სოფელ აჩადარაში გაიხსნა 9 აპრილის თბილისის ტრაგედიის მსხვერპლთა უკვდავყოფის მემორიალი. იგი ამავე დროს არდავიწყების სიმბოლური გამოხატულებაა 15-16 ივლისს აფხაზეთის ტრაგიკულ დღეებში დაღუპულთა მოსაგონებლად.

ზუქრი დგებუაძის ფოტოები

სახალხო დეპუტატების სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში

მცირე ტოპონიმიკასთან დაკავშირებით

სახალხო დეპუტატთა სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომს თხოვნით მიმართეს ჭანბას ქუჩის მცხოვრებლებმა, ამ ქუჩის „თამარ მეფის გზატკეცილად“ შეცვლის თაობაზე; თხოვნა, დადგენილი წესით, განხილულ იქნა შესაბამისი საქალაქო კომისიის სხდომაზე.

ამ საკითხთან დაკავშირებით, თავის გადაწყვეტილებაში კომისიამ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ქუჩებისათვის სახელის გადარქმევა შეიძლება განსაკუთრებულ სიტუაციაში, იგი დასაბუთებულ უნდა იქნეს და უნდა უპასუხებდეს ქალაქის მოსახლეობის ინტერესებს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია არა მხოლოდ მოსახლეობის აზრის გათვალისწინება, არამედ შესაბამისი ახსნა-განმარტებითი სამუშაოების ჩატარება. ამას გარდა, სახელის გადარქმევა საკმაოდ რთული ორგანიზაციული ღონისძიებაა, რომელიც მოითხოვს დამატებითი მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების გამოძებნას, საჭირო ხდება აგრეთვე, ამ საქმეში სხვადასხვა საქალაქო სამსახურის ჩარევა.

კომისიამ აღნიშნა, რომ სახელის გადარქმევა ქუჩისათვის, რომელიც აფხაზეთის გამოჩენილი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის, ცნობილი მწერლისა და ჰუმანისტის სახელს ატარებდა, სტალინური რეპრესიების მსხვერპლი რომ გახდა, არ არის დასაბუთებული.

1989 წლის 15 ნოემბერს, ქალაქის საბჭოს აღმასკომმა თავის სხდომაზე განიხილა რა აღნიშნული მოთხოვნა, მიიღო უარყოფითი გადაწყვეტილება.

მიუხედავად ამისა, ჭანბას ქუჩის მცხოვრებლების ჯგუფი დაჟინებით მოითხოვდა თავისი სურვილის დაკმაყოფილებას, — თვითნებურად იქნა მოხსნილი აბრები, სახალხო დეპუტატთა სასოფლო საბჭოს გადაწყვეტილებით, ქუჩის იმ ნაწილს, რომელიც ქალაქის ტერიტორიაში არ შედის, გადაერქვა სახელი და ეწოდა თამარ მეფის გზატკეცილი, თუმცა ეს გადაწყვეტილება დამტკიცებული არ იყო სოხუმის რაიაღმასკომის მიერ.

გარდა ამისა, სოხუმის ქალაქის საბჭოს აღმასკომს მიმართა აფხაზეთის სახალხო ფორუმის წევრთა ჯგუფმა, რომელმაც შეიტანა საწინააღმდეგო შინაარსის წინადადება — ჭავჭავაძის ქუჩის ჭანბას ქუჩად გადაკეთების თაობაზე, რასაც იმით ხსნიან, რომ სწორედ ამ ქუჩაზე მდებარეობს ის სამახსოვრო ადგილები, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ს. ი. ჭანბა.

გასული წლის დამლევს ქალაქის აღმასკომის ინიციატივით შედგა ქალაქის ქუჩების სახელწოდებების კომისიის მორიგი სხდომა, აფხაზეთის სხვადასხვა სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მოძრაობების, — სახალხო ფორუმის „აიდგილარა“-ს, საქართველოს სახალხო ფრონტის აფხაზეთის რეგიონალური განყოფილების, რუსთაველის საზოგადოების, საზოგადოება „ლემი“-ს, აფხაზეთის ისტორიკოსების საზოგადოების, აფხაზეთის ენისა, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო ინსტიტუტის და სახელმწიფო მუზეუმის წარმომადგენლების მონაწილეობით. ქალაქის ტოპონიმიკის საკითხის განმეორებითი განხილვისას გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება და წინადადება, სახელდობრ, თათბირის მონაწილენი შეთანხმდნენ, რომ შემდგომში ყოველმხრივ შეისწავლონ ასეთი სადავო საკითხები, აღნიშნეს ამა თუ იმ ისტორიული სახელისა თუ მოვლენის არასაკმარისი გაშუქება მეცნიერ-ისტორიკოსთა მიერ. რეკომენდებულია ფართოდ გაშუქდეს თამარის მეფობის პერიოდი და გამოქვეყნდეს, რა ასახვა ჰპოვა ამ პერიოდმა აფხაზეთის ისტორიაში. ამასთანავე ითქვა, რომ არავითარი საფუძველი არა აქვს გადაწყვეტილებების ნაჩქარევად მიღებას ისეთ რთულ საკითხზე, როგორიც მცირე ტოპონიმიკაა.

შექმნილი სიტუაციის და ქალაქის ქუჩების სახელების გადარქმევის მოთხოვნების ფართო განხილვის გათვალისწინებით, სახალხო დეპუტატთა სოხუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა საჭიროდ ჩათვალა, რომ დღესდღეობით სახელების ასეთი გადარქმევებისაგან თავი შეიკავოს.

სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს მორიგ სესიაზე მოისმენენ შესაბამის ინფორმაციას.

გაზეთი „სოვეტსკაია აფხაზია“,
2. 2. 90 წ.

რედაქციისაგან: თითქმის ერთი წელია ქ. სოხუმის ჭანბას ქუჩის მცხოვრებთა აბსოლუტური უმრავლესობა დაჟინებით და საკმაოდ დასაბუთებულად მოითხოვს აღნიშნულ ქუჩას გადაერქვას სახელი, ეწოდოს „თამარ მეფის გზატკეცილი“. მსგავსი საკითხის გადაჭრელად, როგორც ზემოთ მითითებული დებულებებისა და მუხლების საფუძველზე ირკვევა, არსებითია თვით ქუჩის მცხოვრებთა ნება-სურვილი და არა რომელიმე ბიუროკრატიული და კორუმპირებული ინსტანციის გადაწყვეტილება. მსგავსი დასაბუთებანი კი ზომაზე მეტი გააჩნია ქ. სოხუმის საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს და მის კომისიას.

სსფ აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობის ერთ-ერთ სხდომაზე ქ. სოხუმის აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბატონმა გ. მელიამ არაორაზროვნად განაცხადა, ჭანბას ქუჩის მცხოვრებნი ნურც იფიქრებენ, რომ დადებითად გადაიჭრება მათი სამართლიანი მოთხოვნა, რადგან კომისია, რომელიც მცირე ტოპონიმიკის საკითხებს განიხილავს ქალაქის საბჭოში, არასოდეს გადადგამს ასეთ ნაბიჯს, თუ ზემოდან არ იქნა სათანადო მითითება, რადგან მისი ეროვნული შემადგენლობა საკმაოდ ერთფეროვანია და არაშესაბამისი ქალაქის მცხოვრებთა პროცენტულ შეფარდებასთანაც.

რაც მართალია, მართალია, ამ შემთხვევაში ჩვენი ქალაქის მესვეური ჭეშმარიტებას ღალადებს!

ჩვენი ფიქრით, კავშირში „პერესტროიკისა“ და დემოკრატიზაციის ბუმის ამ ეტაპზე, საჭიროა გადასინჯულ-გადახარისხებულ იქნას ქალაქის საბჭოს არა მხოლოდ მცირე ტოპონიმიკის, არამედ ყველა მოქმედი კომისიისა და თვით ქალაქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობა, მათი ეროვნულ სახე და შეფარდება.

სახალხო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კომისია გვმოძღვრავს, რომ ქუჩისათვის სახელის გადარქმევა შეიძლება განსაკუთრებულ სიტუაციაში, რომ ეს საკითხი დასაბუთებული უნდა იყოს და უპასუხებდეს მთელი ქალაქის მოსახლეობის ინტერესებს.

ქალაქის მესვეურთ ვეკითხებით, რა განსაკუთრებულ სიტუაციასთან ჰქონდათ მათ საქმე, რა დასაბუთებებით და მოთხოვნებით ისარგებლეს, როცა ზედ შუაში გადაჭრეს სოხუმის რუსთაველის პროსპექტი და თბილისის გზატკეცილი და გადაარქვეს მათ სახელები?!.

გაითვალისწინეთ კი ქალაქის თუ აღნიშნული ქუჩების მცხოვრებთა უმრავლესობის აზრი და სურვილი?!.

რასაკვირველია, არა!..

სახალხო დეპუტატთა ბესლეთის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარეს ამხ. რ. შ. ბოგუას
ასლი: აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს

სახალხო დეპუტატთა ბესლეთის სასოფლო საბჭოს მე-8 სესიის (25. 09. 89) გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, ჭანბას ქუჩის თამარ მეფის ქუჩად გადაკეთებას რომ ეხება, სახალხო დეპუტატთა სოხუმის რაიონული საბჭოს აღმასკომი გაცნობებთ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მოქმედებს აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს მეორე მოწვევის სესიის (26. 07. 85 წ.) გადაწყვეტილება (ოქმი № 5).

მისი მესამე ნაწილი „დებულება აფხაზეთის ასსრ აღმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ“ და სტატია 12 „სახელწოდება და სახელის გადარქმევა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ქუჩებისათვის, დასახლებული პუნქტებისათვის, საწარმოებისათვის, დაწესებულებებისათვის, ორგანიზაციებისა და სხვა ობიექტებისათვის და მათთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელის მინიჭება“, გვაუწყებს შემდეგს: „სახელის მინიჭება და გადარქმევა პროსპექტებისათვის, ქუჩებისათვის, შესახვევებისათვის, მოედნებისათვის, სკვერებისათვის, ხიდებისა და სხვა ნაგებობათათვის, რომლებიც განლაგებული არიან და ექვემდებარებიან სახალხო დეპუტატთა საქალაქო, სადაბო, სასოფლო საბჭოებს, მათთვის სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა სახელების მინიჭება ხდება სახალხო დეპუტატთა შესაბამისი სასოფლო საბჭოების მიერ“.

ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, მოსახლეობის უმრავლესობის მიერ მხარდაჭერილი, თქვენი სესიის გადაწყვეტილება ჭანბას სახელობის ცენტრალური ქუჩის თამარ მეფის ქუჩად გადაკეთების შესახებ უფლებამოსილია.

რაც შეეხება მემორიალის აგებისათვის და კაკლის ოლეზე ქართული ეთნოგრაფიული კუთხის მოწყობისათვის მიწის გამოყოფის საკითხს, იგი უნდა შეუთანხმოთ სოხუმის რაიონის მიწათმოწყობის განყოფილებას. ვითვალისწინებთ რა ამგვარი საკითხების პოლიტიკურ მნიშვნელობას, გირჩევთ ანალოგიური გადაწყვეტილებების მიღებისას გულდასმით დაამუშაოთ იგი დეპუტატებთან, მუდმივი კომისიების წევრებთან, სოფლის აქტივთან და წერილობით და დროულად აუწყოთ ამის თაობაზე სახალხო დეპუტატთა სოხუმის რაისაბჭოს აღმასკომს.

თ. ა. კალანდია,
თავმჯდომარე

გამოდის ორ
თვეში ერთხელ
ფასი 1 მან.

ოქროს საწმისი
რედაქციის მისამართი: 384901,
სოხუმი, ლენინის 19
ტელეფონი: 2-82-73

მთავარი რედაქტორი ჯანო ჯანელიძე.
სარედაქციო კოლეგია: დავით დოლბაძე, გენო კალანდია, გელა მამფორია, თემურ მიბჩუანი, ალექსანდრე მიქაძე, გიორგი რატიანი, თემურ შურღაია, ვალიკო ძარჩავა, სოსო ჩოჩია, სერგო წურწუმია, რეზო ხარებავა, ჯუმბერ ჯოჯუა, ზოთა ჯღამაძე.